# ახალი საუნჯე

ტექსტების და კონტექსტების ჟურნალი

№6 (72) ოქტომბერი, 2019 წელი ფასი 2 ლარი


ეროვნული ბიბლიოთეკა

1970
2019

## ნომრის ავტორები

ჩეზო თამაყვაშვილი

& აქმალ ალი-მყალია

**პოეზია**

ბექა ბარქაია
ზურა პაპიაშვილი
გოჩა სხილაძე
ელგუჯა მარღია

**პროზა**

ირაკლი მაჩიტაძე

**კრიტიკა**

ლელა კოდალაშვილი – ზვიად რატიანზე

**ახალი თარგმანები**

*ამერიკული პოეზია*

ედგარ ლი მასტერსი
ელიზაბეთ ბიშოპი
ენ სექსტონი





ეროვნული ბიბლიოთეკა


ADVERTISING COMPANY
INNO STUDIO

## ყველაფერი ჩვენს წარმოებაში

სავიზიტო ბარათები; მოსაწვევები და მისალოცები;
დიპლომები; სერთიფიკატები; ბროშურები; ფლაერები;
ბუკლეტები; კატალოგები; მენიუები; კალენდრები;
პოსტერები ბლანკები; კონვერტები;
ბლოკნოტები; CD/DVD შეფუთვა
ნებისმიერი სირთულის ყუთები;
ასევე ყუთებზე ბეჭდვა;
ყველა სირთულის კვეთები;
ეტიკეტები და სხვა თვითწებადი
პროდუქტები; ბილეთები;
აფიშები, ბანერები, ვიტრინების
და ავტომობილების გაფორმება;
საათების ბრენდირება;
ბეჭდვა ოქროს და ვერცხლის ფოლგაზე,
ნატურალურ ტილოზე;
პლასტიკური ბარათებზე ბეჭდვა;
მაისურებზე, ჩანთებზე, კალმებზე ბეჭდვა

ADVERTISING COMPANY
INNO STUDIO

ციფრული,
ოფსეტური
ბეჭდვა

...ქუთათელაძის 8. ტელ.: 597 39 55 87; 2 39 55 87; 2 14 12 14 innostd@gmail.com



საუნჯე
PUBLISHING HOUSE გამომცემლობა

[illegible] განათლების,
მეცნიერების, კულტურისა და სპორტის
სამინისტროს მხარდაჭერით

მწერალთა
სახლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნომრის ავტორები


*რეზო თაბუკაშვილი*

ელისო მეტრეველი – რეზო თაბუკაშვილის ფილტრი და ინტონაცია – 3
რეზო თაბუკაშვილი – ბანერი (პიესა) – 9

*აჰმედ ალ-მულა*

ბიოგრაფია – 21
აჰმედ ალ-მულა: „ჩემი ლექსები ამწამიერის შვილები არიან" (ინტერვიუ) – 22
აჰმედ ალ-მულა – ლექსები (არაბულიდან თარგმნა გიორგი ლობჟანიძემ) – 24
შოთა იათაშვილი – აჰმედის ველოსიპედები – 24
როსტომ ჩხეიძე – არაბი პოეტის ტკბილქართული – 25

**პოეზია**

ბეძა ბარძაია – 33
ზურა პაპიაშვილი – 46
გოჩა სხილაძე – 49
ელგუჯა მარღია – როგაიები მეფეს! – 51

**პროზა**

ირაკლი მაჩიტაძე – რეისი-LH0042 – 56


1

2

3

**კრიტიკა**

ლელა კოდალაშვილი – ზვიად რატიანზე – 68

**ახალი თარგმანები**

*ამერიკული პოეზია*

ედგარ ლი მასტერსი – „ახალი სფუნ რივერი“
(ინგლისურიდან თარგმნა ქარდა ქარდუხმა) – 70
ელიზაბეთ ბიშოპი – სიმღერები ფერადკანიანი
მომღერლისათვის (ინგლისურიდან თარგმნა
მანანა მათიაშვილმა) – 77
ენ სექსტონი – მენსტრუაცია ორმოცი წლის ასაკში
(ინგლისურიდან თარგმნა ანი კოპალიანმა) – 80

4

5

პროექტის ავტორი:
ვაჟა წოწკოლაური

მთავარი რედაქტორი:
შოთა იათაშვილი

რედაქტორი-სტილისტი:
ლელა კოდალაშვილი

დიზაინი და დაკაბადონება:
ნიკა ხვედელიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარედაქციო კოლეგია:
დავით ანდრიაძე
გია ეძგვერაძე
დათო ტურაშვილი
ეკა ქევანიშვილი
ზაზა შათირიშვილი
დავით ჩიხლაძე
გია ხადური

ნომერზე მუშაობდნენ:
ელისო მეტრეველი
რეზო თაბუკაშვილი
გიორგი ლობჟანიძე
როსტომ ჩხეიძე
ბექა ბარქაია
ზურა პაპიაშვილი
გოჩა სხილაძე
ელგუჯა მარღია
ირაკლი მაჩიტაძე
ლელა კოდალაშვილი
ქარდა ქარდუხი
მანანა მათიაშვილი
ანი კოპალიანი

გამომცემლობა – „საუნჯე“
მის.: ალ. ყაზბეგის 32/34
ტელ.: 2141214, 2395587, 2397188
ელ–ფოსტა: akhalisaunje@gmail.com
Facebook: გამომცემლობა საუნჯე/Saunje publishing http://www.facebook.com/saunjee
www.newsaunje.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 1 ნომრის ავტორები

## რეზო თაბუკაშვილის ფილტრი და ინტონაცია

*ელისო მეტრეველი*

*პირველი მოთხრობა რომ დაწერა, 20 წელზე მეტის იყო. ეს მოთხრობა აფხაზეთზეა, ომზე. მაშინ იქ ნამყოფი არ იყო. რეზო თაბუკაშვილი ომში მოგვიანებით მოხვდა, ბოლო დღეებში. 27 სექტემბერს დატოვა სოხუმი, ბარჯით. მას შემდეგ სულ „ომია", ქვეყანაშიც და მის ტექსტებშიც – ზოგჯერ პირდაპირ, სიკვდილით, ცეცხლით და გამაყრუებელი ხმით, ზოგჯერ კი ძველი იარასავით ძლივს შესამჩნევი და ყრუდ მფეთქავი. ის პირველი მოთხრობა ვაჟა გიგაშვილმა დაუბეჭდა გაზეთ „მამულში".*

*რამდენიმე წლის შემდეგ რეზო თაბუკაშვილმა პირველი წიგნიც გამოსცა – „ავტობიოგრაფია პროფილში" (1999). შემდეგ სხვებიც მიჰყვა: „დაულაგირი: ABC (ანაპურნას საბაზო ბანაკი)" (2005), „არასაფრენი დღეები" (2005), „მზეო, არ ამოხვიდე" (2009), „გემების ჩრდილქვეშ" (2012), „13 დღე" (2016), „მესამე თვალი" (2016). დაწერილი აქვს დოკუმენტური სცენარები – "ქეთევან წამებული" (2003), "კოლაუ ნადირაძე" (2007). კიდევ ამ წლების განმავლობაში იყო რამდენიმე ლიტერატურული ჟურნალი, XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე დატრიალებული ქაოსის მიუხედავად რომ გამოდიოდა და თავს უყრიდა უახლეს ტექსტებს, თარგმანებს, ძველ და ახალ ავტორებს... და კიდევ იყო ბევრი ხეტიალი, როგორც ბავშვობაში დაწყებული გზის გაგრძელება, როგორც წერისთვის აუცილებელი პირობა.*

*საუბრისას ხშირად ახსენებს „ინტონაციას" და „ფილტრს" – რეზო თაბუკაშვილისთვის ეს ორი უმთავრესი ამბავია, როცა წერს. მისთვის ჟანრის ელემენტიც მხოლოდ სათქმელის გასაშლელად საჭირო ხერხია და არა ხელშეუხებელი საზღვარი. ამბობს, რომ მწერალი წერას სწავლობს გზადაგზა – საკუთარ შეცდომებზე, სხვისაზე, ასევე თავისსა და სხვის ოსტატობაზე. მის ცხოვრებაში ყოველთვის არის ადამიანი, ვისაც პირველად აკითხებს თავის ახალ ტექსტს, ვის აზრსაც ითვალისწინებს ან არ ითვალისწინებს, მაგრამ ეს აზრი მაინც ყოველთვის მნიშვნელოვანია. როგორი უნდა იყოს წერის დროს? თვითკმარი.*



„წიგნი სულ მიყვარდა, სულ ვკითხულობდი. ბავშვობაში არ ვწერდი. იტალიაში ვცხოვრობდი, პირველი მოთხრობა რომ დავწერე. მერე უკვე წავიდა და წავიდა. ჩემს აზრებს, განცდებს, ემოციებს ვიწერდი. ბლოკნოტები მქონდა – ლიტერატურისთვის ცალკე, ჩემი „სიბრძნეებისთვის" ცალკე. მომეწონა წერის პროცესი, მოთხოვნილებად იქცა წერის სურვილი და მაგრად ვბრაზდებოდი ხოლმე, თუ სათქმელი იგვიანებდა, არ მოდიოდა. ჰემინგუეისაც ხომ აქვს ნათქვამი, პირველი წიგნი რა ადვილად იწერებაო. კი, პირველი წიგნი იოლად იწერება, რადგან არ იცი ბოლომდე, რა „შარში" ხარ, რამდენი რამ გჭირდება, რამდენი რამის გავლა.

წერას რომ იწყებ, უთვალავი არჩევანია, ხომ? და რაზეც არ უნდა წერდე, მთავარია,



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ რას გაუსვამ ხაზს, სად დასვამ აქცენტს... მოკლედ, შენს „ფილტრებში“ ატარებ. ეს „საავტორო ფილტრია“ და ეს მთავარი ამბავია. კიდევ ინტონაცია მგონია მნიშვნელოვანი, პოულობ და აგებ მთელ ამბავს. რა ამბავს ჰყვები, ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია, როგორი ინტონაციით აკეთებ ამას. არასოდეს ჟანრის კანონებით და ჟანრის გამო არ ვიწყებ წერას, არ ვფიქრობ წინასწარ – რა იქნება. მთავარია, ჩემი ინტონაცია, ჩემი სათქმელი დაეჭიროო და ამ ამბის გასაძლიერებლად თუ რა ელემენტი შემოვა – დეტექტიური, დოკუმენტური თუ სხვა რამ, ეს უკვე პროცესის ამბავია. ეს ყველაფერი ამბის შესაფუთად გჭირდება, რომ ამბავში შეაძერინო, შეაპარო საკუთარი ინტონაცია და მულამი, თორემ თავისთავად, შეიძლება, ამბავიც არ იყოს მთავარი.

ბევრი შთამბეჭდავი ტექსტი წამიკითხავს და ვიცი, რომ რაღაცნაირად თვითკმარი, სავსე უნდა იყო წერის დროს, თუნდაც უარყოფითი ენერგიით, მაგრამ ამის მიღმა რაღაც დიდი სიმშვიდე, ძალა, იმედი და ცოდნა უნდა იყოს. თუ ეს ყველაფერი არ გაქვს დალაგებული, არაფერი გამოვა. ყველაზე მნიშვნელოვანი კიდევ იმის ცოდნაა, რაზეც წერ – შიგნიდან, დოკუმენტურად. მკითხველს ვერაფერს მოატყუებ და თუნდაც ზღაპარს წერდე, დამაჯერებელი უნდა იყო. რასაკვირველია, ავტორს რაღაც დონეზე შეუძლია საკუთარი ტექსტის შეფასება. პუშკინი რომ წერდა, თავის თავს რომ შეუძახა: «Ай да Пушкин! Ай да сукин сын!» მთლად ამას კი არ ვგულისხმობ, მაგრამ ავტორს შეუძლია იმის მიხვედრა, სად რა როგორ გამოუვიდა, სად გადაამლაშა, სად კარგად იმუშავა. წერის დროს შეფასებასა და მკითხველზე არასდროს მიფიქრია, მაგრამ ხანდახან მაინც თავისით იპარება რაღაც და მერე, როცა ვკითხულობ, ვხვდები, რომ ეს კონკრეტულ ვიღაცას მოეწონება, კონკრეტულზე გავიფიქრებ. არის ხოლმე ასეც. თუმცა არის კიდევ კრიტიკოსი, რომელიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მწერლისთვისაც და ლიტერატურული პროცესისთვისაც“.

***1994 წელს გამოვიდა ჟურნალი „XX საუკუნე“, რამდენიმე წლის შემდეგ – „ახალი საუკუნე“, მერე – „NEW CENTURE“, უკვე ინგლისურენოვანი ვერსია. უამრავი ტექსტი ითარგმნა ამ გამოცემისთვის. რეზო თაბუკაშვილი სამივე ჟურნალზე მუშაობდა. როგორც ახლა იხსენებს, იმ დროს ეს ჟურნალები სხვადასხვა თაობის მწერლებისთვის ერთგვარი თავშეყრის ადგილი იყო, სადაც იბეჭდებოდა დებიუტიც და უკვე აღიარებული ავტორებიც, სადაც ერთმანეთს იცნობდნენ და ლიტერატურაზე მსჯელობდნენ. როგორც ამბობს, ლიტერატურული გამოცემა ქვეყნის „შიდა ჩემპიონატივითაა“. წარმოიდგინე, ფეხბურთის შიდა ჩემპიონატი არ გქონდეს და პირდაპირ მსოფლიოზე გინდოდეს გასვლა; თუ ახალი ტექსტები არსად დაიბეჭდება, თუ მერე ამ ტექსტებს არ შეაფასებენ კრიტიკოსები, მკითხველები, ვერც ვერავინ გაიზრდება და წინაც ვერ წავალთ; ჩათვალეთ, რომ ლიტერატურული პროცესი ცუდად კი არ მიდის, უბრალოდ, უზარმაზარი ნაწილი აკლია ან სულაც არ არსებობსო.***

„XX საუკუნე“ ჩვენი ოჯახის ხარჯით გამოდიოდა. „XX საუკუნის“ რედაქტორი იყო ზაალ სამადაშვილი, მე – მისი მოადგილე. ჩვენს ოჯახში მივიღეთ ეს გადაწყვეტილება იმ ბნელ 90-იანებში. მამაჩემი, ზაალი და მე ვაკეთებდით. დაახლოებით, 10 წელი გამოდიოდა ეს სამივე ჟურნალი. ჩვენს სახლში გადაწყდა „New Centure“-ის გამოცემაც. სტუმრად იყო გია ჭანტურია, ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის მაშინდელი ხელმძღვანელი. თქვა, ძალიან კარგი ჟურნალი გაქვთ და ინგლისურადაც შეიძლებოდა ყოფილიყოო. ვუთხარი, რომ თუ დაფინანსება იქნება, მე ამის ორგანიზებას გავაკეთებდი. ოთხი ნომერი გამოვიდა. 60 ავტორი ითარგმნა. ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპი. მეხუთე ნომერიც მზად იყო და მერე „ვარდების რევოლუცია“ მოხდა და უკვე შეკრული ნომერი ველარ დაფინანსდა. „საარში“ ვბეჭდავდით. მერე დილაუთენია მივდიოდით ვაგზალზე და ვაბარებდით გამავრცელებლებს. ცოტა იყიდებოდა, ვის ჰქონდა ჟურნალის საყიდელი ფული. პრაქტიკულად, სულ საჩუქრად რიგდებოდა.

თითქოს ვერ ხვდებიან, რა მნიშვნელობა აქვს მწერლობას, აგრესიასაც კი იწვევს დაფინანსებაზე ლაპარაკი. არადა, მეტი რა ვართ, სულ ამით არ მოვედით, ან მხოლოდ ამით?.. ამხელა ტრადიცია გვაქვს და დღეს ყველაზე მწირი დაფინანსება ლიტერატურას აქვს. როცა ამბობენ, ყველგან ასეა, მთელ მსოფლიოში არსად აფინანსებენ მწერლებს, გამოცემებსო, არ არის სიმართლე. ჯერ ერთი, რომელ მსოფლიოზეც ლაპარაკობენ, იქ



ლიძავა, 1975 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა ცხოვრებაა და სხვა მასშტაბის ბაზარი; მეორეც, დღეს ევროპის ძალიან ბევრ ქვეყანაში, განსაკუთრებით, პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, ლამის მწერლებზე მეტი ლიტერატურული გამოცემა და კრიტიკის ჟურნალები აქვთ. სახელმწიფო დღემდე აფინანსებს მწერლობას, რადგან იცის, რომ ეს მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის.

კი, დღეს ფულის ფასი იციან, მაგრამ ეს ფული კულტურის განვითარებას რომ მოახმარონ, ეს არ უნდათ. ომის დროსაც კი ერთ-ერთი ყველაზე დიდი იარაღი კულტურაა, ტანკებზე დიდი. „ცივი ომის" მთელ პერიოდში კულტურა იყო ერთ-ერთი იარაღი, რითაც თავიან უპირატესობებს უმტკიცებდნენ ერთმანეთს ეს ქვეყნები. დღეს ამოვარდნილია ეს თემა თამაშის წესებიდან, მარტო აქ კი არა, სხვაგანაც, საქართველო ანარეკლია ხოლმე რაღაცების, ცოტა ბუნდოვანი. მოვა თაობა, რომელიც ამას სხვანაირად შეხედავს და დაალაგებს... ისე, ჩვენ კი ვიყავით ის თაობა, ასე უპირობოდ რომ არ მივიღებდით ყველაფერს. არც მივიღეთ და დავრჩით ასე, რაღაცნაირად გვერდზე, სადღაც შეყრილები..."

***ძველი – ახალი, ჩამოსული – წასული – დაბრუნებული... რეზო თაბუკაშვილის რომანებსა და მოთხრობებში სულ არის ორი ან რამდენიმე სამყაროს „კონფლიქტის" ზონა და ხაზი – შეთავსება და შეუთავსებლობა. ამბობს, რომ თავისთავად, არ შეიძლება რომელიმე ან ძალიან კარგი იყოს ან ძალიან ცუდი – ზოგჯერ ძველი ახალზე გაცილებით ცოცხალი და მჩქეფარეა. მთავარი კი ისაა, რას მიიჩნევ ფასეულად, რა გინდა მიიღო ამ სამყაროსგან და რაზე გინდა თქვა უარი, ძველი გინდა დაანგრიო და ახალი ააშენო, თუ ძველი შეინარჩუნო და ახალიც ააშენო, ან კარი ჩარაზო და არაფერი მიიღო. როგორც თავად ამბობს, საით გადადგამ ნაბიჯს, შენი გადასაწყვეტია, გემოვნება ხომ მარტო ის არ არის, როგორ გაცვია, ეს უფრო სამყაროს ხედვა და არჩევანია. დღეს იმდენი პოლიტიკაა ყველაფერში, ამაზე წერა არ მინდაო და იმასაც ფიქრობდა, ომზეც აღარ დაეწერა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ჯერ კიდევ აქვს სათქმელი, ჯერ კიდევ „მოაქვს" იმ დროს და წლებს.***

„ლიტერატურას არ აქვს დიდი გავლენა ხალხზე. კი, იყიდება წიგნები, კითხულობენ, მაგრამ ხალხი ძირითადად სხვა რამით არის დაკავებული. ბევრი პოლიტიკაა. ხალხს შეუძლია რაღაც აქცენტების დასმა, უნდა მოინდომოს შემობრუნება. ახლა ყველა ძალიან გამწარებულია. იმ დღეს ტრანსპორტში რაღაც პატარა ინციდენტი მოხდა და ალაპარაკდნენ. ძალიან მწარედ ლაპარაკობდნენ, ბოროტად და ბოღმიანად კი არა, ყველას თავისი სიმწარე ალაპარაკებდა. რთული დრო გამოვიარეთ და იმის გააზრება, რომ „თუ გადარჩი, წინ უნდა იარო", ვერ მოვასწარით. ჩვენმა თაობამ ეს ნაკლებად იცოდა, ჩვენმა მშობლებმა კიდევ უფრო ცუდად – სულ სხვა ცხოვრებიდან სულ სხვა ცხოვრებაში გადახტნენ, სხვა სიზმარში გაიღვიძეს. ძნელი იყო ამ მომავლის განჭვრეტა, ვერავინ წარმოიდგენდა.

აღარ ვწერდი ხოლმე იმ დროზე. ბევრი აღარ ლაპარაკობს ომზე, ჩემზე მეტი გამოცდილება რომ აქვთ და დიდი მეომრებიც რომ არიან. ეს „დაბრუნებასავით" არის და ვის უხარია ომში დაბრუნება. ისე, შეიძლება სადღაც ძალიანაც გინდოდეს დაბრუნება, მაგრამ, მოიხედავ და აღარ არის ის ადგილი.



1997 წ.

წლების განმავლობაში რაღაც საყრდენები გეცლება, გაიხედავ და რომ ფიქრობდი, აქ რაღაც დიდი სიმყარე იყო, საყრდენი და – ბაც! აღარ არის, გაჩეხილია, გამქრალია. და ზუსტად ასეთ დროს ხვდები, რომ წარსული უნდა დატოვო, წინ უნდა იარო. წარსულს დიდი ძალა აქვს, შეუძლია ჩაგითრიოს, წაგიღოს. ამიტომ უნდა დისტანცირდე. შეგიძლია გამოიყენო, როგორც მასალა, მაგრამ არ უნდა დაგიჭიროს.

ომში ცოტა ხნით ვიყავი, მაგრამ საკმარისი იყო, რაც ვნახე. ბევრი კარგიც იყო და ბევრი ისეთიც, მარტო ომში რომ ნახავ. შარშან მივიღე ერთ პროექტში მონაწილეობა – „მწერლები მშვიდობისთვის". ომის თემაზე ვიმუშავეთ. კიდევ ერთხელ დავწერე ომზე. კარგი კრებული გამოვიდა. ეს მოთხრობა და კიდევ რამდენიმე შევა ახალ კრებულში, რომელიც მინდა ამ წელს დავამთავრო. ეს კრებული კარგი სტიმული აღმოჩნდა, რომ კიდევ ერთხელ დავბრუნებოდი ომს. მივხვდი, რომ კიდევ მქონია სათქმელი. ომი „კარგი მასალაა", მძაფრი და მკვეთრი ემოციები მოაქვს, მაგრამ ცუდია, ყველა ომი ცუდია. სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირად უყურებ და სხვადასხვანაირად წერ იმ ამბებზე. წლები თავისას შვება, მაგრამ აფხაზეთი..."

***„აფხაზეთი სულ მესიზმრება..." ამბობს, რომ ადრე უფრო ხშირად ხედავდა ასეთ სიზმრებს, ახლა ნაკლებად, თუმცა ის არსად წასუ-***



ეკა ნიჟარაძესთან ერთად

***ლა. ახლაც ცხადად წარმოიდგენს ხოლმე სახლს ლიძავაში და მრავალსტუმრიან დიდ ოჯახს, სადაც ძალიან ბედნიერი იყო, სადაც მუდმივად ხედავდა საქმის და ერთმანეთის მიმართ დიდ სიყვარულს. მისი ოჯახი – რეზო თაბუკაშვილის მშობლები, ბებიები და ბაბუები, მემკვიდრეობა – ალბათ, სხვა შეხვედრის თემა უფროა, რადგან ეს ვრცელი და საინტერესო ისტორიაა, რომელიც, ზედმეტი კვლევის გარეშეც კი, მაგალითად, ყველასთვის ხელმისაწვდომ ვიკიპედიაში მე-19 საუკუნიდან იწყება, ცნობილი პედაგოგების ცხოვრებითა და მოღვაწეობით. ჯერ კიდევ სკოლაში დიდი ბაბუის, შალვა თაბუკაშვილის დაწერილი სახელმძღვანელოებით სწავლობდა. მერე იყო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი – სანამ ყველაფერი „აინთხლეოდა“.***

„ერთი წლიდან აფხაზეთში ვიზრდებოდი. ლიძავაში, ჩვენს სახლში უამრავი ადამიანი ცხოვრობდა. გასაბერ ნავებში შეგვეძინა ხოლმე. უზარმაზარი აივნები ჰქონდა იმ სახლს და ჩვეულებრივ სადილზე სამ რიგად იშლებოდა სუფრა, დიდიან-პატარიანად იმდენი ხალხი გროვდებოდა. ძალიან მხიარული სახლი იყო, სტუმრიანი. მანდ ვისწავლე ზღვა, მას შემდეგ ასეთი ზღვა არც მინახავს, მართლა არ მინახავს, არადა ნახევარი პლანეტა მაქვს მოვლილი. ჩემი ოჯახის ამბავი... ჩემი ოჯახის ამბავი ჩემთვის და ჩემი ძმისთვის ჩვეულებრივი ამბავი იყო. ბებია და ბაბუა და დიდი სიყვარული. ჩვენთვის დიდი ბედნიერება იყო ამ ოჯახში ცხოვრება. და იყო კიდევ ძალიან დიდი შრომის მაგალითები, რომელსაც ვუყურებდით. ბებია სახლში რომ იყო, სულ მუშაობდა. საკუთარ მონოსპექტაკლებს სულ თვითონ წერდა, ძალიან კარგად უჭრიდა სიტყვა, ამ გადასახედიდან შემიძლია ამის თქმა. შესაშური მონოსპექტაკლები აქვს გაკეთებული. სულ მუშაობდა ბაბუაც. და რაც მთავარი იყო, მოსწონდათ, რასაც აკეთებდნენ, ძალით კი არ აკეთებდნენ, უყვარდათ, სიგიჟემდე უყვარდათ. დაფასებაც სხვა იყო, ხალხს მეტი დრო ჰქონდა კულტურისთვის, ხელოვნებისთვის.

ფილოლოგიურზე ვსწავლობდი უნივერსიტეტში და პირველი ორი კურსი გადასარევი დრო იყო. მერე 9 აპრილი მოხდა და მთელი ქვეყანა „ამოვარდა“, ჩემი სწავლაც, ყველაფერი აინთხლა. აქციებზე რამდენჯერმე ვიყავი მისული, მთელი თაობა იქ იყო, პოლიტიკოსებთან არ მქონია შეხება, მაგრამ დაძახებაზე არ მივსულვარ და მუდმივადაც არ დავდიოდი. იმ დღეს ჩემმა კლასელმა დამირეკა სახლში, მამა ჰყავდა მაღალი თანამდებობის პირი, არ წახვიდეთ ამაღამ, საშიშიაო. მე და ჩემი ძმაკაცი წავედით. იქ ვიყავი, როცა დაიწყო ის ამბავი. ფარებს შიგნით შევვარდი და მაგრად მირტყეს. მამაჩემიც გალახეს. ლაშა მეცხრე საავადმყოფოში მოხვდა, მე -რესპუბლიკურში. მეც და ლაშაც მკვდრების სიაში ვეწერეთ. მაშინ მობილურები არ იყო, არაფერი, ძლივს გვიპოვეს. მამაჩემმა რომ გაიგო სად ვიყავი, გამოიქცა საავადმყოფოდან და ჩემთან მოვიდა. დაგვიხოცეს გოგოები. აღარ მიყვარს იმ დროის გახსენება და არც იმის განსჯა, სხვანაირად რა შეიძლება მომხდარიყო.

ამ პატარებმა ჩვენ შესახებ არაფერი იციან, წარმოდგენა არ აქვთ ჩვენზე. ვიღაცამ უნდა აუხსნას, სწორად აუხსნას. ვისაც არ ეზარება, წარსულის გინებით იკეთებს კარიერას. რაღაც ბეჭედი დაგვასვეს – საბჭოთა კავშირის დროს თუ დაიბადე, მორჩა! მერე 90-იანები თუ გამოიარე, მორჩა! თითქოს არც თავისუფლები ვიყავით და არც არაფერი კეთდებოდა. თითქოს მერე ყველა ნარკომანი და ყაჩაღი იყო. მეათე კლასში ვიყავი და თემა მოვიდა – მე ვარ საბჭოთა კავშირის მოქალაქე. მე და ჩემმა მეგობარმა დავწერეთ, ჩვენ ვართ საქართველოს მოქალაქეები. ატყდა მთელი ამბავი, ნიშნებს არ გვიწერდნენ. მგონია, რომ თაობები ადრე უფრო იცნობდნენ ერთმანეთს. ბაბუაჩემის ძმაკაცებთან ვმეგობრობდით, ბევრ საერთოს ვპოულობდით, ძალიან ძვირფას რამეებს ვუზიარებდით ერთმანეთს. არც მე მინდა ყოველი მეორე ომზე ლაპარაკობდეს და იმის იქით წინ ვერ წავიდეთ და არაფერი შეიცვალოს. თუმცა ობიექტური, დოკუმენტური ინფორმაცია უნდა გვქონდეს, რადგან სულ არიან ტიპები, რომელთაც პოლიტიკური გათვლები აქვთ ამ თაობებს შორის დაპირისპირებაზე. ერთმანეთის გამოცდილება გამოგვადგებოდა, უკრიტიკოდ მიღებაზე კი არ ვლაპარაკობ, მაგრამ არც „ტორმუზები“ არიან ამაზე. ასეთი ლაპარაკი პატარა კაცების ამბავია, რა“.

***იმ თაობამ კი, რომელმაც 90-იანები გამოიარა, იმაზე მეტი დაკარგა, ვიდრე შეიძინა, არადა, თითქმის სამი ათეული წელი საკმარისი უნდა ყოფილიყო ბევრი რამის შესაძენად, გასა-***

***კეთებლად, ფეხზე დასადგომად. როგორც რეზო თაბუკაშვილი ამბობს, რომ არა ის წლები, დღეს გმირობად არ ჩაითვლებოდა ისეთი საქციელი და წესები, რომლებიც, უბრალოდ, კანონებში წერია, რომლებსაც ბუნებრივად უნდა იცავდე და ასრულებდე. იმ წლებმა წაილო სიმშვიდის, განვითარების, განათლების და კიდევ ბევრი სხვა რამის შესაძლებლობა. რა თქმა უნდა, 90-იანებმა მოიტანა გამოცდილებაც, რომლის უკეთესად გამოყენებაც შეგვეძლო. შეიძლებოდა უკეთ გააზრება, დასკვნების გაკეთება და ნებისმიერი გახლეჩისა და დაპირისპირების თავიდან აცილება. რადგან დღეს „არ მომწონს“ ისევ უბრალო „არ მომწონს“ და არჩევანის თავისუფლება კი არ არის, არამედ „თუ არ მოგწონს – მტერი ხარ!“ მისი აზრით, იმ წლებმა თემებიც მოიტანა ტექსტებისთვის, ფილმებისთვის, ხელოვნებისთვის და ეს თემები ნიჭიერმა ხალხმა ნიჭიერად გამოიყენა.***

„90-იანებმა ბევრი რამ წაართვა ჩვენს თაობას. ყველაზე მთავარი – ჩვენი თაობის ბიჭები და გოგოები. დღეს ყველაზე მეტად ეს ხალხი გვაკლია. ძალიან ხშირად ვგრძნობ მათ არარსებობას. ისე წავიდნენ, შვილებიც კი არ დარჩათ. ესენი რომ დღეს ყოფილიყვნენ, ალბათ სხვა ქვეყანაში ვიცხოვრებდით, სხვანაირი თამაშის წესები იქნებოდა, სხვა მენტალიტეტი. განათლებული, გულწრფელი, ლაღი თაობის ადამიანები, რომლებიც ასე ადვილად არ მიიღებდნენ იმ ნაგავს, რასაც დღემდე ვებრძვით. ხელისუფლება არ უნდა გიყვარდეს, არცერთი ხელისუფლება და მის გამო ერთმანეთს არ უნდა დაუპირისპირდნენ ადამიანები.

გამმეტებლები სულ ვიყავით. ის „37 წელიც“ რატომ მოხდა, საიდან მოვიდა ამდენი მხეცი? „ფას“ – უთხრა ხელისუფლებამ ხალხს და დაიწყო. თუ „ფას“ ეუბნები და თან არწმუნებ, რომ არ დაისჯება, პირიქით, დაწინაურდება, ეგრევე იღვიძებს ის გამმეტებელი. რა თქმა უნდა, ყველაში არ იღვიძებს, ზოგს შინაგანი ცენზურა არ აძლევს ამის საშუალებას. დღეს „შინაგანი ცენზურა“ ცუდ რამედ ითვლება, მაგრამ ეს ყოველთვის ცუდს არ ნიშნავს. ძალიან მნიშვნელოვანია, თუ ის ინტელექტზე, სიღრმეზე, განათლებასა და კეთილშობილებაზე დგას. ასეთ ადამიანს არ შეუძლია ნებისმიერი სისასტიკის ჩადენა. სხვა შემთხვევაში, როგორც კი „ფას“ ისმის, მხეცები თავისუფლდებიან. ბოლო ათწლეულებმაც ეს არ აჩვენა? თუ ეტყვი, „გაჩერდი“, მაშინვე ჩერდებიან. ასეთები მშიშრები არიან და პასუხისმგებლობას გაურბიან.

რაც წაილო, წაილო იმ 90-იანებმა, მაგრამ მოიტანა დიდი გამოცდილებაც, რასაც დღეს, სამწუხაროდ, ცუდად და ნაკლებად ვიყენებთ. არადა, შეგვეძლო დღეს ხედვის სხვა ვარიანტებიც გვქონოდა. პიროვნულად, ალბათ, კონკრეტულმა ადამიანებმა უკეთ გამოიყენეს, როგორც მასალა შემოქმედებისთვის. უხეშად რომ ვთქვა, იმ დრომ თემები გააჩინა და მოიტანა. ძალიან ძლიერი ტექსტები დაიწერა, ფილმები გადაიღეს, ხელოვნება უფრო ცოცხალი იყო და უფრო იბრძოდა. ახლა რომ ვფიქრობ, იმ ჩაბნელებულ დროში, თუ რამე აჩერებდა იმ ტყვიებს, თუ რამე ისმოდა სროლის ხმაზე ძლიერად, ცეცხლზე მეტად ათბობდა და ანათებდა, ეს ხელოვნება იყო“.

***იწყება და მთავრდება ომები და მაინც ამ ეტაპებს უფრო იმით აფასებენ, რა გაკეთდა და რა შეიქმნა. რეზო თაბუკაშვილი ამბობს, რომ ეს დროები უფრო მოსავლის აღების სეზონებივით არის. მერე ერთად აფასებენ, რომ აი, ამ დროში ეს, ეს და ეს დაიწერა; რომ ყველა დროს თავისი სათქმელი მოაქვს და მაინც, არის რაღაც თემები, რომლებმაც შინაგანად უნდა „მოგქაჩოს“, რომ მასზე წერო, კარგად წერო. დაგეხმაროს, მოერგოს შენს ამბავს და ინტონაციას, მაგრამ ამ თემების ტექსტებში ძალით შეთრევა სწორი არ ჰგონია. ვიღაცებს, რაღაცებს რეალური ცხოვრებიდანაც იღებს ხოლმე, ზოგჯერ თავიც ამოუცნიათ, მაგრამ არ გაბრაზებულან, რადგან, როგორც თვითონ ამბობს, „ბოროტად“ არ წერს. ახლა ისევ ბაბელს თარგმნის, რომელსაც ბევრჯერ მიუბრუნდა და დღემდე განსაკუთრებულად მოსწონს.***

„ყველა ტექსტს, თარგმანსაც კი, მაინც შენს საყრდენებს არგებ, საშენო ფილტრში ატარებ და საშენო ინტონაციით ცვლი. მაგალითად, თომას ვულფს მთელი სანათესაო არ ელაპარაკებოდა და მთელი ის პატარა ქალაქი გაებუტა, რომელზეც დაწერა და ამ დროს დაწერა ძალიან მაგარი წიგნი. თუმცა არის რაღაც დელიკატური მომენტები. მაგალითად, ჰემინგუეიმ როცა ფიცჯერალდის ცხოვრების დეტალები აღწერა, ალბათ, მაგასაც ზედმეტი მოუვიდა. ძალიან დიდი ძალა აქვს ტექსტებს. ჩვენ თავზე რომ ავიღოთ, ყველას გვახსოვს, რა გავლენა მოახდინა სხვისმა ტექსტებმა...



შვილიშვილ თინათინთან ერთად

სიტყვებს, განსაკუთრებით, პერსონაჟის სიტყვებს აქვს დიდი ძალა, ამიტომ უნდა იყოს ზუსტი და მორგებული, თორემ სიტყვა კი არ გამოვა, არამედ ხმაური, ცუდი ხმაური, ხელის შემშლელი. კი, დღეს ქართულში ბევრი ბარბარიზმია, როცა სპარსული სიტყვები შემოდიოდა, მაშინაც ეგრე იქნებოდა. მერე რუსული სიტყვები იყო, ახლა ინგლისური შემოვიდა. მგონია, ენა მაინც ყველაფერს მოუვლის. სამუშაო პროცესის ნაწილია რედაქტორიც. ამ მხრივ ძალიან დიდი სკოლაა უცხოეთში. თავისთავად უნიკალური მოვლენები არიან. იმავე ტომას ვულფს ნახევარი წიგნი ამოუჭრეს, მაგრამ ის, ვინც ამას აკეთებს, თვითონაც ძალიან დიდია და დიდი ავტორებიც ემორჩილებიან. სულ მიკვირდა ხოლმე ეს რედაქტორები თვითონ რატომ არ წერდნენ.

ახლა ბაბელს ვთარგმნი. დიდ პატივს ვცემ ამ მწერალს. ბევრჯერ მივუბრუნდი. ისეთი ტექსტები, მიბრუნება რომ აღარ მინდა, აჯობებს იქ დარჩნენ, სადაც არიან. კარგად ვარ, როცა ვწერ. როცა ფორმაში ვარ შესული, დილით გაღვიძება მიხარია. მეჩქარება, რომ დავჯდე და დავწერო. პიესა მხოლოდ ერთხელ დავწერე. მინდოდა, ერთი გოგოს წინაშე, როგორც პიესის ავტორი, ისეც წარვმდგარიყავი. მაინტერესებდა, გამოვიდოდა თუ არა. არ ვიცი, კიდევ დავწერ თუ არა, თუმცა ამ ერთხელ სიამოვნებით ვიმუშავე. კიდევ ჩანაწერებს ვაკეთებ, ეს უფრო განწყობილებებია, და არა ბლოგები. ხანდახან ვიცი ხოლმე გამოხდომები. ახლა ორი მოთხრობა მაქვს უკვე მზად, ერთი „ლიტერატურულ გაზეთში" დაიბეჭდა. როგორც ვთქვი, ამ წლის ბოლომდე მინდა მოთხრობების კრებულიც გავაკეთო. ვნახოთ, ეს პიესაც რას იზამს".

*მოგზაურობა ჩემი ძალააო, ამბობს რეზო თაბუკაშვილი. როგორც კი რაღაც შესაძლებლობა უჩნდება, მაშინვე სამოგზაუროდ მიდის. გარდა იმისა, რომ ბავშვობაში შეძენილი ხეტიალის ჩვევა აქვს, მოგზაურობა საწერადაც სჭირდება. აეროპორტიდანვე იწყებს წერას. თბილისში უფრო გადარჩენისთვის ვმუშაობ, იქ კი სხვა სამყაროა, სხვა დინამიკა, სტიმულიო. ადგენს გარკვეულ რეჟიმს, რომელსაც ყოველთვის იცავს. აქ წერს თუ მსოფლიოს რომელიმე წერტილში, ყოველ ჯერზე ახლიდან იწყებს: უბრალოდ გამოცდილება გეხმარება, რომ ძველი შეცდომები აღარ გაიმეორო, მაგრამ ყოველ ჯერზე ეს მაინც ახლიდან დაწყებააო. მქონდა ცდუნება, საზღვარგარეთ მეცხოვრა, მაგრამ გული მაინც სულ აქეთ მომიწევდა და აკი, ვბრუნდებოდი კიდეცო. სხვა ქვეყანაში როცა არის ყველაზე მეტად ღია კაფეებში წერა უყვარს.*

„მიდიხარ და პეიზაჟი იცვლება, ენერგეტიკა და სიმძიმეები გშორდება გზადაგზა. ხედები, რომ თავისუფლდები. აზიაში – ნეპალსა და ინდოეთში ყოფნის ორი კვირის თავზე მივხვდი, რომ რაღაც ქვები ჩამოვყარე. ფიზიკურად იცვლები და გვერდიდან უყურებ და ხვდები, რომ სულ ტყუილად დაათრევ ამ სიმძიმეებს. ოსტაპ ბენდერი რომ ამბობდა, 22 ტონა ჰაერი აწვება ყველა ადამიანსო და შენ კიდევ ამატებ. აქაურობას ახასიათებს ერთმანეთის მონდომებით „დატვირთვა" და იქ კიდევ თავისუფლდები და ხედავ, რომ სხვა მულამი ჩნდება. საერთოდ, მულამია ყველაფერი – შენი, სხვისი. რაღაცას რომ კითხულობ, მაშინაც იმ ავტორის მულამებს აფასებ.

დილით ვმუშაობ ხოლმე. „მესამე თვალის" წერის დროს ნეპალში ვიყავი, მერე – ინდოეთში. კარგად ვიმუშავე, 80-90 პროცენტი იქ დავწერე. „მე-13 დღეს" ნიუ-იორკში ვწერდი. ცუდ ამბავზე მოგვიწია წასვლა, მაგრამ ყველაფერი კარგად დამთავრდა და კარგადაც ვიმუშავე. ორ წელიწადში დაიწერა ეგ ორივე წიგნი. კარგი პერიოდი იყო. მარტო მოგზაურობაც მიყვარს და სხვებთან ერთადაც. მქონდა იმის ცდუნებაც, რომ საზღვარგარეთ დავრჩენილიყავი. მე და ჩემი ძმა ოჯახებით ვცხოვრობდით იტალიაში აფხაზეთის ომამდე. მაშინ უკვე შვილი მყავდა. ახლა ბაბუა ვარ, ორი შვილიშვილი მყავს. იტალიაში ვიცხოვრე წელიწად-ნახევარი. არ იყო ჩემში და არ მომინდა იქ დარჩენა. თუმცა მშვენიერ, კარგ პირობებში ვიყავით. ჩვენი ოჯახის მეგობრები და ახლობლები გვეხმარებოდნენ. ტონინო გუერა იყო ჩვენი მასპინძელი. მაშინ აქ დაბრუნება მინდოდა, ახლა წასვლა მინდა, მაგრამ სულ წასვლა არა.

ისე, ამ ბოლო დროს იტალიაში ვიყავი მარჯანიშვილის თეატრთან ერთად. გამოვედი, ღია კაფეში დავჯექი და წერა დავიწყე. ჩამოიარა ვიღაც იტალიელმა და მომაძახა – „სპექტაკლო". ჩათვალა, რომ ვიპრანჭებოდი, ყურადღების მისაქცევად ვიჯექი. ბავშობიდან დავხეტიალობ. დიდი გზა მარტომ მხოლოდ ერთხელ გავიარე, ანაპურნის საბაზომდე ავედი. ამაზეც დავწერე კიდეც „დაულაგირში". პირველ ქართულ ექსპედიციასთან ერთად ვიყავი ჰიმალაებში. მერე იყო კატმანდუ და ტიბეტი. ალპინისტი არასოდეს ვყოფილვარ, ხეტიალი მომწონს. ზღვა და მთა, ორივე ძალიან მიყვარს. ბავშვობაში მთელი საქართველო შემოვლილი მაქვს, კარგი ხალხი იყო, ვინც გვატარებდა. ახლაც დადიან, ალბათ, ახლა უფრო ტურისტული გახდა ქვეყანა. მაშინ უფრო ველური ამბები იყო. ჩვენმა თაობამ გემრიელად იბოდიალა კარვებით..."

*კი, რეზო თაბუკაშვილს ხეტიალი უყვარს, თუმცა მისი პერსონაჟები მასზე თავზეხელაღებული მოგზაურები არიან – პირველივე გვერდიდან „გიკიდებენ" და ბოლო გვერდამდე არ გიშვებენ. ეს მოგზაურობა ყველასთვისაა – „შინაგანად გვარიანად დალეწილი ხალხისთვის" და მათთვისაც, ვინც ჯერ კიდევ ვერ მოასწრო „საკუთარი ჭინკების" გაცოცხლება; ხან მატარებლით მიქრი, ხანაც თვითმფრინავსა და გემს აფარებ თავს, გარბიხარ, ბრუნდები და ცდილობ, თვალებში უყურო იმ „ჯოჯოხეთის აჩრდილებს, ნებისმიერ დროს და ადგილას რომ ძერწავენ ადამიანები" და ელოდები „ნათელი მხარის ხორცშესხმას, რომ ალქაჯები თავისით გაქრნენ..." და მართლაც ქრებიან.*

# ბანერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მოქმედი პირები:**

**ირაკლი** – რეჟისორი, სატელევიზიო არხზე მუშაობს
**ირინა** – ირაკლის მეუღლე, არქეოლოგი
**გუჯა** – ბიზნესმენი
**ლელა** – გუჯას ცოლი
ყველა გმირი ერთი ასაკისაა, ორმოცდაათ წელს მიტანებული

## პირველი მოქმედება

მთაწმინდის უბნის მაღალჭერიანი ბინა. გემოვნებით გაწყობილი. დიდი ხნის გაურემონტებელი. სიძველის კვალი დაჰკრავს. დიდი ოთახი და სამზარეულო გაერთიანებულია. ირაკლი ტახტზეა ჩამომჯდარი. ირინა სამზარეულოში ნამცხვარს აცხობს.

**ირაკლი** – მოგიხდა უჩემობა.
**ირინა** – შენზეც იმავეს ვიტყოდი.
**ირაკლი** – ახურებ... კაი დანგრეული ვარ.
**ირინა** – სვამდი?
**ირაკლი** – არა... უფრო ვბრაზობდი და ვბორგავდი.
**ირინა** – ეგ გამოგდის.
**ირაკლი** – ბორგვა?
**ირინა** – ბრაზობა.
**ირაკლი** – სხვა თვისებებითაც ვარ ცნობილი.
**ირინა** – ვიცი.
**ირაკლი** – ჰოდა, შენც ისევ მაგ თვალით გამამხედე.
**ირინა** (ჩაიცინებს) – სულ დურბინდით არ გჭვრეტდი, თანაც ვარდისფერლინზიანებით?
**ირაკლი** – წარსულ დროში ნუ მელაპარაკები... მერედა, გაწმინდე ეს შენი ჭოგრიტი და გადაფანტე შავი ღრუბლები.
**ირინა** (ყავას ასხამს ჭიქაში. დაღლილად.) – კარგი რა... (პაუზა)
**ირაკლი** – გაწვალებენ ბავშვები?
**ირინა** – (ყავა მოაქვს. დაბალ მაგიდაზე უდებს ტახტთან) – უფრო გიო, მაგრამ მიფრთხილდება ისიც... გალვიძებისას გვაქვს ბოი, ბალიში მომიქნია დღეს.
**ირაკლი** – ანა?
**ირინა** – ანა ჩაცმული და, სკოლისაკენ პერი-პერი, გამზადებული დამხვდა.
**ირაკლი** – ჰო, ანა წესრიგა გვყავს, დედიკოს გოგოა... გიო ხომ არ ზარმაცობს?
**ირინა** – არა, ცოტა იმ გოგომ აგვიბნია ტვინი, მაგრამ ყოჩაღ, კარგად სწავლობს. დაინახა, რომ დაუფასდა და... მძიმე ასაკი კი აქვს...
**ირაკლი** – (წამოდგება ფეხზე ჭიქით ხელში) ... და როდესაც ყველაზე მეტად სჭირდებათ მამა, ის გასულია მომსახურების არედან, მიხეულია... შენი გადაწყვეტილებაა, ჩემო... (პაუზის შემდეგ მოსვამს ყავას).
**ირინა** (ირონიულად) – ძალით ვერ დაამთავრე?
**ირაკლი** – მართალი ხარ... ჩემო სიცოცხლე. ჩემი სიცოცხლე ხარ, აბა, რა ხარ?.. მაგრამ არაო და, ძალას ვერ დაგატან.
**ირინა** – აღარ გააგრძელო. ნათქვამი გვაქვს ყველაფერი.
**ირაკლი** (გაბრაზებით) – რა ყველაფერი?.. რომ ატრაკებ და უკან არ იხევ?
**ირინა** – ისევ თავიდან... არ ვატრაკებ, დავიღალე!.. არ გინდა არაფრის გამოცვლა. ჰოდა მიდი, იარე ამ შენს გზაზე...
**ირაკლი** – ოცდასამი წლის თავზე აღმოაჩინე , რომელი გზითაც მივაბოტებ? აქამდე სხვა შარაზე და ჰაივეიზე მხედავდი გადებულს?... შენ და ბავშვები ხართ ეს „ჩემი გზა"... რას მახსენევინებ...
**ირინა** – გეყო... ცოტა ვილაპარაკეთ?.. ხომ ვხედავ, რომ შენც დაიღალე...
**ირაკლი** – ცდები, მე არ და ვერ ვიღლები... შენ ხომ იცი (ჩაიცინებს).
**ირინა** – ნუღარ მახსნევინებ, გთხოვ.
იარაკლი (აგრესიულად ჩაიქნევს ხელს) – გეყო... მორჩა.
**ირინა** – ჰოდა, მორჩა... სხვა თემაზე ვართ შეხვედრილები.
**ირაკლი** – (მოსვამს. დამშვიდებულად.) – რაო, რა გვინდაო?
**ირინა** – აი, მოვლენ და იტყვიან.
**ირაკლი** (ბრაზი არა აქვს განელებული. თავიდან აინთება ) – რას გვეტყვიან?! მხეცი კალგოტკები და ტყვიაგაუმტარი, უმაღლესი ხარისხის ლიფები გამოიფინება თქვენს თავზე, ბანერზე, ახუიტელნი ნაშებზე, სულ ტოპ-მოდელებზე ზედ დამკვდარი, ნაკლებს რავა გაკადრებთო?!.. შალვიკა პაპა კი გლიჯავდა ეგრევე დუპლეტს თავისი ლებოს თოფიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ირინა** – წყალი ჩაუვიდათ გუშინ ჩვენგან. გამოსაცვლელია მილები.

**ირაკლი** – შენი უარი ვერ დაიჯერეს?.. ვაჭრობის იმედზე არიან?

**ირინა** – კი ვუთხარი და...

**ირაკლი** – რა ხალხია?

**ირინა** – რა გითხრა?.. არც შესახლებულან დაბლა ბინაში ჯერ. რემონტს მორჩნენ. ეზიდებიან ავეჯს.

**ირაკლი** (ბრაზობს ) – ... და პირდაპირ ბანერი მოითხოვეს თავზე გვირგვინად დასადგმელად?

**ირინა** – არ მანერვიულო, გთხოვ, ისედაც სიმწრით მიჭირავს თავი... (ნამცხვარს მიუბრუნდება) ცოლი იყო ამოსული გუშინ, ლელა ჰქვია, თუ არ ვცდები: ჩემი ქმარი მოვა ხვალ, თქვენ თქვენსას დაუძახეთ და დავილაპარაკოთო.

**ირაკლი** – სადაურები არიან?

**ირინა** – არ ვიცი, არ მიკითხავს და აქცენტზე ვერ მივხვდი.

**ირაკლი** – დაბერილი ტუჩებით, ფიტნეს კლუბში ნავარჯიშები, დაღლილი მზერით მართავს უზარმაზარ ჯიპს და...

**ირინა** – რომ იცოდე – არა... ნუ , ოდნავ დაბერილი არის.

**ირაკლი** – იციან, რომ პაპაჩემის აშენებულია ეს სახლი?

**ირინა** – ამდენის თქმა ვერ მოვასწარი. ცოტა ხნით შემოირბინა, ყავაც არ დალია. შეხვედრაზე შევთანხმდით.

**ირაკლი** – ბავშვებს უთხარი ჩვენ შესახებ?

**ირინა** – თვითონაც ხედებიან. დიდები არიან.

**ირაკლი** – გიოს გავუარე სკოლაში გუშინ. დავაპირე ლაპარაკი, მაგრამ ამიცილა, არ გამაგრძელებინა... არ უნდათ დაჯერება... მეც ვერ მჯერა...

**ირინა** (თუმას გამოცვლის) – ... ცოტაც და მზად იქნება ჩემი ნამცხვარიც (გაზქურასთან ფუსფუსებს).

**ირაკლი** – ... ცოტაც და, წესით, ისინიც უნდა მოვიდნენ (კედლის საათს ახედავს). გრაფინი მომეცი, ღვინოს ჩამოვასხამ. ანდრომ გამოაგზავნა კახეთიდან და გუდის ყველი ზღაპარი.

ზარის ხმა. ირინა კარს აღებს. ლელა და გუჯა შემოდიან.

**გუჯა** – კეთილი იყოს ჩვენი ფეხი თქვენს ოჯახში.

**ირაკლი** – გამარჯობა (ხელს ართმევს გუჯას. ლელას თავს უკრავს.)

ერთმანეთს ესალმებიან.

**ლელა** (თვალს მოავლებს ოთახს) – რა კარგია ძველი გარემო, სურნელიც კი რომ არის შემორჩენილი... დღემდე ვგიჟდები.

**გუჯა** (ჩაიბურტყუნებს) – ჰო, ძველი კარგია...

**ირინა** – დაბრძანდით... ჩაი, ყავა?.. ნამცხვარი გამოვაცხვე. ამბობენ, გემრიელი გამომდის.

**ირაკლი** – ღვინო არ მიდის ნამცხვარზე. კახეთიდან გამომიგზავნა ძმაკაცმა და თუ ინებებთ...

**გუჯა** – მე სიამოვნებით.

**ირაკლი** – ირინ, გუდაც დაგვიჭერი.

**ლელა** – მე ყავას დავლევ ( დადის ოთახში. ბუხარზე შემოდებულ ფოტოებს ათვალიერებს). როგორი სხვა იერები ჰქონდათ ადრე ხალხს... თქვენი წინაპრები არიან?

**ირინა** – ჩემი და ირაკლისაც... აი, ირაკლის პაპა, შალვა, მან ააშენა ეს სახლი (ფოტოზე ანიშნებს).

**ლელა** – გევხართ (ირაკლის გამოხედავს).

**გუჯა** (ისიც მივა ბუხართან, ფოტოს დახედავს.) – მართლა გევხართ... ჯიში, ძამიკო, ჯიშიო, როგორც იტყოდნენ...

**ლელა** – და დღეს რა სასაცილოები არიან, მშრალ ხიდზე რომ ყიდულობენ ძველ ფოტოებს... აი, ასეთი გარეგნობის, ლამაზად გამონყობილი ადამიანების ფოტოებს და სახლში რომ დებენ გამოსაჩენ ადგილას, ვითომ მათი შთამომავალნი არიან...

**ირაკლი** – ჰო, ამზის გარეშე ხალხია და... (შეწყვეტს) ამ დროს ყველას აქვს თავისი ამბავი.

**გუჯა** – ზოგს დიდად არ მოსწონს საკუთარი „ამბავი" და სხვისას იბრალებს.

**ლელა** – ბებიაჩემის ძველისძველი განჯინა წამოვიღე. ისე მოუხდა დიდ ოთახს... სულ თავიდან გავარემონტებინე, პეტლები ჰქონდა ჩამომძვრალი და ერთი კარიც მოტეხილი... ორი ათასი დამიჯდა. ძალიან მეძვირეები გახდნენ ხელოსნები...

**გუჯა** – ყველაფერი გაძვირდა... მშვენიერი ღვინოა. მე ჩემსას გაგასინჯებთ შემდეგზე. თუ მეზობლობაა... „მეზობელი კარისაო, სინათლე ხარ თვალისაო"... ხომ გაგიგონიათ?

**ლელა** – ანგელოზებზე შევიმალე სადარბაზოში. უფრო მაგ ენჯელებმა გადამაწყვეტინეს ამ ბინის ყიდვა... რომ შემოვედი ამხელა, უზარმაზარ სადარბაზოში და თითქოს შემომეგებნენ ციდან (ხელებს შეართეზბს და ნეტარად აიხედავს ჭერში).

**ირაკლი** – იტალიელი კედლის მხატვრები ჩამოაყვანინა პაპამ სპეციალურად. ცოლს გაუკეთა საჩუქარი სახლის სახით... ეტყობა, ბევრი ცოდვის სანაცვლოდ (ჩაიცინებს და ღვინოს მოსვამს.)

**გუჯა** – ქალი ძვირი გიჯდება... ფულს არ ვგულისხმობ. ერთ, პატარა გადახვევას უთუს ბირად გიჯენს (გაეღიმება, ლელას გახედავს. ლელა გადაიკისკისებს.)

**ლელა** – თქვენ გაძლებას ვერაფრით გამოისყიდით...

მითუმეტეს, შენსას, გუჯიკო (კისკისი)... ისეთი მყავს, ისეთი...

**გუჯა** – ჰო, კარგი, გეყო... ჩვენ რომ არ გყავდეთ, რა გეშველებოდათ? (სიცილით მიურტყამს ჭიქას ირაკლის.)

**ირაკლი** – გეთანხმები ბოლომდე. ნეკნი ხომ ნაილეს და გულზეც უნდათ დაპატრონება.

**გუჯა** – კი, მტაცებლები არიან, ვერ დაანაყრებ...

**ლელა** – ახლა შენ გაჩუმდი!.. თქვენ რომ ხართ – ტიფასა. ყოველდღე ძეგლი უნდა დაგვიდგათ (ირინას მოიმველიებს დამხმარედ).

**ირინა** – მართლა ბევრს გვამადლიან საკუთარ თავს...

**ირაკლი** – ორი-ორზე გავიყავით?.. გოგოებო, გაგიმარჯოთ!

**გუჯა** – გაუმარჯოთ ჩვენს მშვენიერ ქალბატონებს!

**ლელა** – ამ ნამცხვრის რეცეპტი მინდა, თუ სეკრეტი არ არის. გადავირიე, ისე მომეწონა.

**ირინა** – ჩაგაწერინებთ.

**გუჯა** – მაშინდელი გადასახედიდანაც კაი ძვირი დაუჯდებოდა პაპათქვენს ამ სახლის აშენება. თავადებს ფული არ ჰქონდათ და... რა მოხელე-ნაჩალნიკი... ფოტოზე ვნახე, ოფიცრის ფორმაშია.

**ირაკლი** – სამხედრო იყო, გემის კაპიტანი... ფარტმა გაუმართლა. ადესაში ბანკი მოხსნა.

**გუჯა** (დაბნეულად) – ბანკი გაიტანა?

**ირაკლი** – არა. კარტში მოიგო.

**გუჯა** – ჰო, თორემ სულ ბანკი და სესხბანკი... მეც რამდენჯერ შემომთავაზეს – გავხსნათ, გახსენიო, მარა, არა... არ არის ჩემი ბიზნესი...

**ირაკლი** – ჰო, ბანკები ტეხასში ტეხასელებმა უნდა გატეხონ.

**გუჯა** – ბატონო?

**ირაკლი** – არაფერი, ფილმიდან არის.

**ლელა** (ირინას) – ჩვენი ბიჭები ერთ კლასში რომ სწავლობენ... (ოდნავ უცნაური დაკვირვებით).

**ირინა** – მართლა? კარგია.

**ლელა** – ყველა ვარიანტში მთაწმინდაზე ვაპირებდით სახლის ყიდვას და თემურიკოც აქვე შევიყვანეთ სკოლაში სამი თვის წინ... სანამ უცხოეთში გაგვიშვია.

**ირინა** – კარგი სკოლაა. მთავარია, ბავშვმა მოინდომოს სწავლა.

**ლელა** – მართალია, მთავარია, ბავშვი რას იზამს, თორემ... ხულიგნობაც ყოფილა მანდ... დღეს ბულინგს რომ ეძახიან (მრავალმნიშვნელოვნად).

**ირინა** (ჩაილაპარაკებს) – ამ ასაკში ყველგან ხდება.

**ლელა** – ხოო ... (ხელებს დაილაგებს მუხლებზე).

გუჯას ტელეფონი რეკავს.

**გუჯა** – არა-თქვა. მაგას რომ გონია... ბებია უჭყავის... კარგი, მაცალე საქმეზე ვარ. მე თვითონ დაველაპარაკები.... (ტელეფონს გათიშავს, ჯიბეში ჩაიდებს და საქმიანად მიუბრუნდება ირაკლის) რა ხდება ტელევიზიაში?

**ირაკლი** – როგორ?

**გუჯა** – არა... ვიცი, რომ ტელევიზიაში მუშაობთ და ფილმებს იღებთ დოკუმენტურებს.

**ირაკლი** – კი, შეკვეთა მაქვს აღებული. უცხოელები არიან, ბრიტანელების დაკვეთაა. ბუნების დაცვის პროექტით. ჩვენი ნაკრძალების დაცვა, მოვლა და ასე შემდეგ.

**გუჯა** – გაჩეხეს ქვეყანა... ვინც მაგით შოულობს ფულს!... შვილები არ ჰყავთ, თუ არ უყვართ?!.. გადარიცხული მაქვს მასეთ ფონდებში ბლომად.

**ირაკლი** – ფულიც სჭირდება და გარჯაც, თორემ...

**გუჯა** – ... თორემ „თუ ფეხშიშველამ არ გაიარე ცვრიან ბალახზე, რაა მამული...“ ეჰ, სადღა აქვთ ეგ გაგება.

**ირაკლი** – ჰოდა, ეგ გაგებაა მთავარი...

**ირინა** (შეაწყვეტინებს) – მე არქეოლოგი ვარ. გათხრებისას, მიწის ჩიჩქნისას, წარსულთან ძლიერი კავშირი მყარდება. ყოველი ნაპოვნი ნივთი, ძველ ამბავს გიყვება ახლებურად. შავ-თეთრი ფირივით, კადრებად შეგიძლია აღიდგინო მათი შემქმნელის ყოფა, შრომა...

**ირაკლი** (გააწყვეტინებს. ირონიულად.) – ...შრომით დაღლა, მერე ცოტა დალევა და კონფლიქტი ოჯახში...

**ირინა** (ირაკლის გახედავს) – რომ იცოდე, ამასაც დაინახავ, თუ მოინდომე... გაყვები ნივთს, მის გამკეთებელსაც დაინახავ... და ოჯახში უთანხმოებაც იკითხება ნაკეთობაში, თუ კარგად დააკვირდები...

**გუჯა** (ნიშნის მოგებით) – მაი კინოა უკვე.

**ირაკლი** – უფრო მწერლობა.

**ირინა** – არც ერთი ვარ, არც მეორე, მაგრამ... მოკლედ, ნაპოვნი ნივთი თავისას გიყვება.

**ირაკლი** (ისევ ირონიულად) – ბრაზიანად გაკეთებულის გამორჩევაც შეგიძლია?

**ირინა** – კი, ირაკლი, შემიძლია.

**ირაკლი** – და რაო? ცოლთან ნაჩხუბარი სხვა ჯანით ზილავს კაცი თიხას და ოდნავ უხეში გამოსდის?..

**ირინა** – საქმეს სიმშვიდე სჭირდება.

**ირაკლი** – ბრაზიც მოსულა, ხანდახან უხდება საქმეს, გემრიელ შტრიხებს მატებს.

**გუჯა** – ბიზნესშიც ეგრეა... არ იქნები აგრესიული და შეგჭამენ.

**ლელა** – თქვენ როდის დაოჯახდით... და როგორ გაიცანით ერთმანეთი, თუ სენსიტიური თემა არ არის?

**ირინა** – ოცდაათის ვიყავით, გიო, რომ გაგვიჩნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ლელა** – უი, ჩვენც ზუსტად... ცოტა დაგვიგვიანდა... ერთი თაობა ვართ... და როგორ გაიცანით ერთმანეთი?

**ირინა** (ირაკლის გახედავს) – ორივე გაშორებულები ვიყავით პირველ ქორწინებაში. შორიდან ვიცნობდით ერთმანეთს. საერთო მეგობრებთან შევხვდით და...

**ირაკლი** – ... და აგირიე ტვინი ლამაზ გოგოს...

**ირინა** (ჩაეცინება) – არა... კარგი იყავი მართლა...

**გუჯა** – ახლა რა, სიბერე შემოგვეპარა თუ რა?!.. ბეჭებზე დაედებით ამ ახალგაზრდებს...

**ლელა** – ჩემმა გუჯიკომ არც აცია, არც აცხელა, ჩამაგდო მანქანაში და მომიტაცა... მეც მიყვარდა შორიდან, მაგრამ ვერ ვბედავდი... დიდხანს არ გვიჩნდებოდა ბავშვი, თემურიკო... ჩემი სინათლე... (სიგარეტს გააბოლებს). წინა ქორწინებიდან გყავთ შვილები?

**ირინა** – არა.

(პაუზა. ირინა სამზარეულოში ტრიალებს).

**ლელა** – ...დედა, რა ქალაქია მილანი!.. ხაართ ნამყოფი?

**ირინა** – არა.

**ლელა** – მსოფლიო მოდის დედაქალაქია, და სწორედ მანდედან ჩამოგვაქვს ყველაფერი საუკეთესო...

**გუჯა** – პარიზიდანაც...

**ირინა** – პარიზში ნავედით მე და ირაკლი გაცნობიდან რამდენიმე დღეში. ორივეს გვქონდა შენგენის ვიზა. გავიპარეთ აუფრიდან და მოვხიეთ... მაშინ სხვა პარიზი იყო.

**ირაკლი** – პარიზი ყოველთვის პარიზია.

**გუჯა** – იქაც ბევრი იცვლება. ხშირად მიწევს სიარული და, გადაშავდა პარიზი. შეჭამეს არაბებმა. ჩხუბიც მომიწია მანქანის გაჩერებისას... თავხედობენ ნაწლეტანი და გასდით... ბევრის უფლებას აძლევენ ეს ფრანგები.

**ლელა** – ბავშვები ჯობია ამერიკაში გავუშვათ სასწავლებლად. კი შორია, მაგრამ თემურიკოს იქ შევურჩიეთ უნივერსიტეტი.

**გუჯა** – სწავლაში ფული არ უნდა დაინანო, თორემ იქნებიან მთელი ცხოვრება ეილაცების მომსახურებაში... ძვირი გახდა განათლება, მაგრამ მაგისთვის ვშვები ამ ბიზნესს... მთავარია, უკან უნდა მოუნდეთ დაბრუნება... არ მოინდომებს თემურიკო და ჩამოვათრევ ყურით..

**ლელა** (გაღიზიანებულად) – არ დასჭირდება თემურიკოს არაფრის შეხსენება.

**ირინა** – ძვირია, მართლა ძალიან ძვირია. ჩვენმა გიომ იყოჩაღა, სრული გრანტით მოეწყო გერმანიის უნივერსიტეტში, გაისად მიდის, თორემ მთელი სახლიც რომ გაგვეყიდა, მხოლოდ ერთ წელიწადს თუ გავქაჩავდით.

**ლელა** (დაძაბულად) – გიოზე მითხრა თემურიკომ... კარგად სწავლობსო და... ლიდერი, ყოჩიაო სკოლაში.

**ირინა** – მძიმე ასაკი აქვთ. მანერვიულებს ბევრს. ყველაფერზე პროტესტს აცხადებს... (უფრო თავისთვის) თუმცა, უკვე დიდი ბიჭია...

**ლელა** – აგრესია და... ეს ბულინგია თურმე სკოლაში გამძვინვარებული...

**ირინა** (ცერად გახედავს) – ყველგან ხდება.

**გუჯა** – ბიჭებმა ცოტა უნდა იჩხუბონ, აბა...

**ლელა** – ჩვენი თემურიკო ისეთი უკონფლიქტოა და... პოზიტიური...

**გუჯა** (გაბრაზებით) – რას ნიშნავს პოზიტიური... ვაჟკაცია და თუ საჩხუბარია, იჩხუბებს, მა რა უნდა ქნას?..

**ლელა** – ...ჰოდა... (ვერ დაამთავრებს).

**გუჯა** (ბუხართან მივა. ფოტოს დახედავს.) – ეს აფხაზეთის ომის არის? (ირაკლის ჰკითხავს. ის თავს დაუკრავს.) ეჰ, რა ბიჭები დავკარგეთ... მეც ვიყავი, ორგანოებში ვმუშაობდი მაშინ, ლაზრასთან ვიდექით...

**ლელა** (ბუხრის გვერდით, კედელზე დაკიდებულ, კიდეებჩამომტვრეულ პატარა თეფშთან მივა) – ეს რა მშვენიერებაა!

**ირინა** – ჩემი პირველი ნაპოვნია... სტუდენტობისას, ბოლნისის გათხრებში ვიპოვე... არც ისეთი ძველი და სამუზეუმო ექსპონატი აღმოჩნდა და მაჩუქეს, გამომატანეს სამახსოვროდ.

**ლელა** – ნეტა რა ხელმა შექმნა... შესანიშნავია... შეიძლება ჩამოვხსნა?

**ირინა** – მე ჩამოვიღებ (მოხსნის კედლიდან და მაგიდაზე დადებს. ლელა ფრთხილობს ხელის შეხებას. აღტაცებული აკვირდება.)

**ირაკლი** – ეს თეფში ნამდვილად არ არის ბრაზიან გულზე გაკეთებული... გარკვეული გვაქვს მისი ამბავი. ბედნიერი, მრავალშვილიანი ოჯახის მამამ შეთიხა გემოზე (ირინას გაუღიმებს.)

**ირინა** – ან დედამ...

**ირაკლი** – ჰო, ამ თემაზე არ ვდაობთ. ცოლ-ქმარმა ერთად შეთიხა და გამოწვა ლუმელთან მყუდროდ მოკალათებულმა.

**გუჯა** (ჩაფიქრებით) – სად გაქრა სიმყუდროვე?.. მუდმივი დავიდარაბა არის ყოფაშიც და ბიზნესშიც... იქ, საქმეში მოსულა, სხვანაირად არც გამოგივა რამე, მაგრამ ამ ერთ ციდა სიცოცხლეში რა გაჩხუბებს, ადამიანო?.. (ღვინოს დაისხამს.)

**ლელა** (ნიშნის მოგებით) – უფროსებს ჭკუა არ ყოფნით... მაგრამ ბავშვებშია საშიში და ხშირი აგრესია... აი...

თქვენთვის არ მოუყოლია გიოს? (ირინას მიმართავს.)

**ირინა** – რა?

**ლელა** – არ მინდოდა მეთქვა... პატარა უთანხმოება მოსვლიათ ერთმანეთში...

**გუჯა** – ვის?

**ლელა** – არაფერი, გუჯიკო... წაკამათდნენ... თემურიკო ახალი გადასულია, არავის იცნობს... უკონფლიქტოა ძალიან, ხომ გითხარით, მაგრამ ვიღაც ბიჭს, გიოს მეგობარს გაუბრაზებია და დაურტყამს მისთვის თემურიკოს... იმ ბიჭს კი გიო გამოსარჩლებია...

**გუჯა** – წარბგახეთქილი რომ მოვიდა სახლში, მოპედიდან გადმოვვარდიო?..

**ლელა** – ჰო, აღარ გითხარი.

**გუჯა** – რას მიმალავ, ქალო?!

**ლელა** – არაფერი ისეთი...

**ირაკლი** – და რაო, როგორ მოხდაო?

**ლელა** – რაღაც უმიზეზო მიზეზით წაჩხუბებულან თემურიკო და გიოს მეგობარი... და მერე... გიო ყველაზე გამოსული ბიჭია სკოლაში... თემურიკოსგან ვიცი... და... დიდობენ კიდევ... და გარჩევა დაიწყეს... და ბულინგი...

**გუჯა** – რა ბულინგი, გოგო?

**ლელა** – არაფერი... ნაიჩხუბეს და შერიგდნენ მერე.

**ირაკლი** – იცით, რომ შერიგდნენ?

**ლელა** – კი, აბა... მერე მანდატურიც ჩარეულა, პატრულს იძახებდა. დირექტორმა არ ქნა...

**გუჯა** – მერე?

**ლელა** – რახან თემურიკოს ჰქონდა წარბი გახეთქილი... გინდა თუ არა, გვითხარი, ვინ დაგარტყაო...

**გუჯა** – მერე?

**ლელა** – თემურიკომ – კიბეზე დავეციო... ვერ გატეხეს...

**ირინა** (სამზარეულოში მაგიდას წმენდს. ჩაილაპარაკებს) – გიო არაფერს გეიყვება სახლში.

**ირაკლი** – რა გინდა, ჯიგრულად, ბიჭურად გაიცნეს ერთმანეთი... თითქმის ყველა ძმაკაცთან ნაჩხუბარი ვარ...

**ლელა** (ირონიულად) – და ურტყამდით თქვენს ძმაკაცებს?

**ირაკლი** (დაბნეულად) – ნუ... ისინიც მირტყამდნენ...

**გუჯა** (ლელას) – აქამდე უნდა გეთქვა ჩემთვის... ჰო, მართალი ხართ (ირაკლის მიარტყამს ბეჭზე ხელს), კაცურად გაიცნეს ერთმანეთი.

**ირინა** (ოდნავ არეულად. დაძაბულობის განმუხტვას ცდილობს) – ირაკლის პაპამ, შალვიკამ, თავისი მეგობარი დაჭრა დუელში...

**ირაკლი** – არ იყო ის მეგობარი, პადლეცი იყო. ძლივს გადარჩა.

**გუჯა** – რა ქნა ამისთანა?

**ირაკლი** – მეგობრობის ამბავი იყო. შალვიკას ძმაკაცთან ერთად ყოფილა ის ჩემისა რუსეთის რომელიღაც კაზაკში. იქ სხვა დივიზიის სამხედროები დაუგესლია მთვრალს, ჩხუბი წამოუწყია და საქმე-საქმეზე როცა მიდგა, თავად გამქრალა, გაქცეულა... შალვიკას ძმაკაცი კაზაკებმა აჩეხეს ხმლებით...

**ლელა** – აი, პარიზის ქუჩებში რომ დავდივარ, სულ სამი მუშკეტერი, დარტანიანი და კონსტანცია ბონასიე მელანდება... იმდენი ვიტირე ბავშვობაში... რა კარგია ბაიარს [illegible] როლში.

**გუჯა** – სადღაა მაგ პარიზი. აგერ, ბოლო ჩასვლაზე, ტავარი იყო შესარჩევი... ყველაზე ცნობილი ფირმაა მანდ და მთელ მსოფლიოშიც, და აქაც შემოეიტანე უკვე... და კაცი იყო ის მენეჯერი თუ ქალი, ვერ გევერკვიე დღემდე... არ გავდა არცერთს.

**ირაკლი** (სიცილით) – დუელში გამოსაწვევი ვერ იყო?

**გუჯა** (ისიც იცინის) – რაის დუელი... მარა, საუკეთესო საქონელი კი აქვთ, მონიკა ბელუჩიც მათი სახეა და კიდო...

**ირაკლი** – ...ძუძუ?

**გუჯა** – ვერ გავიგე?

**ირაკლი** – ლიფების ფირმა არ არის?

**ლელა** (ირინას) – ბიუსგალტერები, ტრიკოტაჟი, ანჟელიკას ლიფები, კალგოტკები, უმაღლესი ხარისხის... და სწორედ მაგის ბანერი გვინდა...

**ირაკლი** – ბანერზე სალაპარაკო გვაქვს...

**ლელა** – აი, ნახეთ... (ჩანთიდან იღებს ალბომს და ირინას აწვდის. კედლიდან ჩამოღებულ თეფშს ხელს გაჰკრავს. თეფში მაგიდიდან გადმოვარდება და ტყდება.) – ვაი!

**ირინა** – ვაი! (დამტვრეული თეფშის ნატეხებს აგროვებს.)

ირაკლი და გუჯაც მივლენ მაგიდასთან.

**ირაკლი** – დაწებდება? (ირინა გაშეშებული დგას. ხელისგულებზე თეფშის ნატეხები უჭირავს.)

**გუჯა** – რა უხერხულია... (ირინას) რა ცუდად გამოვიდა...

**ლელა** – დედა... ცუდად ვარ... შაქარმა დამიწია... (თვალებგადაკარკლული გადავარდება სავარძელზე).

**გუჯა** – ტკბილი, ჩქარა!

**ირაკლი** – ირინ... ჰეი, ირინ! (ირინა გათიშულია. დამსხვრეულ თეფშს დაჰყურებს) რამე ტკბილი გვაქვს სახლში?

**გუჯა** – ნამცხვარი არ წავა... ან შოკოლადი ან თაფლი.

**ირინა** (გონს მოეგება დუნედ) – თაფლი მაქვს რაჭული (ნატეხებით ხელში სამზარეულოში გადის. ცოტა ხანში ბრუნდება. თაფლის ქილას და კოვზს აწვდის ირაკლის).

**გუჯა** – მე მომეცით (ართმევს. კრიჭას ულებს ლელას.) სუპის კოვზი ხომ არ გაქვთ?.. ლელა! ლელა! (დაჰყვირის).





ეროვნული ბიბლიოთეკა

ირინა ისევ ოდნავ დაბნეულია. ირაკლის მოაქვს კოვზი. გუჯა ამოუსვამს ქილაში და პირში ჩაუდებს ლელას. ლელას თავიდან ხველა აუტყდება, კინაღამ დაიხრჩობა. გუჯა და ირაკლი შეახმარენ ხელს, კომფორტულად მოათავსებენ სავარძელში. ცოტა ხანში გონს მოვა.

**ლელა** (ამოილაპარაკებს) – მეგონა მოვკვდი...

**გუჯა** (ნერვიულად ადგას თავზე) – ხომ გაიკეთე ინსულინი?!

**ლელა** – მოვკვდი... (გამოცოცხლდება) სირცხვილით მოვკვდი... ეს რა დაიწყნართა...

**გუჯა** (აღელვებული ადგას თავზე) – ეგ არაფერი, გადავიხდით მაგისას, კაცო...

**ირაკლი** – შენ აქ ქარვასლაში ხომ არ გგონია თავი?!

**გუჯა** (ბრაზიანად შემოუტრიალდება.) – ე, როგორ?.. ერთი გახეთქილი ნარბი კიდევ თქვენზეა...

**ირაკლი** – წამო, გავიდეთ.

**გუჯა** (პიჯაკს იხდის) – წამო!

**ლელა** (ისტერიულად) – ეგ არ მოხდება... ამას მე ვამბობ, ქალი! (დემონსტრაციულად დგება ოთახის შუაში და თმას იშლის. დგას.)

ირინა დაბნეული უყურებს ფეხზე წამომხტარ ლელას. ირაკლი და გუჯაც მას მისჩერებიან.

**გუჯა** (პირველი მოეგება გონს) – კარგი, დაწყნარდი... შაქარმა იცის (ირაკლის და ირინას გახედავს).

**ლელა** (როლშია შესული. შაქრის შემოტევა აქვს.) – წვეთი, წვეთი სისხლი არ დაიღვრება აქ!.. მე ვამბობ, დედა და ქალი!...

**გუჯა** – ე, გოგო! (მივა, მიეფერება.) ლელა!.. აქ ვართ!.. აბა, შემომხედე, დამშვიდდი.

**ირაკლი** – ლელა, დაწყნარდი...

**ლელა** (აზრზე მოვა.) – უკაცრავად (სავარძელში ჩაჯდება). შაქარმა იცის... ბოდიში, ავირიე.

**ირინა** – რა გირჩევნიათ, რომ მოგცეთ?

**ლელა** – არა, მადლობა, გადამიარა... უი, ეს რა ვქენი!.. (თეფში გაახსენდება და სახეზე აიფარებს ხელებს).

**ირინა** – ეგ არაფერი... ეგ არაფერი... დიდ ნატეხებად დატყდა, შევაწებებ...

**გუჯა** (ირაკლისთან მივა.) – უკაცრავად, გავცეცხლდი.

**ირაკლი** – მეც ბოდიშს გიხდით (ჩამოართმევენ ერთმანეთს ხელს.)

გუჯას ტელეფონი რეკავს.

**გუჯა** (ლელას) – დედაშენია. მეცხრედ რეკავს... (ყურმილს მიიდებს.) გისმენ, ლაურა... სად ხარ?.. არ ისმის... ჰო, საცობებია ყველგან... რა არ შეიძლება?.. ეგაა ჩვენი ცხოვრება?.. მართალი ხარ, მართალი (ტელეფონს მოიშორებს და დემონსტრაციულად დაიგმინებს)... აქ არის ლელა, აქ... ცუდად ისმის, ლაურა... (გათიშავს) შემჭამა ამ ქალმა... (ლელას) შენ რატომ არ გირეკავს? სულ ჩემი ნომერი აქვს აკრეფილი...

**ლელა** (გამოცოცხლდება) – აბა, ზმუკი!.. ლაურა დედაა ჩემი (ირინას მიმართავს)... და მთელი ოჯახის დედაა! (გუჯას უყურებს გაბრაზებით.) კი დავტოვეთ მარტო...

**გუჯა** – ისე ამბობ, თითქოს უდაბნოში დავტოვეთ... ვაკეში, ოთხოთახიანში...

**ლელა** – მაგრამ მარტოა. თითქოს გავექეცით, ეგრე გამოდის და სწყინს...

**გუჯა** – რა სწყინს, ქალო?.. კატუშა იქ ყავს, ბავშვებიც სულ მასთან არიან, ჩვენც... მე დღეში ზუსტად ოცდარვა საათი სატელეფონო ხაზზე ვყევარ მუდმივ რეჟიმში... ჯანზეა, ჯვარი სწერია...

**ლელა** – ჰოდა, ეწეროს... (გაბუსხულია).

**გუჯა** (ირაკლის) – ვაკის პარკს ცხრა წრეს ურტყამს, სადაქალო გაიჩინა იქ... ბიზნეს-ნერტილები აქვს ოხრად, ტყავს აძრობს მუშახელს...

**ლელა** (წამოდგება სკამიდან. გაკაპასებით.) – რა თქმა არის?!. არა, რა თქმა არის ეს?!

**გუჯა** – არაფერი ცუდი, ლელა, დამშვიდდი... უბრალოდ, იცის საქმე და ბევრ ახალგაზრდას რომ შეშურდება, ისეთ ჯანზეა... რა ვთქვი ცუდად?.. ნუ გადამრევ ახლა შენ (აფეთქდება ბოლოს)... (ტელეფონი ისევ რეკავს) აჰა, დედაშენია! (ლელას) რაო, რა მოხდა?.. რამე ხომ არ დაგიშავდა?.. რა გჭირთ დედა-შვილს? (ისევ ლელას გახედავს).

**ლელა** (დაფეთებულია) – რა მოხდა?

**გუჯა** – დაწყნარდი, არაფერი სერიოზული... ჰო, ლაურა... დაიმტვრა მანქანა?.. ვისი ბრალი იყო?... პატარა ავარია მოსულია (ლელას) .

**ლელა** – დედა!

**გუჯა** – არაფერი... მიარტყა თუ მიარტყეს პატარაზე... (აგრძელებს ტელეფონზე ლაპარაკს) არ დაძრა მანქანა, ლაურა, ჰო, დაზღვევას და პატრულს გამოუძახე.... საქმეზე ვართ და მოვიდეთ?.. კარგი. მე გამოვუძახებ დაზღვევას (გათიშავს ტელეფონს). გადამრევს ეს ქალი.

**ლელა** (ნაწყენად) – გეყოფა დედაჩემის აუგად მოხსენიება... (მერე უცბად გამოცოცხლდება) რამე ხომ არ დაიშავა?

**გუჯა** – არა, კაცო... საცობში ოდნავ მიასკდნენ ერთმანეთს.

**ლელა** – მიასკდნენ?!

**გუჯა** (აყვირდება) – ნუ შემშლი ახლა!.. არაფერი-თქვა... კიოდა, ანგრევდა იქაურობას.

**ლელა** – წავედით!

**გუჯა** (ტელეფონი ისევ რეკავს) – გისმენ, ლაურა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვიდეთ?.. ვინ არის?.. პატარა გოგოს მიჯახებია (ლელას)... კარგი, ნუ გაუჯავრდები... ვიცი, რომ არ იციან ბავშვებმა ტარება... კაი... გამოგიძახებ დაზღვევას... რაა?.. უკვე მანდ არიან?.. ყოჩაღ, ეს ქალი, დაუწიოკებია იქაურობა (თავისთვის)... ნუ მოიშლი ნერვებს... კაი... (გათიშავს ტელეფონს.) ბოდიში (ირაკლის მიმართავს).

**ლელა** (ირინას) – თქვენ დედა გყავთ?.. ანუ... ზოგადად ცოცხალი... კი არა...

**ირინა** (დარდიანია. თეფშის ნატეხებს ათამაშებს ხელში.) კი... არა (გონს მოეგება) შარშან გარდამეცვალა (ისევ ჩაფიქრდება).

**ირაკლი** (გუჯას) – იშვიათი ადამიანი იყო ლენა, ირინას დედა... წელიწადიც არ გასულა ჯერ... მისი ხსოვნისა ვთქვათ (ჭიქას მიურტყამს).

**გუჯა** – ნათელში ამყოფოს.

ირაკლი და გუჯა განზე გადიან. მათი საუბარი არ ესმით ქალებს.

**ირაკლი** – ვმეგობრობდით, უშეცდომო ქალი იყო. ოცდათვრამეტი წლის ასაკში დაქვრივდა. გულით გარდაიცვალა ირინას მამა. და მას შემდეგ სამ შვილს მარტოკა ზრდიდა, აღარ გათხოვილა... აი, ბუხარზეა მისი ფოტო, რა სილამაზის ქალია.

**გუჯა** (ჩაფიქრებით. ოდნავ უხერხულად. ბუხართან მივლენ.) ჰო, იყვნენ ადრე ქალები...

**ირაკლი** – დღესაც არიან...

**გუჯა** – მართალია, მართალი...

**ირაკლი** (რაღაც ნამოუფრენს) – ჰოდა, სწორედ მანდ ვბრაზობ ხოლმე, რომ: აი, ადრე იყო და ახლა – ვეღარ... რას ნიშნავს ვეღარ?!. (სასმელი მოეკიდა. გალიზიანებულია.) რა, მაშინ ქაჩავდნენ და დღეს – ვერა?.. ზუსტად იგივე ჩათლახობებთან ჰქონდათ ჩხუბი და შეხება... მარტო ქალზე არ ვამბობ... ნაღდი არის და იქნება სანამ ვართ, ვერ გადაშენდება, სანამ ბრუნავს... საკვებსაც და საყრდენსაც მანდ ვეძებ და ვპოულობ... დანახვა უნდა და კაი დაძახება... და ჰა, მოდი გავთხაროთ!.. (გაეცინება. დამშვიდებული ღიმილით გააგრძელებს.), და ისეთივე კარგი თეფში გამოვძებნოთ და კოხტა ყალიბი მოვარგოთ, როგორიც იმ ტკბილად მოღუღუნე ცოლ-ქმარმა გააკეთა ლუმელთან ერთად შრომისას უთვალავი წლის წინ (გატეხილი თეფშისკენ გაიშვერს ხელს. ირინას უყურებს).

**გუჯა** – მართალი ხართ... დეფიციტში იყო და იქნება ყოველთვის მაი კაი გამონათებები, მარა, კიდევ რომ იქნება, ხომ ვიცით (ღიმილით მიმართავს ირაკლის. მხარზე მიარტყამს ხელს.).

**ირაკლი** – ჰო, გავტოპე... უბრალოდ, ძალიან იშვიათი და უცხო ხილი გახდა... არადა, არ არის უცხო...

**გუჯა** – მაგას თუ უცადე, როდის ჩამოივლის და დაგიქნევს ხელს: „აბა, მომყევიო...", დიდხანს მოგიწევს ლოდინი... დასწრებაზეა ყველაფერი... და ეგ კარგი და გადასარევიც დასწრებაზეა, არ უნდა გაუშვა მომენტი, თუ არა...

**ირაკლი** (დაასწრებს. სიცილით.) – ...другого шанса не будет.

**გუჯა** – ფილმიდან არის ეგეც?

**ირაკლი** – კი... მოდი... (დალევას აპირებს)

**ლელა** – გეყოთ ახლა... აქეიფდით ხომ?

**გუჯა** – ღმერთმა არ მოგვიშალოს ქეიფი... ძვირფას და კარგ სიტყვას ვამბობდით, მაინცდამაინც მაგ დროს რომ იცით ხოლმე ქალებმა ჩარევა...

**ლელა** – დაგვისხით ჩვენც.

**ირაკლი** – ირინა არ სვამს.

**ლელა** – ვითომ რატომ?

**ირაკლი** – უფრო სწორად – ვერ. ალერგიულია.

ირინა მორჩილად დაუკრავს თავს.

**ლელა** – მე დამისხით, არ მწყენს, ნუ გეშინიათ... გუჯაც გამომითვრია გემოზე (გადაიკისკისებს).

**გუჯა** (მიდის და უსხამს ღვინოს) – ბევრი კარგი რომ არის დაკარგული და მისი ანარეკლის პოვნაც რომ გვიჭირს დღევანდელ ყოფაში, აი, მაგის სადღეგრძელოს ვსვამდით ქალბატონი ლენას მოსაგონარში...

**ლელა** – ნათელში იყოს თქვენი დედიკოს სული (ირინას მიმართავს).

**გუჯა** – მარა, სულ წარსულს რომ ვჩადიოთ... სხვა რიტმია დღეს, სხვა ფეხას და ჩაჭიდებას ითხოვს დღევანდელობა... გამოტოვებ ერთ ნაბიჯს და ხედავ, რომ ჩაგიქროლეს შენმა კონკურენტებმა, პაკაო, მოგაძახებენ მომავლიდან...

**ირაკლი** – ერთი მაგათი შუბაც...

**გუჯა** – არ არის მასე. საჭირო ხალხია ეგენი. სტიმულსაც გაძლევენ და ბრძოლისთვისაც განგაწყობენ.

**ირაკლი** (გამოერკვევა ფიქრებიდან) – მართალი ხართ, драка-ა მთელი ცხოვრება.

**გუჯა** – ჩემს საქმეში ეგრეა ირაკლი, ამ თვალით ვუყურებთ ერთმანეთს... მტრობას არ ვგულისხმობ მაინცადამაინც, თამაშის წესებია ასეთი...

**ირაკლი** – ბევრნაირი თამაშის წესი არსებობს (ჩაფიქრებით. მერე გამხიარულდება.) მაგრამ ყველა თამაშს ფარტი, იღბალი სჭირდება... შალვიკა პაპას რომ გაუგორა ყისმათიანად ადგესში, ისეთი.

**გუჯა** (ტელეფონი რეკავს) – ...რაო, ლაურა?.. რას იზამ, უზრდელები არიან დღევანდელი გოგოები... ვინ?.. პატრულია უზრდელი?.. შენი ბრალი არისო?.. (გმინავს. ტელეფონს ყურიდან იშორებს.)... თუ შენი ბრალია, დაზღვევა აანაზღაურებს... კაი, რა მოხდა, შეიძლება შენც ვერ მოუხვიე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათანადოდ... მე რაღას გიბედავ?!. დამშვიდდი, ლაურა... დაუძახე პატრულს, მესმის მისი ხმა... გამარჯობათ, ბატონო... გუჯა გახლავართ... მომისმინე წუთით, დამშვიდდით... თქვენ რაღა დაგემართათ?.. ასაკოვანი ქალია... არ არის საჭირო დამატებითი ეკიპაჟის გამოძახება... არ ვართ უცხო ხალხი... მე გიხდით ბოდიშს... კაი, დამელაპარაკეთ ლაურას... (გაბრაზებულია). მისმინე აქეთ ლაურა. ახლა გაჩუმდები, რასაც და როგორც იტყვიან, ისე გააკეთებ, და ხმა, კრინტი და პატრულთან შეწინააღმდეგება არ გავიგო!.. გესმის!.. ხო გაიგე კარგათ!.. ხო, ასე... დამშვიდდი და დადუმდი, ისუნთქე ღრმად... (ტელეფონის მუჭში დამსხვრევა უნდა).

**ლელა** – ნუ უწყრები მას (გუჯას. შემდეგ ირინას მიუბრუნდება) გიყურებთ და ვკვდები... რაფერ გაგიტეხეთ გული...

**ირინა** (ჩაიცინებს) – თეფში... ეგ არაფერი. არ იდარდოთ, გთხოვთ... გამორჩეულად მიყვარდა სხვა ნაპოვნი ნივთებიდან. ალბათ, პირველი რომ იყო, იმიტომ... თან დედაჩემმა შავი ღვინო დაასხა ზედ, სახლში როცა მოვქროლდი ნადავლით. ზურგჩანთაც არ მქონდა მოხსნილი, დედას ეგრევე ვაჩვენე. მეგობარი ჰყავდა სტუმრად, ლალიკო, კარგად მახსოვს. შავ ღვინოს სვამდნენ, აი, ამ მაგიდასთან ისხდნენ... ახალგაზრდები იყვნენ... და, მოლოცვის ნიშნად, თითო ჭიქა ღვინო დააღვარეს თეფშს დედაჩემმა და ლალიკომ, მონათლესავით... ნახეთ, ამ ნატეხზე კიდევ ეტყობა მელნისფერი ლაქა... (ლელა მძიმედ ჩაქინდრავს თავს) ხომ გითხარით, გთხოვეთ, არ იდარდოთ-მეთქი... უნდა გატეხილიყო ბოლო-ბოლო. არ შეიძლება საგანთან ასე მიბმა... ბევრს ვღელავდი, სულ შიში მქონდა, არ გამტყდარიყო, კედლიდან არ ჩამოვარდნილიყო... ჰოდა, არ უნდა გქონდეს შიში, თორემ გატყდება ადრე თუ გვიან... და გატყდა.

**გუჯა** – ...ჰო, ბოლო-ბოლო ყველაფერი ინგრევა.

**ლელა** (ზევით აიხედავს) – უი, თქვენი ჭერი ჩვენსაზე მაღალია.

**ირინა** – კი, ოჯახი აქ ცხოვრობდა, ქვევით...

**ლელა** (გამომწვევად) – ქვევით პრისლუგა იყო განთავსებული?

**ირინა** – არა... ძიძები, ბავშვების მომვლელები, ოჯახის წევრებად ითვლებოდნენ... ადრე იყო ეს...

**ირაკლი** (გააწყვეტინებს) – რევოლუციამდე, ხალხი ბნელი რომ იყო და ბავშვები განუვითარებლები...

**ირინა** (გააგრძელებს) – მარანი ჰქონდათ [illegible] ბევრი ქვერით, მერე ამოქოლეს და სარდაფად გადააკეთეს, რომელიც ახლა თქვენ გეკუთვნით მთლიანად... როგორც შევთანხმდით.

**ლელა** – სამაგიეროდ, აივანი გაქვთ უშველებელი.

**ირაკლი** – ეს სახლი, და გაცოლებაზე რამდენიმე, ისტორიულ ნაგებობებად არის გამოცხადებული. თორემ დაანგრევდნენ დიდი ხანია და აქანე კორპუსს ჩადგამდნენ და იქანე რაცხა უშველებელ სიმახინჯეს.

**ლელა** (ისევ გამომწვევად) – მთლიანად სახლი არაფრით დათმეთ, მხოლოდ ქვედა სართულის გაყიდვაა დათანხმდით...

**ირინა** – არც ქვედა სართულის გაყიდვას ვაპირებდით, მაგრამ...

**ირაკლი** – ჩემმა შვილებმა უნდა იცხოვრონ აქ და კიდევ მათმა...

**ლელა** (არ დაამთავრებინებს) – ...არადა, რომ შევხედე ამ მშვენიერ ნაგებობას, პირდაპირ ბანერი დავინახე მის თავზე და ჩვენი ფირმის რეკლამა ზედ.

**ირაკლი** – ბანერი არ იქნება.

**გუჯა** – ყველაფერს აქვს თავისი ფასი.

**ირაკლი** – ეგ გამოთქმა ძალიან არ მიყვარს...

**ირინა** (ჩაერთვება) – უი, ბოდიში, სულ ამომივარდა თავიდან, წყალი რომ ჩამოგსვლიათ გუშინ ჩვენგან.

**ლელა** – თავიდან მომიწია შტუკატურების და სანტექნიკების გამოძახება.

**ირაკლი** – გადავიხდით.

**გუჯა** – არა გრცხვენიათ... მეზობლები ვართ. წვრილმანია.

**ლელა** – პირდაპირ მეზობლებსაც შევთავაზეთ ბანერი და – არავითარი წინააღმდეგობა, სიამოვნებითაც დაგვეთანხმდნენ.

**ირაკლი** – ვიცნობ, კარგი ხალხია... მერე? რა უდგას წინ?

**ლელა** – მაგრამ ჩვენსაზე... თქვენსაზე ბევრად უკეთ იყურება. ყველა ტოჩკიდან მოჩანს.

**ირაკლი** – არ გაივა ეგ საქმე...

**გუჯა** – რამე ცუდი და იაფფასიანი კი არ შემოგაქვს... მილანშიც, პარიზშიც, და ზოგადად მთელ მსოფლიოში წამყვანი ფირმაა...

**ლელა** (ირინას) – აი, გადაათვალიერეთ (ალბომს აწვდის), ვინც კი ტოპ-მოდელი და ლამაზი მსახიობი ქალია, ზედაა გამოფიმული...

**გუჯა** (ლელას) – გახსოვს, პარიზში, მთლად ტროკადეროსთან, რამხელა ბანერი იყო გაკრული შარლი სტერონით... მომკალი და, მირჩევნია ბელუჩის (ირაკლის).

**ირაკლი** – ორივე კაია, ქერა და შავგვრემანი...

**გუჯა** – ჰო, დააყლებდა კაცი ხელს და კარგ პაეზდკას მოინყობდა ერთი... არა, ორი კვირით მაინც...

**ირაკლი** (სიცილით) – მეტითაც შეიძლება...

**გუჯა** – მულენ რუჟში ვიყავით ძმაკაცები... არაფრად ვარგოდნენ ვარიეტეს გოგოები... დაფასავით მკერდი

ჰქონდათ ან გაკეთებული...

**ლელა** – აბა, გეყოფათ ახლა!

**ირინა** – მართლა გაჩუმდით!

**ირაკლი** – ესთეტიკურ სილამაზეზე ვლაპარაკობთ... თქვენ რა იფიქრეთ? (ირონიულად)

**ირინა** (ლელას) – და, ვაკიდან რატომ წამოხვედით?

**ლელა** (პაუზა. გუჯას გახედავს ცერად) – ცალ-ცალკე ვამჯობინეთ ყოფნა (ბრაზიანად აგრძელებს გუჯას ბურღვას თვალებით). დედაჩემი ლაურა და მისი და, კატუშა, ტყუპები არიან, სულ მარტოკები დავტოვეთ...

**გუჯა** (სარკასტულად) – ტყუპები, თანაც ერთუჯრედიანი... თუ როგორც არის, მოკლედ – ორი ერთნაირი... თან ხმაურია აბაშიძეზე, რა ფანჯარაც არ უნდა დააყენო ზვუკაიზოლატორიანი, სულ ღმუილია მოტოციკლების და ამ ფირმა სპორტული მანქანების... აფუჭებენ შვილებს. არ შეიძლება ასიათასიანი მანქანა აჩუქო თვრამეტი წლისას... გონიათ, კარგს უკეთებენ ბავშვებს... ისე დაბლუიან, იმ სისწრაფით, რაკეტასავით მანქანებით, რომ... ჯვარი სწერიათ.

**ლელა** (ირინას) – ჩვენ თემურიკოს საერთოდ არ ვანებივრებთ. ჰქონდეს ისეთივე, ჩვეულებრივი აიფონი, როგორც სხვებს... არ არის აუცილებელი, სულ ბოლო მოდელებით და ვერტუს ტელეფონით იმარიაჟოს... ცუდი ტონია. თავმდაბლობა – უპირველეს ყოვლისა.

**ირინა** – თვრამეტი წლის რომ გავხდი, ბიძაჩემმა, მამას ძმამ, თავისი ზაპოროჟეცი მაჩუქა. დაქალებთან ერთად გავღებეთ სხვადასხვა ფერად და ამ აჭრელებული მანქანით მთელი საქართველო გვქონდა მოვლილი... როგორ ვეტეოდით შიგ ამდენნი?

**ირაკლი** – მახსოვს ეგ შენი მხიარული მანქანა... ერთიმეორეზე საუკეთესო გოგოები დაქროდნენ ქალაქის ქუჩებში, საჭეს ირინა მართავდა, და გვიჩქარებდნენ გულისცემას ბირჟაზე მდგომ ბიჭებს... მაგრამ მაშინ შორიდან ვიცნობდი ირინას (გუჯას).

**ირინა** – ერთ პახოდში შევხვედით ერთმანეთს (ლელას მიუბრუნდება). ჩვენ ხდის ხეობიდან ვეშვებოდით, ეხლა რუსის სალდათი რომ დგას, ესენი ადიოდნენ. მეც შორიდან ვიცნობდი მაშინ ირაკლის... გოგოებიც გახლდნენ (ირაკლის). ნინა და მისი სამეგობრო გყავდათ მთაში წამოყვანილი... მახსოვს, მახსოვს (ნიშნის მოგებით. გაცინებით.)

**ირაკლი** – მეც მახსოვს... თქვენც გახლდნენ...

**ირინა** – მე გათხოვილი ვიყავი უკვე... სხვაგანაც ბევრჯერ შევხვედრივართ, მაგრამ მაშინ რა ვიცოდით... (ლელას)

**ირაკლი** (ბრაზნარევად) – ...რომ ოცდახამი წელიწადი ერთად ვიქნებოდით, ორი შვილი გვეყოლებოდა და ერთი ხელის მოსმით... პოპა! (ტაშს შემოჰკრავს).

**ირინა** – ეს უკვე სხვა ფილმიდან არის.

**ირაკლი** (გალიზიანებულია) – ერთი ფილმია თავიდან ბოლომდე...

**გუჯა** (ირაკლის. ცდილობს განმუხტოს სიტუაცია). – ტელევიზიაში კარგად იხდიან ფილმებში?

**ირაკლი** (ისევ გალიზიანებულია). – საკმარისად... (მოეშვება, ღვინოს დაასხამს) არა, ცოტას. უცხოელების შეკვეთა თუ არა, კიდევ ნორმალურად, ეგეც კაპიტალიზმი...

**ლელა** – და, ახალგაზრდების ბულინგზე არ გინდათ გადაილოთ?.. მიმაჩნია, რომ სერიოზული პრობლემის წინაშე ვდგევართ... ისეთი ტრავმა მიიღო ჩემმა თემურიკომ... ჯერ ბიჭებისგან, მერე მანდატურის და დირექტორის დაკითხვისას... მაგრამ გაუძლო ბავშვმა, ვერ გატეხეს ვერაფრით... და რომ ეთქვა? (მრავალმნიშვნელოვნად).

**ირინა** (გაბრაზდება) – რა, ანამეს?.. რომ ეთქვა, რა?.. იქნებ თქვენი თემურიკოს წამოწყებული იყო ეგ ჩხუბი?.. და მოხვდა ნარზში, როგორც ხდება ხოლმე, ბიჭურ ამბავში...

**ლელა** – მე ვთვლი... ისეთი წნეხი და ტანჯვა გამოიარა ბავშვმა, ზენოლა... რომ ეთქვა... ქურდული გაგებით ხომ არ ვზრდით შვილებს?

გუჯა დააპირებს სიტყვის თქმას, მაგრამ ირინა გააჩუმებს.

**ირინა** (აგრესიულია) – რა შუაშია ქურდული?.. ეთქვა მერე... თუ თქვენ მასე თვლით მართებულად...

**გუჯა** – გეყოფათ... რაებს ლაპარაკობ? (ლელას)... ისე, მე ვიცი, რასაც გადიან დაკითხვისას... იოლად დასავიწყებელი არ იქნება თემურიკოსთვის.

**ირინა** (განერვიულებულია) – რომ ეთქვა, მოეშვებოდა?.. მერე მოუყოლა... არ ვამბობდი აქამდე, ირაკლისთვისაც არ მითქვამს. მომიყვა ამ ამბავს გიო. მეზობლად რომ შემოსახლდით, მაშინ მომიყვა... თქვენს თემურიკოზე მითხრა, ვიცნობო. ჩხუბი მოგვივიდაო, ახალი გადმოსული იყო და ერთ ჩვენ უწყინარ კლასელს, მიხოს (ვიცნობ მე მაგ ბავშვს), მიადგა და დაჩაგრაო. ჯერ მობილურზე დაუცინია: „ეს რა ბანძობა გაქვს, სხვა ვერ გიყიდესო?.." მერე მშობლებზეც გადასულა: „თუმცა, შენი მშობლები როგორი მანქანითაც დადიან, ეგეთივე ტელეფონიც გაქვსო" ...დამამახსოვრდა ფრაზები... და გიომაც გლიჯა...

**ლელა** (ფეხზე წამოხტება. გუჯას ხელის მოძრაობით გააჩუმებს) – რას ნიშნავს „გლიჯა"?.. აი, მართლა უნდა ეთქვა თემურიკის... სხვა დროა უკვე და მორჩა ძველებური ხედვა... აუცილებლად, აუცილებლად უნდა ეთქვა და მერე ვნახავდით...

**ირინა** (ისიც ფეხზეა წამომხტარი) –

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

რას ვნახავდით?.. ეურტუს არ ყიდულობთ ბავშვისთვის, მაგრამ ოცნებად აქვს და მაგ გადმოსახედიდან აფასებს ადამიანებს – მობილურებით... იჩივლეთ, თუ გნებავთ... ბანერი კი არ დაიდგმება!..

**გუჯა** – ბანერი ბიზნესია, არაფერი პირადული...

**ირაკლი** – ეს გამოთქმაც ძალიან არ მიყვარს.

**გუჯა** – აბა, დუელებით ვარჩიოთ საქმე?.. ისე, არავის გაუუქმებია...

**ირაკლი** – რითიც გინდა, სადაც გინდა!..

**გუჯა** – შენ ამოირჩევ, თუ... როგორ არის მანდ წესები?

**ირაკლი** – შენთვის დამითმია...

ქალები ერთ ხმაში აყვირდებიან: ამხელა კაცებს სხვა ენა ვერ გამოგიძებნიათ?!.. შვილებს რა მაგალითს აძლევთ!.. თქვენ გიყურებენ!..

**ლელა** (შემრიგებლურად. სავარძელში ჯდება.) – რომელი ცივილური გარჩევა ეს არის?!..

**ირინა** (ბოლთას ცემს. ანერვიულებულია. სულს მოითქვამს და ჩაილაპარაკებს.) – „ცივილური" სამოქალაქოს ნიშნავს.

**ლელა** (ისიც ფეხზე წამოდგება. აფორიაქებულია.) – ჰოდა, სწორედ მაგას ვამბობ, რომელი ქალაქური მენტალიტეტით, და ზოგადად, თანამედროვე ხედვით მიდგომაა საკითხთან?

პაუზა.

ირაკლი მიდის და ახალ დოქს ავსებს ბოცადან.

**ირინა** (გაღიზიანებულია) – არ უნდა მორჩე დალევას, თუ საქმეს სჭირდება და ძირძველი ტრადიციაა ჭიქით ხელში ამბის მოგვარება?

**ირაკლი** (თავიდან დაიბნევა) – ...თითო ჭიქა კარგი ღვინო... რამ გაგადელა?

**ირინა** (პაუზის შემდეგ) – გიკვირს?.. შემოგვეფლითა ეს შენი ოცდასამი წელი...

**ირაკლი** – ისე, „ჩვენი ოცდაასამი წელი"... კარგი მომენტი შეარჩიე.

**ირინა** (აკრეფილი აქვს. დაღლილად.) – რაღა მომენტი!.. ბანერი არის ჩვენი პრობლემა?!. მანდ იმარხება ძაღლის თუ დრაკონის თავი?.. ( გაიცინებს) დაიდგას რა... (მშვიდად).

**გუჯა** – ...მერიაშიც შეთანხმებული ვარ და ბანერების ფირმასთანაც, საუკეთესო პირობებში...

**ირინა** (გუჯას) – თქვენთვის არ მითქვამს... ერთი მაგ ბანერის!.. (ჩაფიქრებით) აქცენტებზეა ლაპარაკი, რაზე როგორ ვიხარჯებით და ამ დროს, ხელებში გვექცევა...

**ირაკლი** (გაღიზიანებული. გააწყვეტინებს.) – [illegible] გვემტვრევა და გვეფშხვნება ხელებში შენი თეფშივით?!..

**ლელა** – მკლავს ამ თეფშის ამბავი...

**ირაკლი** – მეტაფორა იყო... მივამსგავსე...

**გუჯა** – ისე, რამე გამოფენის, მუზეუმის, სულ ძველ-ძველად გაკეთებული და მერე ყორაღად ნაპოვნი ნივთების გამოფენის რეკლამა რომ იყოს მიხატული ამ ბანერზე, მაშინ არა უშავს, მოსულა?

**ირინა** (ირაკლის. სიცილით.) – სწორი კითხვაა, უპასუხე.

**ირაკლი** (ბრაზს იკავებს) – მაბრაზებ (ირინას)... არ მოსულა. ისევ ეს თეფში ავიღოთ, ზედ რომ მიახატო რამე, ხომ სხვაა უკვე?... (გუჯას. ის დაკვირვებით უყურებს.)

**ირინა** (ჩაცინებით) – ეგ პოსტმოდერნიზმია.

**ირაკლი** – არა, ის ახლიდან გადახატვაა დედნისგან განსხვავებული შტრიხებით... ლექციები წავიკითხოთ?.. და ეს არის – „აქ იყო ვოვა"... შენ ხომ მაინც იცი, რასაც ვამბობ?.. კარგი დრო გამოძებნე ასამხედრებლად.

**ირინა** – ამორძალი ვარ ძველი! დაგავიწყდა? ისარს ისარში ვაჯენ ნასკაკუ...

**გუჯა** (სიცილით) – კაცებს გულებს გვიხვრიტავთ თქვენი ისრებით ეს ამორძალი გოგოები და კმაყოფილი ხართ ნანადირევით...

**ლელა** – ვინ ვინ მოინადირა და ხეიროზს ომახიანად, ვიცი კარგად! (ნიშნის მოგებით).

**ირინა** – მოკლედ: ვერ გავრკვეულვართ, ვინ მონადირეა და ვინ მსხვერპლი...

**ირაკლი** – დასწრებაზეა ეგ ამბავი...

პაუზა.

**ირინა** (ჩაფიქრდება. ირაკლის მიმართავს.) – ცოტა მყოფნის, ხომ იცი... და როცა იცი, რომ ცოტა მყოფნის და ეგრევე შემიძლია დაგიფასო და გვერდში დაგიდგე, რატომ გამირთულე ამხელაზე საქმე?

**ირაკლი** – ეხლა გავარჩიოთ?

**ირინა** – გარჩეული გვაქვს.

**ირაკლი** – ეგრე ადვილად... არ ტყდება თეფშები და არ იდგმება ბანერები (დარდიანად ჩაეღიმება).

**ლელა** – ძალიან ადვილად დაამონტაჟებენ...

**გუჯა** (ლელას) – სხვას ამბობენ ესენი.

**ლელა** (გაბუსხულად. სავარძელში ჩაჯდება.) – მაინც ვერ მივხვდი არსებულ პრობლემას... ხომ არ ვანგრევთ? უკვე აშენებულს ვანვითარებთ თანამედროვე...

**ირაკლი** – ლელა, როგორ გგონია, დროს ვებრძვით?.. რაც ცოცხალია, ყველაფერი თანამედროვეა... ჩვენი სახლი შეადარეთ ახალაშენებულ ნაგებობებს და დაინახავთ, რომელი უფრო სუნთქავს დღევანდელი ჰაერით... თუ რიტმით... მოკლედ...

**ლელა** – ჩვენს დროში...

**ირინა** (გააწყვეტინებს. მშვიდად.) – მოკლედ, ბევრი რამე იკარგება ამ ჩვენს დროში. ხშირად მტერივით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექცევიან მათთვის უცხო, სხვებისთვის კი ძვირფასს ამბებს და ფესვებიანად ცდილობენ განადგურებას, ამას ამბობს ირაკლი და თავის წილ ძვირფასს იცავს... მოვა დრო, თქვენც მოგიწევთ თქვენი ბანერის დაცვა... მაგრამ კართაგენი უნდა დაინგრეს! (გაიცინებს).

**ირაკლი** (ირინას) – და შენ სად ხარ ამასობაში?

**ირინა** – აქ ვარ, ირაკლი, რა, ველარ დამინახე?!..

**ლელა** – კართაგენი არ ვიცი, მაგრამ დანგრევას აღმშენებლობა სჯობს... მგონი შეუდავებელი თემაა.

**გუჯა** – მითუმეტეს, არავის „ფესვებს" ჩვენ არ ვერჩით. ერთი უწყინარი საქმეა... აი, ნახავთ, გავა დრო და ჩემი ბიჭი როცა შესთავაზებს თქვენს შვილს ბანერის დადგმას, აზრადაც არ მოუვა თავში თქვენს გოოს უარის თქმა.

**ირინა** – აი, მანდ კი ცდებით. გიომ იცის ფასი და ანამაც, ჩვენმა გოგომ... ანდა, რატომ უნდა შესთავაზოს ისევ თქვენმა შვილმა ჩვენს შვილებს „სარფიანი გარიგება?" რა, მუდამ გაშმაგებით ფულის გამოდევნობის ხანა იქნება?

**გუჯა** (ჩაცინებით) – ეჰ, ფული სულ იქნება და მისი „გამომდენობებიც".

**ირაკლი** – მაგას ვერ წაუხვალ, იყო და იქნება... მაგრამ ბევრი სხვა მულამებიც არის და იქნება...

**გუჯა** – ფულის შოვნაც მულამია.

**ირაკლი** – ფულის წინააღმდეგი როგორ ვარ? პირიქით, მჭირდება ხოშიანად, მაგრამ... მულამები კიდევ სხვა რამეა, ფულის გარეშეც იშოვება, ძებნა უნდა, გაჩითვა და მერე მოფრთხილებით ჩაკაიფება (გაიცინებს).

**გუჯა** – ყველა თავისას უფრთხილდება.

**ირინა** – ეგრეც უნდა, უბრალოდ, ერთი მეორეს არ უნდა უშლიდეს ხელს...

**ლელა** (ჩაცინებით) – ეგრე სად არის.

**ირინა** – აქ არის.

**გუჯა** – რაც გაწირულია, თავისით კვდება, ვერაფერს უზამ.

**ირაკლი** – რაც გაწირულია – ხო...

**გუჯა** (ჩაცინებით) – რაც არა – დაკარგულია...

**ირაკლი** – არ იკარგება ადვილად... ისე გამოგყავთ, რომ თქვენ ცოცხალს იცავთ და ჩვენ მკვდარს... არადა, ცოცხალი სწორედ რომ ჩვენკენ არის, ხელის შეშველება სჭირდება მხოლოდ... „დრო გვაჩვენებს"... (გაწელილად წარმოთქვამს) ბევრი ქლიავობა მანახა ამ ორმოცდაათი წლის განმავლობაში დრომ ახალის სახელით.

**გუჯა** – მაინც ხომ განახა?

**ირაკლი** – ჰოდა, რომ ვნახე, მაგიტომ გეუბნები.

**ირინა** (გაიცინებს) – ირაკლი, რაღაც დაკარგვის შიშით დამუნათებულებს მიგვამსგავსეს. აქაოდა, „აქ არ დაიდგომება, დასრულდა ჩვენიო..." ვგევართ მაგ ხალხს, წარსულის გადმონაშთებს? (ირონიით გახედავს ლელას და გუჯას).

**ლელა** – ძალიან ძნელი გახდა თბილისში ცხოვრება. ყველა ქალაქგარეთ აპირებს დაბინავებას, მართლა არ დაიდგომება.

**გუჯა** (ცვირსახოცით მოიწმენდს შუბლიდან ოფლს) – ჰაერიც აღარ არის და ამ პრობკებმა მთელი ნერვები წაიღეს... წყნეთს ვამთავრებ მალე. თუ მინდა ავყარო ოჯახი ლაურიან-[illegible]... მე კი დავრჩები ქალაქში (ლელას ენას გამოუყოფს).

**ლელა** – ისევ მაბრაზებ. არ ჭირდება დედაჩემს შენი აგარაკები. იქით აგიშენებს თუ მოისურვა.

**ირაკლი** – ჩვენც გვაქვს გეგმად კახეთში გადაბარგება. მიწა ვიყიდეთ სოფელში, სახლს, კარ-მიდამოს ვაწყობთ ნელ-ნელა, პატარა ვენახიც გავაშენეთ, ხეხილი დავრგეთ.

**ლელა** – და იქ რა უნდა ქნათ?

**გუჯა** – სოფლის მეურნეობაში კარგი ფულის ამოწევა შეიძლება.

**ირაკლი** – ჯერ არ ვიცი. ჩემგან ფერმერი არა მგონია გამოვიდეს. ირინას აქვს თავისი გეგმები.

**ლელა** – ტურიზმია ახლა ძალიან კარგი. თან კახეთში ღვინოც არის და ხორციც და კაი საჭმელიც. გიჟდებიან უცხოელები.

**გუჯა** – მართალია, ყველაზე რეალური ბიზნესია დღეს.

**ირაკლი** – ბიზნესისთვის – არა. აქედან წასასვლელი ადგილი რომ გვქონდეს.

**ლელა** – ხომ უნდა იცხოვროთ რამეთი... ირინა, ჩურჩხელა... ან ყველი რომ დაამხეცროთ, მაგრად გაგეყიდებათ. ევროპულად დამზადებული, თვარა, გუდას ვერ აჯობებთ იქაურებს.

**ირინა** (სიცილით) – გაგვისტუმრეთ უკვე?

**გუჯა** (ირინას) – ცუდად გვეუბნებით. მეზობლობა გვაკავშირებს, იმედი მაქვს დიდი ხნით... ისე, კახეთშიც გეპატიჟებით ჩვენსას. ნუშის პლანტაციები ჩავყარე გარე კახეთში, კარგი სპეციალისტი ხალხი შევკრიბე, ვნახოთ, პირველ მოსავალს ველი... სავენახე მიწაზეც მაქვს თვალი დადგმული. მევაჭრება გლეხი, მაგრამ გავტეხავ მალე... (შეცბუნდება) ცოტას კი არ ვთავაზობ, მარა ხარბობს, ხო იცით გლეხის ამბავი, ბევრად მეტს ითხოვს, თან თავად არ სურს მუშაობა.

**ირაკლი** (გუჯას) – კარგი საქმეა. მიწას შრომა უნდა, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ...

**ირინა** ( იცინის) – მონიკა ბელუჩის ან შარლი სტერონის კაი, ერთი უდაჩნი ბანერი შუა ვენახში, თუ ნუშის პლანტაციებში დარჭობილი მაგრად აუწევს შრომისუნარიანობას იქაურ გლეხს.

**გუჯა** (ისიც გაიცინებს) – სწორი მარკეტინგული გათვლაა.

**ირინა** – გეგმას გადაამეტებენ უეჭველი.

**ლელა** – უცხოური ბაზარიც გამონახული გვაქვს...

**ირაკლი** – ბაზარი კარგია, თანაც უცხოური, მაგრამ ჩვენ შორის სულ სხვა „ბაზარია“ (გაიცინებს).

**ირინა** (ირონიულად) – ბაზარი აკონტროლებს სიტუაციას.

**ირაკლი** ( ისიც ირონიულად) – ყველან თავის „ბაზარს“ მიხედოს.

**ირინა** – რა გინდა? მიხედული აქვთ თავიანთი ბაზრისთვის.

**ირაკლი** (გაღიზიანებულია) – და რას ამბობ, რომ ჩვენ ვერ დავალაგეთ ჩვენი?..

**ირინა** – არ გიწყენ ირაკლი, მაგრამ დალაგებული ვერ გვაქვს მაინცდამაინც...

**ირაკლი** – დავალაგებთ...

**ირინა** – როდის? გადის ცხოვრება, პატარები აღარ ვართ...

**ირაკლი** (გაღიზიანებით) – დავალაგებთ-მეთქი... და ბევრად კიდევ ვერ მნახავ ვერასდროს...

**გუჯა** – ციფრები გვაშინებს ოდნავ, თორე, ჯვარი გვწერია, ვართ ახალგაზრდულად... ჩვენი მშობლები რომ გვახსოვს ჩვენს ასაკში, ბევრად უფროსულად გამოიყურებოდნენ...

**ლელა** – ისე, მართალი ხარ, გუჯიკო. შენს ნათქვამზე, ლაურა წარმომიდგა თვალწინ ჩემხელა და შიშის ზარმა დამიარა (კისკისი)... დედას შიში და რიდი სულ მქონდა (მეცბება უცბად და მრისხანედ გადახედავს ყველას).

**გუჯა** – ლაურას შიში მოვიშორე თუ არა, ვერ ვიტყვი ახლაც... (შეატყობს, რომ ლელა გააფთრებულ პასუხს აპირებს), მაგრამ რიდი სულ მაქვს და მექნება მარად (შემრიგებლურად გაუღიმებს).

გარედან ფეიერვერკების გაუთავებელი გრუხუნი გაისმის.

**ირაკლი** – ომივით ქეიფობენ. სოხუმის დაბომბვის ხმებია.

**ლელა** (უკმაყოფილოდ) – ქეიფობენ, ცუდს არაფერს აკეთებენ.

**გუჯა** – ბავშვის დაბადების დღეზე მეც შევუკვეთე ზალპები... მარა ზომიერად. მართალია ირაკლი (ლელას), არ უნდა გაალიზიანო ხალხი – იშოვე- შეირგე...

**ლელა** (გუჯაზე ნაწყენი) – მეც მაგას ვამბობ, არ სჭირდება აფიშირება და ტრაბახი წარმატებულობას...

**ირაკლი** (გაცინებით) – ეხლა მართლა არ გადამრიოთ, სხვისი ქეიფი და დროს ტარება როგორ უნდა მაღიზიანებდეს, მაგრამ რაღაც გიჟური არის ამ ისტერიულ ფეირვერკებში, თანაც აქ, მთაწმინდაზე შეშანუხებლად ისმის.

**ირინა** – ჰო, ძალიან დამღლელია. თქვენ თვითონ მიხვდებით ცოტა ხანში, ფუნიკულიორიდან გაუთავებელი დაბათქუნება რომ დაგირღვევთ ძილს.

**ლელა** (ირონიულად) – ლამაზად კი მოჩანს ლამლამობით მამადავითზე მათი გადაფეთქვები... საამო საცქერია.

**ირინა** – კი, ოღონდ, ხმას რომ ჩაუწიონ, კარგი იქნება... თქვენ კიდევ ერთ-ორ ჯანიან მიტინგს არ მოსწრებიხართ, ფუნიკულიორიდან მოქეიფე სალუტები რომ გაყრუებს და რუსთაველიდან ვინმე მგზნებარედ აღტყინებული პატრიოტის თუ პარტიელის მეგაფონიდან კრეშენდოდ შემონაძახი როცა გიკეთებს კანტროლკას... ა, მაშინ ნახავთ...

**გუჯა** (სიცილით) – ყოველივე მაი რომ მცოდნოდა, ფასს დავაკლებინებდი მაკლერს საგრძნობად.

**ლელა** (ნახუმრებით) – და, ყოველივე ზემოთ თქმულის საკომპენსაციოდ, ერთი ბანერი გვეკუთვნის.

**გუჯა** (უხერხულად) – რა გინდა ერთი ბანერი... მთელი ქალაქი სავსეა, ადგილი არ დატოვეს სარეკლამო თუ ურეკლამო, უშლის ვინმეს?.. კაი (მოეშვება), თქვენი კუჭისა იყოს. აგერ, ა, მოპირდაპირე სახლზე დავდგამ მაგ ბანერს თავისი შეროხით და მონიკათი ერთად.

**ირინა** – მთავარია, ლამლამობით არ იციმციმოს... თქვენს ძილსაც ვუფრთხილდები.

**ლელა** – მშვენიერი, კარგი მოლაპარაკება გამოგვივიდა მათთან, როგორც ადრე მოგახსენეთ.

**ირინა** – ძალიანაც კარგი, გიპოვიათ, რასაც ეძებდით.

**ლელა** (ფეხზე წამოდგება) – უალტერნატივო არაფერი არ არის. საკმაოდ პერსპექტიული წინადადებით ვიყავით მოსული თქვენთან.

**ირინა** – გმადლობთ შემოთავაზებისთვის.

**ლელა** (დემონსტრაციულად მოიხურავს პალტოს) – კარგად ბრძანდებოდეთ.

**ირინა** – სულ კარგად.

**გუჯა** (ირაკლისთან მივა, ხელს გაუწვდის) – ხომ გითხარი, არაფერი პირადული... ხდება ხოლმე, რომ გგონია, ჰოპა, რა უდგას წინ... და, არ გამოდის საქმე... ვერაფრით.

**ირაკლი** – ჰო, „არა შეჯდა მწყერი ხესა“... ხდება ხოლმე. კარგად (ჩამოართმევს ხელს).

გუჯა და ლელა გადიან. ირაკლი სკამზე ზის ჩაფიქრებული. ირინა ჭიქებს, თეფშებს გაიტანს სამზარეულოში. უკან ბრუნდება და მძიმედ ეშვება სავარძელში. მცირე პაუზის შემდეგ ირაკლის გახედავს:

**ირინა** ( ჩაცინებით) – ა, ირაკლი, რას იტყვი... დაგვეთხლა თავზე ბანერი.

**ირაკლი** (პაუზის შემდეგ. ისიც გაიცინებს) – გავაჯვით კაცეთში!

ჩაბნელდა სცენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აჰმედ ალ-მულა

ეროვნული ბიბლიოთეკა



## أحمد الملا

აჰმედ ალ-მულა – თანამედროვე არაბი პოეტი, კრიტიკოსი, კინომოლვაწე და სცენარისტი – დაიბადა 1961 წელს, საუდის არაბეთის ალ-აჰსას რეგიონში. დაამთავრა საუდის არაბეთის სამეფო უნივერსიტეტის ლიტერატურული ფაკულტეტი. ლექსების პირველი კრებული „ჩრდილი იმსხვრევა“ გამოსცა 1995 წელს. არის ათი პოეტური კრებულის ავტორი. წერს პიესებსა და კინოსცენარებს. არის აღმოსავლეთის რეგიონის კულტურული კლუბის სათათბირო საბჭოს წევრი. 2008 წელს დააარსა და დღემდე ხელმძღვანელობს საუდის არაბეთის მოკლემეტრაჟიანი ფილმების კინოფესტივალს, რომელიც გაისად უკვე მეექვსედ ჩატარდება. 2020 წლის მაისში მიწვეულია თბილისის მეექვსე საერთაშორისო ლიტერატურულ ფესტივალზე.

# აჰმედ ალ-მულა:
# „ჩემი ლექსები ამწამიერის შვილები არიან“

(ესაუბრება გიორგი ლობჟანიძე)

**გიორგი ლობჟანიძე: მოდი, თავიდან შენზე ვისაუბროთ. ვინ არის პოეტი აჰმედ ალ-მულა, საიდან იწყება და საით მიდის? როგორი იყო მისი ბავშვობა და რა ძირითადმა ფაქტორებმა იქონია ზეგავლენა მის ჩამოყალიბებაზე?**

აჰმედ ალ-მულა: დავიბადე 1961 წელს, ციხესიმაგრე ალ-ქუთში, იმ დროისათვის პატარა ქალაქის, ალ-ჰაფუფის გულში, პალმის ნარგავების წიაღში, და ეს არის საუდის არაბეთის აღმოსავლეთით მდებარე პროვინციის, ალ-აჰსას სამარკო ნიშანი, რომელსაც ისტორიულად არაბეთის ნახევარკუნძულს უწოდებენ. ვიზრდებოდი რელიგიურ ოჯახში, სადაც დიდ ყურადღებას აქცევდნენ ისლამურ მეცნიერებებსა და სასულიერო წიგნებს. მე კი ფეხბურთის მოყვარული გამოვდექი. ბევრს ვეთამაშებოდი ხეებს და ამ თამაშ-თამაშში ცხოვრებას ვკითხულობდი. ასევე დიდი გატაცებით ვკითხულობდი ძნელად საშოვნელ მხატვრულ ლიტერატურასაც და რაც უფრო ძნელად საშოვნელი იყო, მით უფრო დიდი სიხარბითა და სიყვარულით ვეწაფებოდი.

ჩემი სოფლური ბავშვობა ჩემს ქალაქურ ბავშვობას აჭარბებს. დედა იყო მისი სახლი, მამა – მისი ჯავშანი და მღელვარებანი – მისი გრძელი მისამართი. წიგნის ბორტზე ათი წლის ასაკში აღმოვჩნდი, რომელმაც სამყაროდან შორს გამაქანა, საკუთარი თავიდანაც კი ისე მომწყვიტა, რომ გვიანღა გავაცნობიერე ჩემი არყოფნა, ერთი პრობლემის წყალობით, რომელიც არასოდეს მავიწყდება: ეს იყო წიგნი, რომლის მერეც საერთოდ ვუფრთხოდი ნებისმიერი წიგნის კითხვის წამოწყებას მანამ, სანამ არ დავრწმუნდებოდი, რომ მისთვის მგზავრობის დაღლილობა ღირდა.

პირველდაწყებითი განათლების საფეხურები ჩემს მშობლიურ ქალაქში გავიარე. შემდეგ იქიდან ქვეყნის დედაქალაქში, ერ-რიადში გადავედი, რათა საუნივერსიტეტო დონეზე სწავლა ალ-საუდის სამეფო უნივერსიტეტში გამეგრძელებინა, ლიტერატურის ფაკულტეტზე, რომელიც 1982 წელს დავასრულე და ვიქეცი წიგნების ფრთხილ მეგობრად, არა იმ წიგნებისა, რომლებსაც სასწავლო პროცესისას გამოიყენებდნენ, არამედ იმათი, რომელთაგანაც ჭეშმარიტებები მოდიოდა და მოყონავდა და რომლებიც ძირითადად უნივერსიტეტის ბიბლიოთეკიდანვე გამომქონდა ხოლმე.

შემოქმედების ლინგვისტური ბუნების შესაბამისად, როგორც უმეტესად ხდება, ლექსების წერა მეც მემკვიდრეობით მიღებულ ფორმებში (კლასიკური არაბული კასიდით) წამოვიწყე. უნივერსიტეტში კი არაბული პოეტური რევოლუციის ლიდერთა შემოქმედების ნაყოფსაც ვეზიარე. ესენი იყვნენ: ბადრ შაქირ ას-საიაბი, სარგუნ ბოლუსი, სალაჰ ფაიკი (ერაყი), ადონისი (სირია), უნსა ალ-ჰაჯი და იუსუფ ალ-ხალი (ლიბანი), სალაჰ აბდ ას-საბური და ამალ დუნკული (ეგვიპტე), საუდის არაბეთიდან კი მუჰამად ათ-თაბუთი და სხვები, ბუნებრივია, სხვადასხვა ენიდან თარგმნილ პოეტურ ნიმუშებთან ერთად.

ლიტერატურულ პერიოდიკაში ბეჭდვა 1980 წლიდან დავიწყე და ამავე პერიოდში განვიცადე ჩემი ადრეული კასიდების ფორმისა და შინაარსის ცვლილებაც. რაღაც ტექსტები დავბეჭდე გაზეთებში, მერე კი ეს ყველაფერი დავწვი, 1990 წელს და ამის შემდეგ, 1995 წელს გავბედე ჩემი პირველი წიგნის – „ჩრდილი იმსხვრევა“ – გამოცემა, იმაში დარწმუნებულმა, რომ ვერლიბრი (სიტყვასიტყვით: პროზაული კასიდა – გ. ლ.) სხვა ყველაფერზე უკეთესად გამომხატავდა. ხოლო ყველაფერი, რაც წავიკითხე და რაც გადავიტანე, წარმოადგენს ჩემს გამოცდილებას და მას საჭრეთელივით ამოჰკვეთს. კლასიკური კასიდების შემდგომ, თავისუფალ, რიტმულ მონაკვეთებად დაშლილ ლექსებს ვწერდი, ამან კი თავისთავად მიმიყვანა ვერლიბრამდე, რომელიც თავიდან არ მეპუებოდა, ვიდრე ორივე ერთად არ დავნებდით პოეზიას. და აი, მე-10 პოეტური კრებულის გამოცემის შემდეგ მივეშურები ახალ-ახალი პოეტური ინსტრუმენტების მოსასინჯად იმ სივრცეებში, სადაც აქამდე ფეხი არ დამიდგამს, თუნდაც ეს სივრცეები უერთდებოდნენ იმას, რაც თვითონაც არ ვიცი.

ჩემი ლექსები ამწამიერის, დღევანდელი დღის შვილები არიან, თემატურად და ემოციურად, და ისინი გარდასულ ჟამს არანაირად არ ეკუთვნიან, თუ არა მხოლოდ ცოცხალი სიტყვით. ენაში კი სიტყვა ადამიანის საჭრეთლით იკვეთება და მისი არსებობის საწუხარით არის ჩამომძიმებული.

**გ. ლ. თანამედროვე მსოფლიოში ბევრი არაბული ქვეყანაა. განსხვავდება თუ არა ერთი არაბული ქვეყნის თანამედროვე პოეზია მეორე არაბული ქვეყნის პოეზიისაგან და რა გამოარჩევს დანარჩენი არაბული ქვეყნების პოეტური შემოქმედებიდან, ვთქვათ, შენი მშობლიური საუდის არაბეთის დღევანდელ პოეზიას?**

ა. ა. არაბულ პოეზიას (რომელიც სალიტერატურო არაბულზე იქმნება და არა – ამა თუ იმ ქვეყნის ლოკალურ დიალექტზე), – ძველადაც და ახლაც, – კრავს და აერთიანებს ერთი ენა ყველა არაბულ ქვეყანაში.

ჩვენს ეპოქაში, ყველა უწინდელ ეპოქაზე მეტად, ხვდება ერთმანეთს ყოველ არაბულ ქვეყანაში შექმნილი არაბული პოეზია. გლობალიზაციისა და გახელებული კომუნიკაციის

ნყალობით, შესაძლებელია წავიკითხოთ ბაღდადში, ერ-რიადში, ბეირუთში, კაიროში დაწერილი პოეზია, ჩავიდეთ მაღრიბამდეც კი და, დავინახავთ, რომ ეს პოეტური ნიმუშები ერთმანეთს ხვდებიან ენაში, თუმცა ერთმანეთისაგან განსხვავდებიან იმ მარკერებით, რომელიც ნიშანდობლივია ამა თუ იმ პოეტისათვის და არა – ადგილისათვის, საიდანაც ეს ლექსები მოდიან.

საუდის არაბეთში მრავალი და ძალზე მნიშვნელოვანი პოეტური გამოცდილებაა, გეოგრაფიულ და ისტორიულ მიზეზთა გამო. გამოცდილებანი, რომელთაგან თითოეული ჰგავს იმ ნიმუშებს, რომლებიც წარმოიშვებიან ხოლმე არაბეთის ნახევარკუნძულის მსგავს ისეთ იზოლირებულ კუნძულებზე, ვერც ტერიტორიულად რომ ვერ აჭარბებენ ამ კუნძულს და არც მასზე უფრო ვრცელი და მძიმე პოეტური მემკვიდრეობა გააჩნიათ; მემკვიდრეობა, რომელიც დღევანდლამდე აქტიურია და გამოხატვის უნარიანი. ამიტომაც, დღევანდელ საუდის არაბეთში პოეტი წარმატებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი იგი ფლობს გამოცდილებას, რომელსაც წარსულის გადალახვა და სათქმელის პირდაპირ თქმა შეუძლია. ვფიქრობ, გლობალიზაციისა და თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებების გავრცელების ეპოქაში შეიცვალა პოეტური რუკა და მისი მყარი საძირკველი და გადაიწია ახალ-ახალი ჰორიზონტებისაკენ, რათა მისი სახეცვლილებების მოწმენი შევიქნათ.

**გ. ლ. არაბულ პოეზიას ძალიან დიდი ისტორია და ტრადიციები აქვს. ეს გარემოება თანამედროვე პოეტს დაბრკოლებად ელობება. თუ – პირიქით, სთავაზობს მას შესაძლებლობას ახალ-ახალი შემოქმედებითი გზების მისაგნებად?**

ა. ა. ბუნებრივია, რომ წარსულის მემკვიდრეობა აღმატებულია თავისი გამძლეობითა და დროთა მიჯნებს ლახავს მომავლისკენ. უმაღლესი პოეტური იდეა, – ჩემი აზრით, და ამასვე ეყრდნობოდნენ ძველი პოეტებიც, – არის ის, რომ წარსულს ლმობიერად უნდა გავცდეთ და მხოლოდ მაშინ, როცა მისი გადალახვის აუცილებლობას გავიცნობიერებთ. და ეს არის პრინციპი, რაზეც, უკვე საუკუნეებია, თანხმდებიან. ყოველ „ახალ" პოეტს კი უნდა ახსოვდეს: იმისათვის, რომ იყო პოეტი, წადი უდაბნოში (შემეცნებით სიმარტოვეში), ჯერ დაიზეპირე პოეტური ტექსტები და მერე დაივიწყე. ჯერ პოეტური ინსტრუმენტის ფლობა, მერე პოეტის ეულად მოგზაურობა თავისი პოეტური ვინაობის აღმოსაჩენად და შემდეგ ამისი გამოხატვა ისეთი ენით, რომელიც მხოლოდ მისი იქნება ამ სამყაროში – აი, ეს არის პოეტად ყოფნის საფუძველი.

**გ. ლ. რას იტყოდი ჩვენი დროის არაბ მკითხველზე? დღევანდელ არაბებს აინტერესებთ პოეზია?**

ა. ა. თითქმის მთელი ისტორიის განმავლობაში არაბეთში ზეპირად გავრცელებულ ერთ გამოთქმას თუ მოვიშველიებთ: პოეზია არაბთა სამფლობელოა. იმის მიუხედავად, რომ რაღაც დროს, ამ ანდაზას, ისევე, როგორც სხვა ხალხურ ანდაზებს, მეც კი ხან ერთი, ხან საპირისპირო აზრით მოვიშველიებ ხოლმე, მაინც შეიძლება იმისი თქმა, რომ ლიტერატურის კითხვა საზოგადოებრივ წეს-ჩვეულებათა შედეგია, რომელიც ყვავის მყარ და გულდამშვიდებულ საზოგადოებებში და რომელთაც თავის ყველაზე უმაღლეს პრიორიტეტებად მეცნიერებისა და კულტურის განვითარებული შესაძლებლობა აქვთ დღევანდელი მეთოდებით. არაბული სამყარო კი ისეთი მოვლენების შუაგულშია, რომ მას სჭირდება დრო, რათა ადამიანმა მყარად იგრძნოს თავი ამ მოვლენებში და პოეზიის კითხვისათვის აუცილებელი სიმშვიდე და სულიერი წონასწორობა მოიპოვოს.

**გ. ლ. შენი აზრით, რა არის თანამედროვე არაბული პოეზიის მთავარი პრობლემა?**

ა. ა. არ შემიძლია იმის მარტივად თქმა, რომ არსებობს რომელიმე ერთი პრობლემა, რომლის პირისპირაც დგას თანამედროვე არაბული პოეზია. და ეგებ იმის გამოც, რომ ვფიქრობ, პრობლემები, რომელთაც ის აწყდება, სინამდვილეში გამოწვევებია, რის წინაშეც არის ნებისმიერი ხალხის პოეზია.

თანამედროვე ადამიანს უამრავი საცდური ებრძვის და ართობს მას სამომხმარებლო პროდუქციით, რომელიც ხან ატყუებს მას და ხან კი იმონებს.

საჭიროა უფრო მეტი პოეზია ადამიანის ცხოვრებაში, საჭიროა მან მაგალითებით აღზარდოს პიროვნებაც და ამავე დროს უფრო აქტიურად არსებობდეს საზოგადოებრივ სივრცეში. აი, სწორედ მაშინ გახდება შესაძლებელი თავისუფალ არჩევანზე დაფუძნებული და ფანატიზმისაგან თავისუფალი ურთიერთშეხვედრაცა და თანამშრომლობაც.

**გ. ლ. რა შეგიძლია გვითხრა თანამედროვე საუდის არაბეთის კინემატოგრაფზე?**

ა. ა. მთელი ჩემი ცხოვრება პოეზიის გვერდით მქონდა კიდევ ერთი ინტერესი, რომელიც ჩემს ყურადღებას კულტურულ საქმიანობას მიაპყრობდა და ეს არის კინემატოგრაფით ჩემი გატაცება, გემოვნებისა და მიმართულებების სხვადასხვაობის მიუხედავად. ამიტომაც დავაარსე პირველი კინოფესტივალი საუდის არაბეთში, რომელიც 2008 წლიდან ტარდება. დღეს კი უკვე სრულყოფილ გუნდთან ერთად ვმუშაობ, რომელიც მეექვსე კინოფესტივალს ამზადებს და ის 2020 წლის აპრილში გაიმართება საუდის არაბეთის მეფის, აბდ ალ-აზიზის ცენტრში.

შემიძლია ვთქვა, რომ კინო დღეს არის არაბული ბედაური და მისი მომავალი ასპარეზია. მას შემდეგ, რაც საუდელი კინომოლვაწე პატარ-პატარა ოცნებებს ელოლიავებოდა და ქარის წისქვილებს ებრძოდა, აი, დღეს ვხედავთ, რომ სრულდება მისი ბევრი ნატვრა ამ მიწაზე, რამდენადაც კულტურის სამინისტრომ დააფუძნა კინემატოგრაფიის სექტორი, რომელიც გეგმავს საუდის არაბეთის კინომომავალს, ამ ქვეყნის კულტურა და მისი მემკვიდრეობა რომ უნდა გამოხატოს. და ამ გეგმის უეჭველი განხორციელების პირობებში, დარწმუნებული ვარ, საუდის არაბეთის კინემატოგრაფი მსოფლიოს ძალიან მალე გააოცებს.

ამჰედ ალ-მულა

## საჰაერო ველოსიპედი

როგორც კი იტყვი:
დახუჭე თვალები! –
ზეცა ველარ შემოგნვდება,
მიწა ველარ მოგეკარება.

საჰაერო
ველოსიპედი
არ გადახარო
შენი სიმძიმით
მარჯვნივ
ან მარცხნივ,
გასწორდი და იხტუნავე ამათ შუაში.
წინადადებას ორ თანაბარ ნაწილად გაჰყოფ:
ზემოთ ხან ერთ ფეხს ააწევ და ხანაც მეორეს,
და ველოსიპედს ისე უბიძგებ,
თითქოს ერთ სიტყვას მოაყოლებ მეორე სიტყვას.
თითქოს ისინი მაღლდებოდნენ ხვავად ან გროვად,
რომ მეორე მხრის ცაცაბოდან
ორ ფრთად
დაეშვან.

ზემოთ ადი,
დაანებე ჰაერს, – მოგხაროს
და აგიტაცოს.

საჰაერო
ველოსიპედი,
ლექსისა კი არ არის,
რომ შედგეს, გაჩერდეს.

ბორბალი ბრუნავს,
გამოაჩენს ხალხსა და ხეებს,
გამოხატავს მუსიკას და სიბნელის წყვდიადს.

ხედი – მთლიანად –
მსუბუქია, დაუძაბავი.
მხოლოდ სული რომ მოითქვა
და კვლავ მოიბრუნო.

საჰაერო
ველოსიპედი,
ურომლისოდაც
დედამიწა ვერ დაიგრაგნება
თავისი თავის ირგვლივ მბრუნავი,
უმიზეზოდ
და ყოველგვარ აზრს მოკლებული.

## აჰმედის ველოსიპედები

ამედი კოლუმბიაში გავიცანი, [illegible]ზარ ფესტივალზე, სადაც ასზე მეტი პოეტი [illegible] მსოფლიოს ძალიან ბევრი ქვეყნიდან, მაგრამ მიუხედავად ამ სიჭრელისა და მრავალფეროვნებისა, ის ჩემს თვალში მაინც მაშინვე გამოირჩა ხასიათების იმ თაიგულით, რაც რთული ალხანურია, თუმცა კი მუდამ შენიანს ამოგაცნობინებს ხოლმე და უსიტყვოდ დაგამეგობრებს. აჰმედიც ასე იქცა ჩემთვის ამ ფესტივალზე ყველაზე მონათესავე სულად და ათი დღე ერთად ხეტიალსა და აზრებისა და ემოციების გაცვლა-გამოცვლაში გავატარეთ. ერთ-ერთი პოეტური კითხვის შემდეგ, სალამოთი, სასტუმროს ახლოს, კაფეში ვისხედით და ვსაუბრობდით. მაგიდას მამაკაცი მოუახლოვდა. მას ხელში პატარა ველოსიპედები ეჭირა, შამპანურის მაეთულებით დამზადებული. ამ ქალაქში სულ კუდში დაგდევდნენ და სულ რაღაცის შეძენას გთავაზობდნენ, და მეც, ამით თავგაბეზრებულმა, ხელები გავასავსავე, არ გვინდა-მეთქი, მაგრამ აჰმედმა გამაჩერა და იმ მამაკაცს სთხოვა, მანახე შენი ველოსიპედებიო. გამოართვა და თვალიერება დაიწყო. ისედაც მუდამ ანთებული თვალები კიდევ უფრო აენთო, ეს ბავშვური დიდოსტატობით დამზადებული ნაკეთობები კარგა ხანი ხელში ატრიალა, რაღაც კითხვებიც დაუსვა გამყიდველს, ბოლოს კი, მგონი, რაც კი ჰქონდა, სულ შეიძინა იმ მამაკაცისაგან ის სათამაშო ველოსიპედები. გახარებული მამაკაცი წავიდა, აჰმედმა კი მაგიდაზე დაალაგა შეძენილი ნივთები და უყურებს ღიმილით, სიყვარულით, და მერე მეკითხება, იცი შენ, რატომ ვიყიდე ახლა ეს ველოსიპედებიო? რატომ და იმიტომ, რომ ამ ორიოდე საათის წინ პოეტური კითხვა რომ გვქონდა, იქ ერთი ჩემი ლექსი წავიკითხე, რომელიც ველოსიპედებზეა და ახლა კიდევ ეს კაცი მოვიდა და აი, ასეთი საყვარელი ველოსიპედები მომიტანა თავისი ხელით და აბა რა უნდა მექნა, რაღაცის ნიშნად არ უნდა ჩამეთვალა ესო?.. მითხრა ეს და მერე მთხოვს, მიდი ახლა შენ, ამათგან ერთ-ერთი ამოირჩიე, უნდა გაჩუქო სამახსოვროდო. ავირჩიე მეც ერთ-ერთი, აღარ გავძალიანებივარ. ცოტა ხანში ფესტივალის სხვა მონაწილეებმა ჩამოუარეს კაფეს, დაგვინახეს და სხვაგან გადაგვიპატიჟეს, იქა ვართ ბევრნი ერთად შეყრილნი და წამოდით თქვენცაო. შევუერთდით ჩვენც „ძირითად ჯგუფს“ და მიგვრჩენია ამ გადაბარგებაში ის ველოსიპედები მაგიდაზე. მეორე დღეს სპეციალურად მივედით იმ კაფეში და დავიბრუნეთ უკან აჰმედის ლექსის პოეტური ილუსტრაციები. და მე ჩემი ნამოვიღე კოლუმბიიდან თბილისში და მიდევს ახლა პიანინოს თავზე და რამდენჯერაც შევხედავ, გამახსენდება ხოლმე ცეცხლოვანი პოეტი საუდის არაბეთიდან. ახლა კი აგერ მისი ეს ლექსიცაა უკვე, არაჩვეულებრივად გადმოქართულებული გიორგი ლობჟანიძის მიერ, და უკვე ვიცი, რომ ამ რთულ სამყაროში სიტყვით თუ საქმით ფაქიზად და ალღოიანად მოძრაობის, გადაადგილების მეტაფორას შევყურებ. ვიცი, რომ ავტორიც ასეთია, ენის სიღრმეებში ზუსტი ზიგზაგებით მოარული და ცხოვრების მუხთალ ლაბირინთებში სიარულითაც გამოწვრთნილი, და თანაც ამ გაწონასწორებული მოძრაობების ჰაეროვნებას გემოს რომ ატანს, უკვე ორგანული რიტმაა მისთვის ეს სინატიფე ყველაფერში, და მიდის, აბჯენს რიგრიგობით ცხოვრების თუ პოეზიის პედლებს ფეხს, ხან ერთს, ხან მეორეს, და მიიწევს წინ და უხარია და უყვარს და ბევრი სითბო აქვს თვალებში და გულში...

*შოთა იათაშვილი*

როგორც შენ ამბობ:
საჰაერო ველოსიპედი
სისხლს ხმაურით უჩუხჩუხებს ყოფიერებას
და მხრებიდან ჩამოგაცლის
სვლასა და დგომას,
სიტყვებსა და იმათ შინაარსს,
ცასა და მიწას,
დროსა და ადგილს,
სადაც მიდიხარ, იმასაც და იქითკენ გზასაც.

## მონა თავისი ბატონის სამოსელში

შენი ტანი
არ არის შენი ტანი,
თუკი ისე არ იცნობ, როგორც იმსახურებს..
მანამდე ის არის შენში მცხოვრები უცხო,
დატყვევებული და უკანამობრუნებულხელებდაბორკილი
უუფლებო, გაძევებული და მონადქმნილი...

ის არის უსნეულებო სნეული,
უდანაშაულო პატიმარი,
არის მტერი,
არის მონა თავისივე ბატონის სამოსელში...

თითქოს ის იყოს თვალი აკრძალულის ჩადრს მილმა,
უჩუმრად რომ დაძრწის, ხედავს სიზმარს და
იკვებება წარმოსახვის გოგონებით...
თითქოსდა იგი ჩამპალია საკუთარ სიმწიფეში.
თითქოსდა სუდარაში გახვეული, შეკრული ცოცხალია,
თითქოსდა მკვდარია, რომელიც დადის უხმაუროდ და
არ დასდევს თავის ჩრდილი...

მოიხელთე მისი თვალი პატიოსანი,
ვიდრე ბილიკებზე ფეხით გადათელილ კენჭად იქცეოდეს.
მოიხელთე, ვიდრე დანებდებოდეს და შეეგუებოდეს.
ვიდრე მსხვერპლისა და ზვარაკის სული ჩაუსახლდებოდეს...
ვიდრე ჩაიცვამდეს და შეიმოსებოდეს,
ვიდრე შეინიღბებოდეს და საბურველს ჩამოიფარებდეს...
თავს გამოაცხადებდეს ღვთაებად თავის ტანჯვით
და უკუნითი უკუნისამდე დაშრეტდეს თავის სანთელს...

შენი ტანი
არის იმისათვის, რომ აღმოაჩინო და დაინახო...
რომ შეაკეთო მისკენ ხიდი და მიეახლო...
რომ იქ კმაყოფილი იყო მისით, მისგან თავდახსნილი.
როდესაც აქ შენ თავისუფალი ხარ...
რომ გამოალო მისი დილეგი
და იმის ლაწვებს ჰაერი მიაგებო.
რომ იქ დაჰკრას მზემ, სადაც ეზრდება ბუმბული...
და რომ ღამემ სახე, მკერდი და ხელები გაუბრწყინოს...

## არაბი პოეტის ტკბილქართული

როდესაც ჩავამთავრე თანამედროვე არაბი პოეტის, აჰმედ ალ-მულას ჩინებული ლექსის, „მონა თავისი ბატონის სამოსელში" გიორგი ლობჟანიძისეული თარგმანი, ძალდაუტანებლად წამომიტივტივდნენ შოთა რუსთველიც და მისი ავთანდილიც – არაბეთის სპასპეტი, რომელიც ტკბილქართულით ლაპარაკობდა.

ვისაც მოეხსენებოდა, რომ „ქართული" რუსთველისდროინდელ ენაში „სიტყვის" სინონიმი გახლდათ, არც უკვირდათ ავთანდილის ტკბილქართული უბნობა, მაგრამ ვისთვისაც უცნობია ეს სინონიმურობა, უკვირთ და ვერ აუხსნიათ, ეს არაბი ჭაბუკი ტკბილქართულად რანაირად შეიძლება ლაპარაკობდეს.

ამ ვითარებამ ნოდარ დუმბაძეს ასეთი გონებამახვილური ხუმრობა მოაფიქრებინა:

ავთანდილს ან დედა ჰყავდა ქართველი, ანდა არაბეთის სკოლებში მაღალ დონეზე იყო დაყენებული ქართული ენის სწავლებაო.

ხუმრობა ხუმრობად და:

თვით მათ თვალშიც, „ქართული" და „სიტყვა" სხვადასხვა ცნებები ვისაც ჰგონიათ, ამ თარგმანის წაკითხვის შემდეგ აღარ უნდა დაისვას კითხვა:

როგორ შეიძლება ავთანდილი ტკბილქართულით მეტყველებდესო?!

აჰმედ ალ-მულა სწორედ ისეთი ტკბილქართულით მეტყველებს გიორგი ლობჟანიძის მასწავლებლობის წყალობით, რომ მისი ტკბილქართული მარტო რუსთველსა და მის ავთანდილს არ შეეხარბებათ.

გარეგნულად თითქოსდა მშვიდი განწყობილება, მაგრამ სინამდვილეში მძაფრი სულიერი ქარტეხილები სწორედ შესაფერის სტილურ-ენობრივ სამოსელში გამოხვეულა და ღრმა შთაბეჭდილებასაც ამიტომ ახდენს. არაბი პოეტი თავის საფიქრალსა და სატკივარსაც გვიზიარებს და ამავდროულად ჩვენს სატკივარსა და საფიქრალსაც ღაღადებს.

მოუთმენლად მოველი აჰმედ ალ-მულას ტკბილქართული ლექსების სხვა ნიმუშებსაც და მის პოეტურ კრებულსაც ჩვენს ენობრივ სივრცეში.

***როსტომ ჩხეიძე***

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომ დაითესოს მისი თიხა ღელვითა და რწმენით...
გვალვის გამო აჩქარების გარეშე...
რომ ჩარჩო გამოსული დაინახო ცისქვეშეთში:
ყვიროდეს,
ბლაოდეს,
ხანგრძლივი ჩასუნთქვით იხრჩობოდეს,
იჭიმებოდეა და ყეფდეს,
ზე ალიმართებოდეს, და იჩოქებდეს,
არც ალვირი ჰქონდეს
და არც შემოღობილი...



## არასოდეს მომხდარა უწინ

ეს ყოველივე
არასოდეს მომხდარა უწინ,
მწუხარებაში ჯერ არ ჩავვარდნილვართ,
ჩვენ წინ დაეცნენ დღეები,
კიბეზე რომ წაიბორძიკეს
და არავინ იცის,
ვინ ამოვიდა ზედაპირზე.

ეს ყველაფერი
არასოდეს მომხდარა უწინ:
ექო, რომელიც იბურდება;
დღის გროვაზე უძრავად დამხობილი სიცარიელე,
მოჭრილი ხელი
და ქარი, რომელიც ვაკუუმის წასამლელად იტალღება.

ეს ყველაფერი
არასოდეს მომხდარა უწინ:
ფანჯრები, რომლებიც უგულებელყო ხალხმა
და შემთხვევითობებმა რომ დატვირთეს ზურგსუკან დამალული ხელებით;
კედლები, რომლებმაც გვაცდუნეს მოწამლული სიცილით
და მათი ეშვები ვეღარ შევამჩნიეთ.
თითქოსდა ჟამი არის მტერი, მოსახვევებში რომ ჩაგვსაფრებია,
გვიგებს თავის მახეს,
ხოლო თვითონ ხარხარით გარბის მთათა ვიწროებში.

ეს ყოველივე
მხოლოდ გვეხება
და მერე იმალება,
ისე, თითქოსდა უწინ არასოდეს მომხდარიყოს.

## ის, რასაც დავეძებ

დილაადრიან გავუშვი ხელიდან
და მთელი ცხოვრება მის ჩხრეკაში გავატარე.
ხანდახან მას ალყწერ გასაღების ფორმით,
ხანდახან იმ სახელებით ვუხმობ,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომლებიც არ ესმის.
ხანდახან მარცხნივ გადაგდებულად წარმოვიდგენ,
სწორედ ისე, როგორც საკითხავ სათვალეს ვპოულობ ხოლმე,
ცხვირის გვერდით
რომ მაქვს ჩამოკიდებული.
ხოლო ბევრჯერ
ვანყდები იმას, რაც სხვას დაუკარგავს
და გვერდით მოვიდებ
და მიკვირს, როგორ დაეძებენ ისინი
ამას, რაც ასე მსუბუქია.
რაც უფრო მძლიერდება მისი ნდომა,
თვითონ მას მით უფრო ემატება ძალა
ჩემი ყოველი შეუპოვრობის ალსაკვეთად.
ჩემი ხელები წყვდიადში განისწავლნენ
და ამოთხარეს სინათლე,
როგორც სახნისი, რომელიც წინასწარმეტყველებდა...
ერთადერთი თითითაც კი ვხედავდი,
კარის გაღებისა თუ ცეცხლის ანთების
აუცილებლობის გარეშე.

შევეჩეხე ჩემს ნადილს
იმ დღეს, როცა დამავიწყდა, რასაც დავეძებდი, –
და ეს სწორედ ის იყო,
რაც ხელიდან
განზრახ
გავუშვი...

## ცეცხლი

ის, რასაც ბავშვობა წყალს არქმევდა,
სიჭარმაგეში ცეცხლად გადაიქცა.

ემსგავსა თავსატეხს და
რაც უფრო ჩაუკვირდი,
მით მეტად ჩაიხლართა.

დარწმუნებული იყავ, რომ
შორს იყო
და სხვა მიმართულებით,
მაგრამ იგი საფარში ჩამალული გზვერავდა,
ახლოს იყო და დროს ელოდებოდა,
მალავდა იმას, რაც თქვენ შორის იყო,
და უცდიდა შენს მიახლოებას
ეგებ შემთხვევითობის,
ანდა ზოგჯერ გზის გამრუდების გავლით,
რომელსაც არ ელოდი.
სხეულის მოდუნებით,
არასათანადო ადგილას გადადგმული ნაბიჯით,
მცდარი გადაწყვეტილებით,
და მცირედი ნაბორძიკებითაც კი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გარწმუნებს ის ერთადერთი,
რომ ეს ყოველივე შენ წინაშე მანამ აფეთქდება,
სანამ მათ მიაღწევდე.

მზერა დაგიჩლუნგდა
და ვეღარაფერს ხედავ, აჩრდილთა მეტს,
შორიდან რომ სხლტებიან ერთურთის მიყოლებით,
და მოკანკალე ხელით მიმოასწორებ.
ვერ გაიგე,
რომ ისინი შენში ბინადრობენ,
უგულისხმობაში ჭაბუკდები,
და შენს ახლანდელში
ცეცხლოვანი რკალივით იფეთქებ.

## ვეძახდი მათ სახელებს...

ბუნდოვანი ჩქამი შემომესმა,
რომლის პატრონიც მე არ დამინახავს.

ეს ხდებოდა ღამით,
და მე მოვუხმობდი სახელებით,
რომ იმედად მომეშველიებინა
მათი მოსვლა.
პირველად ეს მოხდა უდაბნოს ცეცხლის ჩაქრობისას
და მე ეს ცეცხლი თან გავიყოლე
მსუბუქ ნაბიჯებად,
რომელიც ჩემკენ მოემართებოდა
ნელა და არ ბორძიკობდა.

ჩემს ფიქრებს დიდხანს ვწვრთნიდი,
ვიდრე ხელებში სრულად არ მომიმრგვალდა
და გახდა შემძლე იმისა, რომ
ეტვირთა ნაღველი,
ისე რომ არ გაციებულიყო
და არ დაქუცმაცებულიყო.

დავიქანცე
და გამაბეჯითა ჩემი ყველა სურვილის თავმოყრამ
ერთ წინანდადებაში:
მოვიდა, ვინც მეწადა
და ვერ მიპოვა.

ყოველთვის, როცა სიმარტოვე მჭირდა,
ყურს ზილიკის მხარეს ვაბრუნებდი
და მონატრებით თვალდახუჭული
მაგრად ვეჭიდებოდი იმას, ვინც მენატრებოდა.

აი, ისინი
მოდიან
ვუხმობ მათ სახელებით

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცალ-ცალკე
და მინა იპობა მათგან
მუდამ, როცა კი
ძრწოლა ძლიერდება...

## ცხოვრება დაენიათ...

ერთმანეთისაგან ვერ გაგვირჩევია
ბილიკი და გზა,
თუ არა მხოლოდ
შემდგომად სვლისა.

მივედით და ერთად ჩავვარდით გულისხმაში.
ვჩხრეკთ იმას,
რაც ერთმანეთის მიყოლებით
ჩამოცვივდა.
გვსურს დაბრუნება
თვალდახუჭულთ,
მაგრამ გზა უკვე ბილიკად ქცეულა,
მათი ნაკვალევი ერთმანეთში აგვერია
და ის აღარ დაბრუნებულა
იმ მიზნიდან,
რომლისკენაც ჩვენ მივემართებით...

დავიკარგეთ
ვიწრო გასასვლელებში,
რომლის ნაპრალებიც ღამეს
წამახული ქვებით ამოავსო.
გრძელ სახელებს ჩამოვეკიდეთ
და დაგვიწყდა თოკები...
ჩვენ კი დაბეჟილობებიდან და ჩალურჯებებიდან
ჩამოვიფერთხეთ სვლის ნამცეცები,
რომ ეგებ ეკაშკაშათ.

რა ძალიან გვინდოდა დაბრუნება!
ყოველი ნაბიჯი კი
შლიდა რაღაცა ძალას სიცოცხლისას,
რათა ხელახლა წამოგვეწყო
თავდაპირველი თამაში,
როცა ჩვენს მოცინარ თითებს
ვწყვეტდით წარსულის ხელებიდან,
უგულისხმოდ მყოფნი
ოთხკუთხედთა თავზე,
რომელთაც ვახტებოდით.
და უნებურად ვბორძიკობდით ხაზებზე,
რომლებზე ფეხის დაბიჯებასაც გავურბოდით.



ვხტებოდით და ლამის დავფრინავდით,
ჩვენს ცინცხალ კიდურებს შევყურებდით
და ფრთებს აღვაგზნებდით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არ დავქანცულვართ,
უგულისხმობა არ დაგვეუფლებია,
და არ გადაუვიწყებია ჩვენთვის ნაბიჯთა შინაარსი.
მხრები ჯერ კიდევ არ გვქონია დამძიმებული...
ქვის ერთი ფილიდან მეორეზე ვხტებოდით
უფსკრულის შიშით,
ფეხები გვიკანკალებდა,
გულები გვიცახცახებდნენ
და ბღაოდნენ,
ეს იყო თამაში, რომელშიც გავინაფეთ,
მაშინ, როცა მამებს ხელიდან ვუსხლტებოდით...

ზოგს ცხოვრება დაენია
და ღონივრად ამოსდო თავისი ლაგამი,
ბევრი დაეცა,
და ჩვენგან მხოლოდ ცოტანი მოეჭიდნენ ხელებით ჰაერს
და ნაპირი მათ უკანასკნელ ხიდად გადაიქცა.

## ჩემს ცხოვრებას ვუბიძგებ წყლისაკენ

ღონე გამომაცალა ჩემმა ცხოვრებამ, როცა ის დავწერე,
ჩემ წინ ყალყზე შედგომა იწყო
და თავთხელი ნაპირისაკენ გაიწია.
ვერანაირმა ხერხმა ვერ მიშველა,
რომელიც მას იქით გამოაბრუნებდა,
სადაც ვეშაპები იბუდებენ
და მოსვენებულნი იმალებიან ოკეანეებში.
ვიტანჯები მისი ყურებით,
როგორ გორავს მწვირეში და
ასუნთქებს ტალახში.
და ყოველ ჯერზე, როცა კი ტალღასთან ერთად
უკან დასაბრუნებლად შეიმართება,
საკუთარ სიკვდილს ითხრის სიტყვებით,
რომლებითაც ვლიცლიცდები
და რომლებიც წარმომთქვამენ.
თანაგრძნობით ვიყვან ხელში
და შინ, კედელზე ვკიდებ.

ამიტომაც გავურბივარ ზღვის წინაშე დგომას
და ჩემი განვლილი ცხოვრების დაძირვის ყურებას.
და ვფიქრობ ჩემი ცხოვრების დაწერაზე;
ეს კი წინ არის.
რაც კი ხდება,
სრულიად შემთხვევით უცვლის მას გეზს
მეკობრეებისა და მებადურებისაგან,
ყოველი რიფისაგან, წინ რომ მელობება
ანდა ხომალდისგან, გზას რომ გადასჭრის.
ვიდრე აჰა, არ დავინახავ მას,
ჩემ წინ რომ იკლაკნება და
ლამის არის, სული ამოუვიდეს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კვლავ შევძრწუნდები,
და ვუბიძგებ წყლისაკენ,
რათა ოდესმე ისევ შევხვდე,
და ვაიძულებ, გაიქცეს იმ მხრისკენ, სადაც
თვითონაც არ იცის, რა მოხდება.

განმგმირა თავის ისრით,
მოზიდა მშვილდი
და თვალები გულზე მომაბჯინა,
თავი გადმოხარა, ზომავდა მანძილს...
შეირხა ჰაერი ჩვენ შორის
და ერთმანეთს შეხვდა ჩვენი მზერა
და ისე გაჯიუტდა,
როგორც უეცრად გამსხლტარი ქურციკი.

სხეული დაჭიმული აქვს,
თითები მოკაკვული,
აცახცახება გადავადებული,
მაგრამ დადგა წამი
და
კიდევ ერთხელ, თვალი რომ მოხუჭა,
დამაგდო,
როდესაც ისროლა ისარი.

## აი, კიდევ ერთხელ

აი, ამ ერთხელაც
ვუბრუნდები წერას,
ასე ვანამებ ჩემს თავს,
ყოველ ჯერზე,
ჩემს თავს, რომელსაც ჩემივე წინ ვიდებ და ვაიგნორებ,
რათა ის დავწერო მასზე, რაც არ ვიცი...

## ჩავლილი წელი

რამდენიმე დღე დარჩა წლის ბოლომდე,
მე კი სულაც არ ვჩქარობ, გამოვაცხადო მისი დასასრული.
ერთ დღეს შეუძლია მთელი ცხოვრება დააკრას ბეჭებზე,
ერთი საათი ცვლის გზის იერსახეს და
სადგურებს შეგვიცვლის...
წუთიც კი
ახერხებს,
სული ამოგვართვას
და ზამთრის მაღალ ხეზე ჩამოკიდოს...

სულაც არა ვჩქარობ,
თასი ავწიო და
ფრთხილად გამოვცალო იგი ყლუპ-ყლუპობით...

## მოდი

ნამოკრიფე შენი სახის ნამცეცები
და ნადი იქით, სადაც გასახლებენ.
მე ვიცი, შენ არ დაგიტოვებია სახლი ისე,
რომ არ ყოფილიყო იგი დაქცეული.

დამალვა უკვე აღარ შემიძლია,
თითით მიმანიშნებ
და რამდენჯერ არად ჩავაგდე მინიშნება,
შესაძლებლობიდან რომ თავზე დამყურებდა,
ნავსულვარ ყურადღებით
და შენკენ არც გამომიხედავს...

მერე რაღა?
რომ გზაზე გადამიდგე
და დახატო ბილიკი?
რომ
შენი ქვების ქვეშ
დამიმხო და მიტანჯო სახლეული?
მითხარი,
რა გინდა?
არა ვყოფილვარ შენი ამხანაგი
და ღმერთმანი,
როგორ მაიძულებ
ამ ნანგრევთა ზიდვას?

## ეს კანკალი

ეს კანკალი
კვლავ ხელახლა მივლის სხეულში,
საღამო ნოტიოა,
ჰაერი მარილიანი,
თოლიები,
ნავი, რომელიც წყლებმა მიატოვეს...
ეს კანკალი, დიახ,
ბრმა დურგალია,
ხის გაპობის ხმები რომ ჩაესმის.

## როგორ დავკარგე გზა შინისაკენ?

მეტისმეტად მოკლედ:
მას შემდეგ, რაც მე იგი მივატოვე,
თვითონაც მიმატოვა:
აღარც კარი აქვს,
აღარც ფანჯარა
და არც საძინებელი...
აღარაფერია,
გარდა
გუგლის რუკაზე
მბჟუტავი ნერტილისა...

*არაბულიდან თარგმნა*
*გიორგი ლობჟანიძემ*

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# 2 პოეზია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბექა ბარქაია

## ჰაიკუების ორი გვირგვინი

(აკირა მიკიტოს მოტივებზე)

### ლაბირინთი და თეზევსი და მინოტავრი

(რეკონსტრუქტივისტულ-კომბინატორული ანალიზი)

1.
„მაცინებს შენი უკვდავება!" – მარადმწვანე ლაბირინთიდან
მინოტავრს მჭახედ გამოსძახა
ეგეოსის ვაჟმა – თეზევსმა.

2.
თეზევსმა და მინოტავრმა
ლაბირინთის შენება რომ დაასრულეს,
დედალოსის ნახელავი შეუქეს მინოსს.

3.
„რომელია სტუმარი და რომელია მასპინძელი?" –
არიადნეს მზრუნველი ხმით ჰკითხა ჰეფესტოს,
თეზევსის და მინოტავრის ლხინის სუფრა როცა იხილა.

4.
ათოვს ლაბირინთს.
თეზევსის აბჯრის ჟღრიალმაც კი ვერ გააღვიძა,
ისე ღრმად სძინავს მოლოდინით დაღლილ მინოტავრს.

5.
თეზევსის სიზმრის ლაბირინთიდან
მინოტავრმა არიადნეს ნაღვლიანი ღიმილით ჰკითხა:
„მაინც რამდენჯერ უნდა მომკლა, რით ვერ დარწყულდი?"

6.
„შენ ფიქრობ, შენი ლაბირინთის გასაღები ჩემსაშია საძიებელი?"
მინოტავრმა სკეპტიკური მზერა სტყორცნა
გამჭრიახ თეზევსს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

7.
როცა ლაბირინთს დაუბრუნდა გამარჯვებული
და ჩააცქერდა შავი ღვინით სავსე ფიალას,
მინოტავრს უმალ ეცნო თეზევსი.

8.
„შინ რომელია ჩვენ ორიდან?"
თეზევსი და მინოტავრი
ლაბირინთის ჭიშკარს უმზერენ.

9.
როცა ერთმანეთს თვალი თვალში გაუყარეს,
თეზევსმა და მინოტავრმა
თვალთმაქცობა გააძევეს ლაბირინთიდან.

10.
„ლაბირინთში რომელი ვართ?" –
ეკითხება მინოტავრი
დაბნეულ თეზევსს.

11.
როცა თეზევსმა ლაბირინთი მინოტავრის სისხლით შეღება,
ნანატრ ზეფირთან შესახვედრად
ალუბლის ხემ მკლავი სწორედ ამ დროს გაშალა.

13.
თავი რომ ვერ დააღწია
არიადნეს სიზმრის ლაბირინთს,
მინოტავრმა თეზევსს უხმო დასახმარებლად.

14.
„გარედან შიგნით ილება თუ – შიგნიდან გარეთ?"
ქარი ჭრელ ფოთლებს აშრიალებდა.
თეზევსი და მინოტავრი ლაბირინთის ჭიშკართან იდგნენ.

15.
ისევ გათოვდა ლაბირინთში.
დაღვრემილ თეზევსს
არ ემეტება წასაშლელად მინოტავრის ნაფეხურები.

16.
„ლაბირინთს მხოლოდ ერთი კარი აქვს:
შესასვლელი და გამოსასვლელი!", –
შეახსენა არიადნემ მინოტავრთან შესახვედრად აღჭურვილ თეზევსს.

17.
„მაცინებს შენი უკვდავება!"
პოსეიდონის ვაჟს – მეფე თეზევსს –
მინოტავრმა მარადმწვანე ლაბირინთში მჭახედ შესძახა.

18.
ლაბირინთის მძიმე ჭიშკართან
ხანგრძლივად ბჭობდნენ თეზევსი და მინოტავრი –
რომელი რომლის სიზმარში მოხვდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

19.
„მაინც როდის ვარ მინოტავრი:
ლაბირინთში? ლაბირინთის გარეთ?" –
შეპარვით ჰკითხა არიადნეს სიზმრად თეზევსმა.

20.
„ისევ მოხვედი? აკი ერთხელ უკვე მომკალი?!"
მინოტავრმა დაღლილი მზერა
თეზევსიდან ლაბირინთში აყვავებულ ალუბლის ტოტზე გადაიტანა.

21.
ხმლით განგმირულმა მინოტავრმა, ვიდრე დაეცა,
ლაბირინთში შესასვლელად
თეზევსს მშვიდად გაუწოდა ძაფის გორგალი.

22.
„კარი გამიღე!" –
ლაბირინთიდან გამოსძახა მინოტავრმა
დაბნეულ თეზევსს.

23.
როცა თეზევსმა არიადნეს დახმარებით
ლაბირინთში შეღწევა შეძლო,
მინოტავრი უკვე ფლობდა თეზევსის სიზმარს.

24.
სწრაფმა თეზევსმა
ლაბირინთიდან ფეხად გაასწრო
მისი დევნით დაღლილ მინოტავრს.

25.
ვიდრე ლაბირინთს დატოვებდა, თეზევსი შედგა.
მთვარის ნათელში ბუკიოტმა გადაუფრინა,
რომელიც მალე მინოტავრის რქაზე უნდა ჩამომჯდარიყო.

26.
„კარი გამიღე!" –
ლაბირინთიდან გამოსძახა მყისვე თეზევსმა
მასთან სტუმრად მისულ მინოტავრს.

27.
დედალოსმა ლაბირინთის შენება რომ დაასრულა,
თეზევსის და მინოტავრის ნახელავი
შეუქო მინოსს.

28.
„მაშ, თუ ასეა, ლაბირინთში როგორ შევიდეთ?"
თეზევსი და მინოტავრი
არიადნეს ძაფის გორგალს აბურთავებენ.

29.
„ძეირფასო თეზევს, ამაოდ ფიქრობ,
რომ შენი სიზმრის ლაბირინთით ჩემსას ამოხსნი!"
დამშეული მინოტავრი ძილში ბორგავდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

30.
აი, თეზევსმა მეგზურობა შესთავაზა
ლაბირინთში დაკარგულ და მშიერ მინოტავრს;
საკუთარ თვალებს არ უჯერებს ძაფის გორგალი.

31.
„არა, აქ მხოლოდ აპისი ვარ, მინოტავრი ლაბირინთში ვარ!"
„თუ ასეა, ლაბირინთში უნდა შემიძლევე!"
ეს სიზმარი ჰელიოსმა ასიზმრა თეზევსს.

32.
„გულწრფელად გეტყვი, გულიანი მასპინძელი ხარ!" –
უთხრა მინოტავრს მზით აღსავსე ლაბირინთში ლაღმა თეზევსმა.
ნახევარმთვარემ ღრუბლებიდან სწორედ ამ დროს გამოანათა.

33.
თეზევსს გაანდო არიადნემ:
„მე მინოტავრს ეს გორგალი მაშინ მოვპარე,
ლაბირინთიდან ჩემს სიზმარში მშიერი რომ შემოეხეტა".

34.
თეზევსი როცა გამოვიდა ლაბირინთიდან,
უმალ მოიხსნა მინოტავრის ზორბა ნიღაბი
და მთვარის ნათელს სისხლიანი სახე უჩვენა.

35.
„მშვიდობით, ჩემო ასტერიოს!" –
თვალი შეავლო თავის იერს მინოტავრმა სისხლის გუბეში.
ლაბირინთიდან გამოსულ თეზევსს ეს სიტყვები აჩრდილივით ასდევნებოდა.

36.
მხერინავ მინოტავრს
თეზევსმა ცხვირთან მიუტანა ძაფის გორგალი.
ლაბირინთში ამ დროს ნაზმა სიომ დაჰბერა.

37.
„შენ კი უგულო ლაბირინთში გამომწყვდეულხარ!" –
უმალ მიუგო მინოტავრმა
გულიანად მოცინარ თეზევსს.

38.
მინოტავრის სიზმრის ლაბირინთს
თავი რომ ვერ დააღწია,
არიადნემ თეზევსს უხმო დასახმარებლად.

39.
თეზევსმა შუბი მოიმარჯვა და გაიღიმა.
„როგორ მომძებნე?" – ეკითხება მინოტავრი უსურველ სტუმარს.
უკვირს პასუხი: „ლაბირინთი ცის სარკეში აირეკლება".

40.
ლაბირინთს გარეთ გალვიძებული მინოტავრი
ყველაფერს მიხვდა:
ყავლი გასვლოდა თეზევსის სიზმარს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

41.
ღხინი დასრულდა ლაბირინთში.
თეზევსი და მინოტავრი
მთვარის შუქით დარწყულებულ აპისს უხმობენ.

42.
„სად ვარ თეზევსი:
ლაბირინთში? ლაბირინთს გარეთ?" –
მინოტავრმა არიადნეს ჰკითხა სიზმარში.

43.
ქარმა ხმაურით წამოშალა ლაბირინთის ბილიკებზე ჭრელი ფოთოლი.
„აქ არაფერი მესაქმება, დაისვენე, დანაყრდი და ერთად გავიდეთ", –
მინოტავრმა წრფელი გულით შეჰლიმა თეზევსს.

44.
რა წამს თეზევსმა არიადნეს ძაფის გორგალი
ზეალმართა და ლაბირინთი გააჩირაღდნა,
მინოტავრს უმალ ეცნო გონიო.

45.
„შენ ფიქრობ, შენი ლაბირინთის აჩრდილია ჩემი სამყოფი?"
წინ და უკან მოარულმა მინოტავრმა
გამომცდელად შეხედა თეზევსს.

46.
ლაბირინთის გულისგულში
უდარდელად ჩაძინებულ მინოტავრს რომ გადაეყარა,
თეზევსმა უმალ იცნო აპისი.

47.
„დროა, დავტოვო ლაბირინთი!" – თქვა მინოტავრმა
და კარიბჭისკენ გზის გასაგნებად
თეზევსს მიენდო.

48.
როცა თოვლი და თეზევსის ხელით განგმირული მინოტავრი
ლაბირინთში მარტო დარჩნენ,
ჰელიოსმა ცივი თვალი მოავლო კუნძულს.

49.
დაქანცულმა მინოტავრმა ლაბირინთის კარი შეაღო
და თეზევსს სთხოვა:
„აპისს გაფიცებ, მეგობარო, ცენტრი მიჩვენე".

50.
ლაბირინთის ხეივნებში ნუში აყვავდა.
ერთურთს შებმიან თეზევსი და მინოტავრი.
მთვარე ფარად იფარებს ღრუბელს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

51.
მინოტავრი
ლაბირინთის კარიბჭესთან მაშინ მიიჭრა,
როცა თეზევსმა იქ შესვლა და დამალვა შეძლო.

52.
სტუმრის ხელში ძაფის გორგალს რომ მოჰკრა თვალი,
მომაკვდავმა მინოტავრმა თავის თავს ჰკითხა:
„ლაბირინთის თამაშის წესებს რატომ არღვევ, გულადო თეზევს?"

53.
თეზევსის ხმალი წითლად როცა შეიღება,
არიადნეს მეყვსეულად გამოეღვიძა:
მთვარე ჰგავდა ლაბირინთში დამწყვდეული მინოტავრის რქას.

54.
თმა-წვერდათოვლილ მინოტავრს რომ დაემშვიდობა,
ლაბირინთიდან გამოსასვლელად
თეზევსი თავის ნაფეხურებს ჩაუდგა კვალში.

55.
მინოტავრის ბასრი რქებით განგმირული
თეზევსი ვიდრე დაეცემოდა,
მასპინძელს მშვიდად გაუწოდა ძაფის გორგალი.

56.
„დროა, ლაბირინთს დავუბრუნდე!" –
გადაწყვიტა თეზევსმა და გზის გასაგნებად
დახმარება სთხოვა მინოტავრს.

57.
„პირწმინდად მოვვლე ლაბირინთი,
მაგრამ, ძაღლს ვფიცავ, მინოტავრი არსად მინახავს!"
თეზევსის ხელი არიადნეს შიშველ მკერდზე ფრთხილად დაეშვა.

58.
მშვიდად ბარდნიდა ლაბირინთში,
მინოტავრს რომ გამოეღვიძა.
თეზევსის ხმალი თურმე სწორედ ამ ნამს ელოდა.

59.
„დე, ლაბირინთში ეს გონიო გექცეს მეგზურად!" –
მინოტავრმა არიადნეს საჩუქარი გაუწოდა
ღიმილით თეზევსს.

60.
„რატომ მოხვედი? აკი უკვე დაგიბრუნე შენი სიზმარი?!" –
თვალები ფრთხილად დაუხუჭა მინოტავრმა
გარდაცვლილ თეზევსს.

ელექტრონული
ბიბლიოთეკა

61.
„აი, მოვედი, კარი გამიღე!" –
არიადნეს ძმამ, მინოტავრმა,
ლაბირინთში შესძახა თეზევსს.

62.
სისხლის გუბეში მწოლიარე მინოტავრმა თეზევსს შეჰლიმა.
ლაბირინთის მასპინძელს ამ დროს
ბავშვობის წითლად მობიბინე მინდვრები და ონავარი არიადნე ახსენდებოდა.

63.
ლაბირინთიდან გამოსული თეზევსი შედგა
და ზეაღმართა მინოტავრის მოჭრილი თავი.
თითქოს კაშკაშა ჩირაღდანმა უკუაგდო ღამის სიბნელე.

64.
და
ასე
შემდეგ.

## იონა და ზღვა და თევზი

(თეოლოგიურ-კომბინატორული ანალიზი)

1.
ზღვა უკვე დაცხრა.
იონა თევზის მუცელში ზის და ასე მოთქვამს:
„გთხოვ, უფალო, ნუ მომინელებს!"

2.
სამი დღეა და სამი ღამეა:
თევზი, რომელსაც გზას უჩვენებს იონას ლოცვა,
ზღვას კარნახობს მიმართულებას.

3.
უფალი იცავს
დიდ თევზს, რომელიც
ზღვის სტომაქისგან იცავს იონას.

4.
ზღვა არ იძვროდა.
„ვიცი, სად ვარ და არ ვიცი, სად ვარ!" –
იონამ თევზის მუცლის ხმაურს მიაყურადა.

5.
თევზის მუცელში მუხლმოყრილი
იონა ფიქრობს:
აქ ზღვის ხმაური ახშობს უფლის ხმას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

6.
განცვიფრებული იონას გული
თევზის მუცლის კუნაპეტმა შურით ალავსო.
ზღვამ ფერი სწორედ ამ დროს იცვალა.

7.
როცა იონა თევზის ხახამ დაისაკუთრა,
მძვინვარე ზღვამაც მას მიბაძა:
ყველა ტალღა ერთბაშად შთანთქა.

8.
იონამ სახე მოიჩრდილა.
ზღვის ხმაური არ წყდებოდა
თევზის მუცელში.

9.
ზღვის ტალღებისგან თავდახსნილი იონა ფიქრობს:
„იმ დიდი თევზის მუცელში ვარ გამომწყვდეული,
რომელიც ჩემი მტერი არ არის".

10.
ზღვა იმ გზას ადგას,
რომელსაც – თევზი.
თევზი იონას სავალს მორჩილებს.

11.
წმინდა სინათლის დიად ბადეში
მოხვედრილ დიდ თევზს დაემსგავსა ბობოქარი ზღვა,
როცა იონა მისმა ხახამ დაისაკუთრა.

12.
„მე თუ ვერ ვხედავ ჩემივე გზას,
ზღვა და თევზი როგორ ხედავენ?"
იონას კითხვა კითხვა არ იყო.

13.
ზღვა როცა დაცხრა
და დამშვიდდა თევზის მუცელი,
იონა მაშინ უფრო აღელდა.

14.
„გიყვარდეს მტერი!" –
ეს ხმა იონას და თევზს და ზღვას
ერთხმად ჩაესმათ.

15.
გაოცებისგან ცას და მიწას პირი შეუკრავთ:
ამონთხეული ამ იონას გული რას ჰგავს და –
ზღვის უფსკრულში უკუქცეულ თევზს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

16.
წაქცეულ კათხას ზუზი აწვალებს.
აყიროს ჩრდილში იონა თვლემს.
ზღვა და თევზი სწორედ მისგან ითხოვენ შველას.

17.
ზღვას დიდი თევზის
თვალი არ ეცნო.
მასში იონას გული ფეთქავდა.

18.
სამი დღეა და სამი ღამეა,
მოგზაურობს იონას ლოცვა.
მძვინვარე ზღვისთვის დახშულია თევზის მუცელი.

19.
აი, იონა უკვე თევზის მუცელშია გამომწყვდეული,
ზღვას კი ტალღები დაუკეცავს სახელდახელოდ:
გაქცეულ თევზს კუდდაკუდ მისდევს.

20.
„უფალო, აკი აქაც ერთად ვართ!" –
იონამ თითქოს ზღვა განდევნა
თევზის მუცლიდან.

21.
იონას ლოცვის მტკიცე ბადეში
გამოხვეულმა დიდმა თევზმა
ზღვას სთხოვა შველა.

22.
იონამ იცის:
მისი გზა და დიდი თევზის გზა
უფლის ზღვაში ერთ გზას ადგანან.

23.
თევზის მუცელში მუხლმოჯრილი იონა ფიქრობს:
„იმ ზღვის ტალღები მიქადდნენ სიკვდილს,
რომელიც ჩემი მტერი არ არის".

24.
თევზის მუცელში
უფლის ხმამ და ზღვის ხმაურმა
უცებ ერთხმად ააჩქარეს იონას სუნთქვა.

25.
ზღვის დრომ თევზის დროს
თვალი თვალში გაუყარა.
იონას დროს წარეხოცა მათი დროება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

26.
„ჩემი გულია დიდი თევზის მუცელი თუ
დიდი თევზის მუცელია ჩემივე გული?"
ზღვამ დუმილით უპასუხა იონას კითხვას.

27.
„დიდი თევზი ვარ, მაშინ უფლის საჭე ვიყავი".
„საშიში ზღვა ვარ, მაშინ უფლის სახლი ვიყავი".
„იონა ვარ, ერთ დროს – სტუმარი".

28.
იონას ლოცვით
აღსავსე თევზმა
ზღვა დააფიქრა.

29.
„მიყვარდეს მტერი, მაგრამ ვისი: ჩემი თუ შენი?" –
იონამ თითქოს ზღვის და თევზის გასაგონად
გასძახა უფალს.

30.
როცა პირნათლად აღასრულა უფლის ბრძანება
და ისევ მიწას დაუბრუნა თევზმა იონა,
ის მერეც დიდხანს დაცურავდა ზღვაში მშიერი.

31.
იონას ლოცვას მიცემულმა
ზღვამ და თევზმა
ერთურთი იცნეს.

32.
ზღვა როცა დაცხრა, კუნაპეტში მეყვსეულად იგრძნო იონამ:
შიშით აღძრულ თევზს გეზი აელო
წმინდა წყვდიადის მიმართულებით.

33.
როცა იონამ
ზღვის ტალღებში მოთამაშე მზე იხილა,
სწორედ ამ დროს არწყია თევზმა.

34.
ზღვას უყვარს თევზი,
რომლის მუცელშიც
იონა უფლის მიმართ ლოცულობს.

35.
„უფალო, ნუთუ შენი დრო და ზღვაში მბორგავი
დიდი თევზის დრო ერთი დროა?!" –
უკვირს იონას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

36.
იონამ მუხლი მოიყარა.
დიდი თევზი ზღვის უფსკრულში ჩაეშვა და ასე ილოცა:
„გთხოვ, უფალო, ნუ მომიწყენ!“

37.
თევზის მუცელში მყოფ იონას თევზი არ სძულდა.
ბობოქარ ტალღებს იხსენებდა და არც ზღვა სძულდა.
მას შიში სძულდა.

38.
იონა თევზში წლუწარებდა,
თევზი – ზღვაში,
ზღვა – უფლის თვალში.

39.
აი, ზღვის დრო და დიდი თევზის დრო
ერთ დროებად უქცევია
იონას ლოცვას.

40.
იონამ მუხლი მოიყარა თევზის მუცელში.
ამ დროს წყვდიადმა
ზღვის ხმაური ერთბაშად შთანთქა.

41.
იონა იმ გზას შეუდგომია,
რომელსაც – თევზი.
ზღვა იონას სავალს მორჩილებს.

42.
ზღვის დროში მშვიდად მოგზაური
თევზის დროში
იონას დროს უფალი იცავს.

43.
„რას ვიფიქრებდი, უფლის პირში წყვდიადი თუ დამიხ-
ვდებოდა?!“
ზღვა კი თევზს უმზერს
და ანთებულ მის თვალებში იონას ხედავს.

44.
როცა იონა ამოანთხია,
ზღვის წიაღისკენ მიქცეული თევზის მუცელი
სავსე იყო ლოცვით და სუნთქვით.

45.
უფლის ბადეში მოგზაური
თევზის მუცელი
მძვინვარე ზღვისგან იცავს იონას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

46.
ზღვის წიაღმა და თევზის მუცელმა
საიმედოდ უზრუნველყვეს
იონას ლოცვა.

47.
ამონთხეულმა იონამ ეს თქვა:
„უფალო, რა დრო გაუვლია შენს ზღვაში ამ თევზს,
თუ უბადრუკმა ჩემმა ლოცვამ გული გაგითბო!“

48.
თევზის ზურგი მზის სხივებში გაუჩინარდა.
ამ დროს ზღვა ისე შეიკუმშა,
თითქოს გული ამოგლიჯესო.

49.
ეს – იონა ზის აყიროს ჩრდილში,
თევზის მუცელი ახსენდება
და უწყვეტი მონატრება უსველებს თვალებს.

50.
„დაე, მიყვარდეს ჩემი მტერი!“ –
გაესიტყვა უფალს იონა.
ზღვამ და თევზმა ამ დროს თითქოს ერთურთი იცნეს.

51.
იონას შია.
შიათ თევზს და ზღვას.
უფალსაც შია.

52.
ზღვიდან ხმელეთზე გადმონთხეულმა
იონამ მტერი მოისაკლისა.
დიდმა თევზმა უფალს შეჰღიმა.

53.
ზღვა სმენად იქცა მოულოდნელად:
თევზის მუცელში მომწყვდეულ წყვდიადს
იონას ლოცვამ სხვა ხმა შესძინა.

54.
აი, იონა:
ზღვაში მოძრავი თევზის მუცელში
მოძრავი თვალი.

55.
ზღვის ლაბირინთში
მღელვარე თევზს
უმძიმს იონა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

56.
როცა იონა წმინდა სინათლის დიად ბადეში გამოეხვია,
ცდიდმა თევზმა და მდუღარე ზღვამ ასე ილოცეს:
„გთხოვთ, უფალო, ნუ მოგვიწყენ!"

57.
თითქოს ზღვას სძლია დიდმა თევზმა და იონა დაისაკუთრა.
ხახამშრალი ზღვა თითქოს დიდ თევზს კუდდაკუდ მისდევს.
თითქოს მზე მართლა დაძაბულა, და თვალებს ხუჭავს.

58.
„ვაი, რომ მტერი თავადვე ვარ!" –
იონას ხმამ
ზღვაც და თევზიც ერთბაშად შთანთქა.

59.
იონას უკვირს:
სამმა დღე-ღამემ ისე განვლო თევზის მუცელში,
რომ მხოლოდ ზღვის ხმას ისმენდა და უფალს ხედავდა.

60.
მზე ღიმილს უწვდის დაბღვერილ ღრუბლებს:
„იონას დროში დაუმორჩილდა
ზღვის დრო თევზის დროს".

61.
იონას ლოცვით ზღვის ფსკერამდე დამძიმებულ თევზს
სამ საუკუნედ გადაექცა
სამი დღე-ღამე.

62.
თევზის მუცლიდან ამონთხეულმა
იონამ ზღვისკენ იბრუნა პირი:
კარგ მასპინძლებს მადლობა უძღვნა.

63.
„ზღვაში მოგზაურ თევზში კი არა,
ჩემივე გულში მომისროლა ჩემმა უფალმა!" –
შვილიშვილებს მოუთხრობდა მერე იონა.

64.
და
ასე
შემდეგ.

ელექტრონული
ბიბლიოთეკა

## ზურა პაპიაშვილი

### ჩემი სიყვარული

არსად წასულა, არ გამქრალა, აქ არის ისევ,
მას მიტოვება არ უცდია, კვლავ ჩემთან სძინავს,
ვერთობით ისევ, ძველებურად ვიგონებთ კითხვებს,
შენს არყოფნაში მოსვენებას არ ვაძლევთ ფიქრსაც.

ვისნავლეთ უკვე განშორების სიმწარეც, სიტკბოც,
დროებაც უკვე შეეხიზნა გაცრეცილ ღამეს,
წარმოიდგინე, ჩვენ არაფერს, არაფერს ვითხოვთ,
უბრალოდ სიტყვებს გამუქებულ ვარსკვლავებს ვამთხვევთ.

ვსეირნობთ ისევ ძველი გზებით და მხოლოდ ღამით
გვაცვია თბილად, ვეგუებით მოვარდნილ ქარბუქს,
ვჩერდებით ჩუმად, კოცნას ვგზავნით სულ ერთი წამით,
და წვიმა გვისწრებს, უშენობის ფერებში გართულს.

ვბრუნდებით სახლში, ისევ ისე, იგივე საათს
ვიძინებთ, სიზმრებს ველოდებით ნამგზავრი თვალით,
არავის ვუშვებთ, არ ვიკარებთ ბედისგან სარკაზმს,
რომ ჩვენთან არ ხარ, თუნდაც მხოლოდ სულ ერთი წამით.

რაც არის – არის, დავრჩით მარტო, ასეა წესი,
არსად წასულა, არ გამქრალა, აქ არის – ჩემთან,
მე მას ერთგულად ვეფერები, ის დამრჩა ერთი,
მე ვწვები თავთით, ის თავს მადებს კრძალულად ფეხთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მიქელ-გაბრიელი

*შოთა ჩანტლაძეს*

მზიანი ამინდი გამოდის, გავდივარ,
ისევ მესალმება ქუჩა ცარიელი,
დავემვი, შუაგულ ქალაქში გავრბივარ,
ფეხებზე მკიდია მიქელ-გაბრიელი.

მეც მოვიტყუები ცოტას და გავივლი
და ვითომ არ ვიმჩნევ გუშინდელ შავ ღრუბელს.
არ არის სიმღერა. უკვე არს ჩავლილი,
და მეც ვუერთდები ცხოვრებით გართულებს,

ჩავივლი ამ ქუჩებს, თითქოს გასართობად,
თან ზეცას ვუყურებ შიშით დაყოლილზე,
ღრუბლებმა იციან ნამში თავსდადგომა,
მრისხანე ცოლივით, – სხვასთან დაწოლილზე,

მზიანმა ამინდმა გამათბო, დავდივარ,
აღარც სახლში მისვლა არ მინდა რატომღაც,
აღარც მკითხულობენ საეჭვოდ სახლიდან,
არ მჯერა, ვალებიც თავისით გასწორდა.

ამ მზიან ამინდში ხალისით დავდივარ,
ქუჩაც აღარ არის უკვე ცარიელი,
ფიქრებშიც მომშორდა ღრუბელი თავიდან,
ფეხებზე მკიდია მიქელ-გაბრიელი.

## სექტემბრის ლოდინი

ზაფხული. შუქი მაქვს ჩამქრალი ოთახში,
მწერების ბზუილი, ნერვების თამაში,
სავარძელს ჩამჯდარი, ჩემს მუდმივ პოზაში,
აგვისტოს ვაცილებ, გეგმებით – თაბახში,
წუთები, საათი, დღეები, კვირა და
მოვა სექტემბერი, ფერებით ლამაზი,
კელავაც მოუხდება სიგრილე ნიადაგს,
ეზოს დაგროვდება ფოთლების ნაზავი.
ზაფხული ჩაივლის, ნაილებს სიცხეებს,
მწერებიც დროებით სადღაცას კვდებიან
(მწერები სახლობენ ყინულის ციხეებს
და შემდეგ მომდევნო ზაფხულში ჩნდებიან).
ზაფხული, აგვისტო და ცხელი ოთახი,
გვიანი ღამისგან საჩუქრად ნიავი,
სავარძელს ჩამჯდარი, ჩემს მუდმივ პოზაში,
სექტემბრის ლოდინი, აგვისტოს წრიალი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

დაწყვეტილ დარდებს ათამაშებს ქარი მსუბუქად,
ღრუბელი გავლით თავზე მადგას და მერე მიდის,
ღამეა, სადღაც ჩხუბი მესმის, ხმები ქუჩურად,
მე კი მარტო ვარ, უძილობას არავინ მიშლის.

უკვე მეათე თვითმფრინავი დავთვალე ცაში,
ზმუილით მიჰქრის, ვარსკვლავებში უჩინარდება,
ათასი ფიქრი უმიზეზოდ მეყრება წყალში,
უკავშირდება გამგზავრებას, უპირატესად.

არადა ამ დროს ვმოგზაურობ მე ჩემს ეზოში,
ღრუბელი მიდის, სხვა ღრუბელი მადგება თავზე,
დაწყვეტილ დარდებს მხარში უდგას ქუჩის დებოში,
და მეც არ მძინავს, არ ვეცლები ამ ფიქრებს განზე.

ისევ ისე ვარ, გარკვეული არ მაქვს დარჩენა,
არც წასვლას უჩანს ამ ეზოდან სურვილი დიდი
მხოლოდ ღრუბლებში მიწერია ღამით გაფრენა,
მარტო ვარ, სადღაც დაკარგულა, სიბნელის გიდი,

ისევ ისე ვარ, ვმოგზაურობ ღრუბლებში ღამით,
მარტო ვარ, მხოლოდ ქუჩის ხმები აფრთხობენ ფიქრებს,
ჩემს თავს ვამინებ სიმყარისთვის სახლიდან წასვლით,
სახლიდან წასვლით სულ ახლიდან დარჩენას ვიწყებ.

* * *

ქუჩა. კორპუსი. მერე ისევ დიდი კორპუსი.
ჩრდილი, ის არა, მზისგან როა, ბეტონის ჩრდილი,
ასფალტი, შავი მანქანებით უხვად მორთული,
ადამიანიც, უფრო სწორად, ეს არის ჩრჩილი.
სიცხე. ნაგავი და ბუნკერში სტუმარი მორცხვი.
ხმაური, ლანძღვა და მძღოლების მორიგი დრამა,
საყვირის ხმებით, გინებით და ნახაზი სწორი,
რომელიც თვითონ დახაზეს და უეცრად გაქრა.
მთები, ჩამოთხრით გაყიდული და უცბად რღვევა,
ბუნების წიხლი, ზურგშექცევა, სტიქია დიდი,
ჩრდილების თეატრს უნაყოფო კანონთა მზერა
ვერაფერს აკლებს, ფარდას ისევ დაეტყო სისხლი.
ქუჩაც, კორპუსიც, შემდეგ ისევ დიდი კორპუსიც,
ჩრდილიც კი არა, მზისგან როა, ბეტონის ჩრდილიც,
ასფალტიც, შავი მანქანის ქვეშ ჩუმად მორწყული,
ადამიანთან ერთად გლოვობს და ისიც ტირის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მტრედის ღუღუნი

გუშინ მოაჭრეს სამი ტოტი საფლავთან ურთხმელს.
ჭრილობა ღია, სისხლისფერი, დააჩნდა მერქანს.
ათასი წელი ინახავდა რაღაც ბნელს, უთქმელს,
ახლა მას უნდა, რომ ბავშვების სახელი ერქვას.
ამ სექტემბრიდან სამი კუბო გამოირანდა.
მირაჟი გაქრა. გაკრიალდა მღვრიე და ბუგე.
სამი ბავშვი წევს ბნელ კუბოში. გძინავს მირანდა
მამის სიზმარში. ვერ იღვიძებ. შენს თვალის გუგებს
ძარცვავს სიბნელე, მაინც ხედავ გადახრილ ჯვარცმას.
ღუღუნებს მტრედი, თითქოს ამბობს: მამის მაცნე ვარ.
მიდიხარ გზაზე. ჯერ მძიმეა ნარსულის ფუთა –
ბავშვის პერანგზე დაგავიწყდა ლილის დამცნევა.
გახსოვს, დაისში რომ უთხარი შენს სულთამხუთავს
ანგელოზს სიტყვა, წარმავლობას რომ გამოსტაცე,
ჩურჩულებ სიტყვებს, საუბარში რომ გაიწაფოს
ბავშვი, ვარდების და ჩიტების თანამოდასე.
შეხედავ სოფელს, აღმართიანს და გულციცაბოს.
შემოდგომა კი ფერად-ფერადს მოაფენს გოგრებს.
ასე მგონია, მოხვალ ღმერთო, შეარყევ დუმილს.
თვალებს აგვიხელ სინათლეში, ამ ბავშვებს მოკრებ
და შენი ბაგე ისევ იტყვის: „ტალითა კუმი".

## კაცის სიკვდილი

დაგიდგა ჟამი პერანგების სისხლში გავლების –
გესმის კივილი მკვდარი დედის და ელმავლების.
დაგიტანს დიდი რცხილის ჩრდილი, დიდი მაგიდა,
ბურუსი ბედის, ბავშვის ღიმი ჭრელ ჰამაკიდან,
ბრმის დიდი ცრემლი, ღვინის მზისფრად აკიანთება,
ორი გოგონა – შენი ცრემლი და ქრიზანთემა,
სახლთან ლელვის ხე ქვესკნელიდან ამოწეული,
ღვინით ავსილი შენი ჭიქა, შენი სხეული...
ლაქავენ კუბოს, გაპრიალდა ხე დაკორძილი,
გაცმევენ პერანგს, მაღალ სურზე არის ქორწილი.

## ქარი

გარეთ ახლა სხვა მტრედების ღუღუნია,
გარეთ ახლა ქარი გრძელ თმებს გაიშლის,
ხის ტოტები ქარებს გადაუღუნია,
ცას ეტყობა მოლოდინი ქარიშხლის.
ბნელ სიზმარში გაიელვებს გულთან დანა,
ვიღაც დაისს კვლავ მიადებს საფეთქელს.
არ სრულდება უკუნეთის სულთათანა:
ნეტავ იყვნენ, ვინც სიკვდილი გაბედეს.

## ხის სიკვდილი

კედარს მოაბეს დიდი საბელი.
მოჭრეს. დადუმდა ჩიტთა კაპელა.
ხე იწვა მკვდარი, როგორც აბელი,
თავს ადგა კაცი, ვინც გადაბელა.
დადუმდა შაშვი, დუმდა კოდალა,
მიწა ვერ იგრძნეს ფესვქვეშ კედრებმა.
ჩამოაქციეს ჩიტთა გოდოლი,
წყალს გაატანეს ბავშვის ვედრება.

## სიახლოვე

ვარ მოციმციმე ცრემლი ღამეში,
როცა მომიხმობს უფლის შენობა,
დიდი ცრემლების სიკამკამეში
გულს მაწევს ვარდის გაუშლელობა.
მსურდა დათრობა და გაბრუშება,
მსურდა, წყვდიადის გზები მეთელა,
დედა ამაოდ მეგუნგრუშება,
ბავშვი ვარ დიდი და გულფეთელა...
როცა წყნარდება ქარის სისინი,
ღმერთი მეფუტკრე სულ ახლოშია;
ანგელოზებად ჩანან ისინი,
ტოტიდან ტოტზე დახტის შოშია.
შემოვა ჩემში ჭრიჭინობელის
უცხო დუმილის ყრუ ხმაურობა
და ახლო არის დაუჭკნობელი
ვარდების მხარის უცნაურობა.

ელგუჯა მარღია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# რობაიები მეფეს!

...რომ მეფე ვარ და მგოსანი და სიმღერით ვკვდები
ამონარიდი გალაკტიონის ლექსიდან „მთაწმინდის მთვარე“

*წარმოდგენილი ციკლი გალაკტიონის სხვადასხვა პერიოდის*
*ცალკეული ჩანაწერების მიხედვით შეიქმნა;*
*ეს არის რობაის ფორმით პოეტის სულიერი პორტრეტის*
*დახატვის მოკრძალებული მცდელობა...*

1.
დედაო ღვთისავ!.. გევედრები, წმიდა ღვთისმშობელს,
ვდგავარ მლოცველი და სანთლები ცრემლებს იშრობენ...
ისევ მაწვალებს თვითმკვლელობის ფიქრი მტანჯველი, –
მე რომ მეგონა, სამუდამოდ ჩამოვიშორე...

2.
განა დიადი პოეტები ცოტა შობილა,
ვინც ტანჯვა-ჯვარცმით საუკუნო შუქი მოფინა
ღირსებასა და სიამაყეს?.. ვინაც სიკვდილი, –
დამცირება და დამონებას რომ ამჯობინა...

3.
ამ ქვეყანაზე შემიყვარა, რადგან არავინ,
მიუსაფარმა მარტოობის დავდგი კარავი...
ახლა არყოფნა იქნებოდა ჩემთვის წყალობა, –
მომწყინდა ყოფა – უსახური და შემზარავი...

4.
პური – მეპურე და ენატრება მეტივეს – ტივი,
და ჩემი ქნარიც მწუხარებით მოთქვამს და ტირის...
ნუთუ ეს არის საქართველო?! – დაკარგულს ვდარდობ, –
მაინც აქამდე არ დაშლილა იმედის ტინი...

5.
ვადევნებ თვალყურს, ჩემ გარშემო, ვინც მრავლად არის,
და მეც მზვერავენ, გზა საით მაქვს, ან კიდევ ქარი
სად გადამისვრის... სად შევაღებ დაგმანულ კარებს, –
თუ ჩამირაზეს, გასასვლელიც ღია მაქვს კარი...

6.
არ შემრჩა ძალა, უსინდისო მტრები ავლაგმო,
ჩასაფრებული მითვალთვალებ მიწყივ თარნაკო...
მსურს, მივახალო პირში – წყნარად, გაიძვერებო, –
არ გაქვთ უფლება, რომ ხმამაღლა მელაპარაკოთ!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

7.
დაეკარგე მამა, დედის სითბო, ფშანის ციმციმი,
რიონის პირას მორბენალი ბიჭი, კეიციეით...
ყველაზე მეტად მენატრება ჩემი ბავშეური, –
და სამუდამოდ დაკარგული, ლაღი სიცილი...

8.
მე მაძლიერებს აღმაფრენა, ცნობისწადილი,
ჩემი საუზმე ლექსებია, ვახშამ-სადილიც...
ჩავრაზე კარი და ლოგინზე ვწევარ გულაღმა, –
შიმშილს გაუძლო, გაცილებით არის ადვილი...

9.
მავანი განგებ წყალს იგუბებს პირში... მანამდეც
ვერ შეიმჩნიეს სიბნელეში, ცას რომ ვანათებ...
ნეტავ ვიცოდე, ამ სიბრმავის რაა მიზეზი, –
ან რამე ხერხი – გულწრფელად რომ ალაპარაკდნენ...

10.
ეს გულგრილობა მტანჯველი და გასაოცარი,
დამყვება ყველგან უსასტიკეს, უნდო დროსავით...
გასაოცარი არის მართლაც და საკვირველი, –
შურსა და მტრობას გადაეურჩი, მეფე-მგოსანი...

11.
ბობოქრობს ცეცხლი ჭეშმარიტი შემოქმედების,
და მეც მივკაფავ ეკლიან გზას, მსგავსად დენდების...
არა, არ ვიცი, რას მიპირებს ეს ბრბო ბოროტი, –
თუმცა ცოცხალი უმწეობას არ დავნებდები...

12.
ნუთუ არაფერს გეუბნებათ ჩემი სახელი,
ერთი პიასტრიც აღარა მაქვს, არც ფეხსაცმელი...
უკანასკნელიც კი გავყიდე ერთხელ შარვალი, –
ვერ შევეგუე საკუთარ თავს – ჯიბეგაფხეკილს...

13.
ოცნებებშიც რომ გადავლახო ცხრა მთა და ცხრა ზღვა,
ვიცი, ვერასდროს ავცილდები იმ მიჯნა-საზღვარს,
სადაც ჩიტივით მომწყვდეულა კაცობრიობა, –
ცოდვებისაგან რომ ვერ განბანს მირონის თავსხმაც...

14.
რასაც უფალი ჩამჩურჩულებს, მეც სისხლით ვიწერ,
ო, როგორ მინდა იმ შორეულ ღრუბლებზე ვიწვე...
რადგან სიკვდილის წყურვილი მკლავს, ვამბობ ხმამაღლა:
მთელ დედამიწას დაუნდობელ დუელში ვიწვევ!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

15.
ვდგავარ ძლიერი, რომ ეგონათ გადამიარეს,
დრო ვერ მიშუშებს გაუტეხელ სულის იარებს...
მარტოობაში საბოლოოდ ვპოვე სიმშვიდე, –
და ამიტომაც გავურბივარ ადამიანებს...

16.
ვარ იმ ორდენის კავალერი... (ბრბოს გავერიდე)
მარტოობამ რომ მომანიჭა... რადგან ვერ ვითმენ,
ეს სამიკიტნო ხომ საწყლების აფთიაქია? –
მეც საწყალი ვარ, წამლისათვის უნდა შევიდე...

17.
ბევრს უნდა ჩემი დავიწყება და შეჩერება,
შემომწოლია მწუხარება გულს გლეტჩერებად...
ველარ ვისწავლე მტერ-მოყვარის რადგან გარჩევა, –
მტერი – მოყვარედ, ხან მოყვარე – მტრად მეჩვენება...

18.
მეფობს სიბნელე-უმეცრება, ვეძებ სინათლეს,
ჩემი სამშობლოს გაბრწყინება ბევრჯერ ვინატრე...
ფხიზლობს გადიად მოვლენილი გადამთიელი, –
და არც ადარდებს, შეჩვენებულს, შენი სიმართლე...

19.
ბევრჯერ მომწყურდა მშობლიური, ტკბილი ჰანგები,
მსურს, გავიგონო სიმართლის ხმა გაათმაგებით...
უსამართლობას ვერასოდეს შევეგუები, –
ნუთუ ეს არის საქართველო? – ჩემგან ნაქები...

20.
ჩემი დემონის ცეცხლიანი თვალების გარდა,
ვერაფერს ვხედავ... ბინდისფერი ეშვება ფარდა...
უკვე სხეულიც დამელალა ტანჯვით, სიცოცხლით, –
საკუთარ ნებით ვდგავარ ახლა სამარის კართან...

21.
მდუღარე ტვინიც დაილალა გამოცანებით,
ვერ ვთოკავ ნერვებს... სხეულს მიწვავს სისხლის ალები...
და მიხარია, შევაჩერო მოუსვენარი
ეს გულის ცემა... ბნელმა შთანთქას ჩემი თვალები...

22.
ნდობით მიცქერის, უმთავრესი ჩემთვის რაც არი,
ნრფელი თაობა... თუმც აწმყოსი მახრჩობს ბაწარი...
მჯერა, შეძლებენ მომავალში ახალგაზრდები, –
რის გაკეთებაც მინდოდა და ვერ მოვასწარი...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

23.
დიდი ხანია სიკვდილს ვეძებ და გახელებით,
გზადაკარგული ღევნილივით დავეხეტები...
რადგან ვერავის მოვანონე ქვეყანად სიმართლე, –
შეკაზმული მყავს ბობოქარი, „ლურჯა ცხენები“...

24.
ბედკრულ ცხოვრებას ვეუბნები, რას მემართლები,
ვდგავარ ხატებთან ნამთვრალევი, ღამენათევი...
დღეს ჩაიარა ჩინებულად: ჩემი მეორე, –
შინაგანი „მე“ იყო მშვიდი, იყო ნათელი...

25.
რიგზეა თითქოს ყველაფერი... დარდი მატულობს,
ხედავ თვალნათლივ უტიფარი, რასაც კადრულობს...
ფრთხილად იყავი, გატუნია, აღარ მოტყუვდე, –
ცას გაუმხილე, ჩუმი ნატვრით, რასაც ნატრულობ...

26.
არ მრჩება ძირი, აღარც შვილი და აღარც ცოლი,
გარშემო ვრცელი უდაბნოა, გიხსენებ თრთოლვით...
ეწადათ ჩემი სამუდამოდ დასამარება, –
მაგრამ შენ მყავდი საიმედოდ, ძვირფასო ოლი!..

27.
არ ვარ ბუნებით შურიანი და არც ბოროტი,
ოლოლ, ყველაფერს გავუძლებდი, გვერდით მყოლოდი...
ვებრძვი ცხოვრებას, რომ არ გავხდე გულღვარძლიანი, –
თუმცა სამყარო დამთრგუნველი, მანგრევს ბოლომდის...

28.
ირგვლივ წყვდიადი ისადგურებს და გზაც არა ჩანს,
თავსაც ვიმხნევებ, რადგან ჩემში რწმენა გადარჩა:
ყოჩაღი ბიჭი გამოდექი შენ, გალაკტიონ! –
დონ კიხოტი ხარ და თბილისი – შენი ლამანჩა...

29.
უნდა ვერიდო ღვინოს, მინდა ვიყო ფხიზელი,
თუმცა არ მყოფნის სითამამე, მტანჯავს სიზმრები...
ფხიზელი ვტოვებ მე დიდებულ შთაბეჭდილებას, –
სიმთვრალე ბევრი სისულელის არის მიზეზი...

30.
ხომ მაქვს უფლებაც, რომ ხანდახან ღვინო დავლიო,
აქ დასაძრახი რაღა არის ან სახვალიო?..
არ მტოვებს მხოლოდ საკუთარი თავის იმედი, –
ნაბახუსევზე გავუღიმებ მზეს და ალიონს...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

31.
გერქვას მწერალი, ჩვენში ნიშნავს თავის განირვას,
გრძნობდე ეპოქის მაჯისცემას, იქცე არნივად...
სალამი, ჩემო მომავალო, გაბრწყინებულო, –
უკეთურებამ ველარ შესძლო ჩემი ჩაძირვა...

32.
მოვა დიდება, რაშიც ეჭვი არ მეპარება,
მგოსნის გვირგვინი მომანიჭა ტანჯვა-ნამებამ...
ლიტერატურას ამშვენებდა უწინ სინდისი, –
მისი გაქრობა-დავიწყება დამენანება...

33.
ისეთი დროა, არვის ახსოვს მგონი ბავშვობაც,
რასაც სჯობს გულის გაჩერება, სისხლის გაშრობა...
რაღაც იმსხვრევა დაუნდობლად, მართლაც სასტიკად, –
ვაი, ვირებმა მოინდომონ ლამის რაშობა...

34.
ეს სულიერი კატასტროფა გვიტევს, მგონია,
რა არის მასთან მარტოობა, მელანქოლია...
დაემსგავსება ყველაფერი პირქუშ უდაბნოს, –
აპოკალიფსის მხედრებს ვხედავ, ჩემო ოლია!...

35.
თავისუფალი უნდა იყო, მართლაც ქარივით,
გულმტკიცე, როგორც უძველესი ხმალი ხალიბის...
თავს ნუ იტყუებ! მთავარია თავისუფლება, –
თუნდაც იყავი უცნობი და სულით ყარიბი...

36.
სამარადისო, საოცარი, უზარმაზარი,
ტანჯვა-წამების ხელთუქმნელი დავდგი ტაძარი...
ჩემ გარდა შესვლა, იქ არავის არ შეუძლია, –
ის არის ჩემი სულიერი განძის საცავი...

37.
ფრთებს გავშლი მშვიდად, თუმც ვერასდროს ვიქნები მშვიდი,
„რა უნდა ვუთხრა პოეტების დაკარგულ სინდისს:
ყურს არვინ უგდებს, ვის სცალია, რა დროს ჩანგია“, –
ძაღლი ყეფს, ვხედავ, ქარავანი თავის გზით მიდის...

ეროვნული ბიბლიოთეკა



# რეისი-LH0042

*ირაკლი მაჩიტაძე*

„ბოინგი 777" მიუნხენის აეროპორტში საღამოს 5-ზე დაეშვა. თითქმის რვასაათიანი ფრენის განმავლობაში, უკანასკნელი, მინიმუმ, ორი საათი მხოლოდ სიგარეტზე ვფიქრობდი. ისეთი მწეველისათვის, როგორიც მე ვარ, ტრანსკონტინენტური ფრენები ნამდვილი ტანჯვაა. მიუხედავად იმისა, რომ ამ აეროპორტს ხუთი თითივით ვიცნობ, მაინც კარგა ხანს ვიბორიალე, სანამ დერეფანში Camel-ის ლოგოთი დამშვენებულ ოთახს დავინახავდი. სკამზე ჩამოვჯექი, ჩემი კენტი ამოვიღე და უდიდესი სიამოვნებით გავაბოლე. ოთახს დანარჩენი სივრციდან მხოლოდ მინები ჰყოფს და შესაბამისად, ჩემი დისლოკაციის ადგილიდან კარგად მოჩანს, როგორ მოძრაობს მგზავრების ნაკადი. არ ვიცი, ამას სპეციალურად აკეთებენ თუ არა, მაგრამ აეროპორტების მოსაწევი ოთახები სწორედ ის ადგილებია, სადაც ყველაზე ნათლად, თითქმის მატერიალურად შეიგრძნობ, როგორი საშინელი ჩვევის მსხვერპლი ხარ. ირგვლივ ყველაფერი თამბაქოს მძიმე სუნითაა გაჟღენთილი. მინებით გარშემორტყმულ, განათებულ გალიაში ზიხარ და იმაზე ფიქრობ, როგორ საცოდავად გამოიყურები იმ მგზავრების თვალში, რომლებიც არ ეწევიან და ამაყად უქცევენ გვერდს ამ საქათმეს. მოსაწევი ოთახის ვიზიტორებიც კი ერთმანეთს თვალს არიდებენ და ცდილობენ სწრაფად გავიდნენ. ჩემში ასეთ დროს პროტესტის გრძნობა ილვიძებს და მიუხედავად საშინელი სუნის და დამამცირებელი მდგომარეობისა, ხაზგასმულად ფლეგმატურად ვმოქმედებ.

ახლაც, ნება-ნება ვაბოლებ, ფერფლს მაგიდაზე დამონტაჟებულ ლითონის საფერფლეში. ვყრი და მინის მიღმა სამყაროს ვათვალიერებ. ნებისმიერი საერთაშორისო აეროპორტი ჩემში ბაბილონის გოდოლის ასოციაციას იწვევს. სხვადასხვა ეროვნების, რასის და ტემპერამენტის ადამიანები ცალ-ცალკე, ან ჯგუფურად დადიან, ლითონის სკამებზე სხედან, ზოგი – ყველაზე მოხერხებული, ან ყველაზე გასავათებული წევს კიდეც. მიუხედავად ამისა, ერთი, გამაერთიანებელი მარკერი გააჩნიათ, რომელიც მოცემულ შემთხვევაში ყველაფერს გადასწონის – ისინი მგზავრები არიან. ეს მოცემულობა ფარავს ყველანაირ განსხვავებას და ერთ, ჰომოგენურ მასად აქცევს მათ, რითაც საპიენსის მეორე ქვესახეობას – აეროპორტის პერსონალს უპირისპირდებიან.

გამჟღიმა, მიუხედავად დაღლილობისა, ჩემს ტვინს შემორჩენოდა მგავს სისულელეებზე ფიქრის რესურსი. ნიუ-იორკში ასტროფიზიკოსების კონფერენციას დავესწარი. სამი დღის განმავლობაში ვუსმენდი ჩემი კოლეგების მოხსენებებს. უამრავი ახალი ინფორმაცია, თამამი თუ კონსერვატიული ხედვების, გონებამახვილური მიგნებების, თუ ათასჯერ გადაღეჭილი თეორიების ფოიერვერკი, მოკლე კოფე-ბრეიკები, რომლებზედაც ადამიანები ზრდილობიანად, თუმცა ცხარედ კამათობდნენ. ახლა სახლში ვბრუნდებოდი და მიუნხენ-თბილისის რეისამდე 3 საათი მქონდა.

ისევ მგზავრების თვალიერებამ გამიტაცა. ზედ „ჩემს" მინასთან ბედნიერმა ოჯახმა ჩაიარა. ახალგაზრდა ცოლ-ქმარი, ერთი ფერის და ფირმის მოზრდილი ზურგჩანთებით და 10-12 წლის ბავშვები, ქერა, ცისფერთვალება და-ძმა, რომლებიც მშობლების უკან მიჩანჩალებდნენ, ზურგზე კი იგივე ფერის, ოღონდ გაცილებით მომცრო ზურგჩანთები ეკიდათ. ჩაიარა ძალიან მსუქანმა, შუახნის მამაკაცმა, რომელიც ხვნეშოდა და ცხვირსახოცით ოფლიან შუბლს იწმენდდა. მოხდენილმა გოგონამ, წადისაღმძვრელ გავაზე შემოტმასნილი კაბით და კაშკაშა წითელი, გორგოლაჭებიანი ჩემოდნით.

ის იყო მეორე სიგარეტს მოვუკიდე, რომ ჩემი ყურადღება ერთმა მომცრო ტანის, დაახლოებით 60 წლის მამაკაცმა მიიქცია. შავი, ელეგანტური კოსტუმი ეცვა, თუმცა მის სილუეტს საერთოდ არ უხდებოდა. მოკლე ხელები ჰქონდა და კოტიტა თითები. მოდიოდა ნელა, არხეინი ნაბიჯით, ბარგის გარეშე. ევროპელის ნაკვთები ჰქონდა და ჭკვიანი, თაფლისფერი თვალები. ვერაფრით მიხვდებოდით, რა ეროვნების იყო. ასეთი ტიპაჟი შეიძლება ნები-

სმიერ ქვეყანაში შეგხვდეთ. არ მახსოვს, რით მიიქცია ჩემი ყურადღება. ალბათ სიარულის მანერით, რომელიც აეროპორტის ჩვეული რიტმიდან აშკარად ამოვარდნილად მომეჩვენა. მამაკაცი იმ მინას გაუსწორდა, რომლის უკანაც ვიჯექი, მოულოდნელად გაჩერდა და ჩემკენ შემობრუნდა. ალბათ ისეთი გამომეტყველება მქონდა, პატარა ბავშვს რომ ცელქობაზე წაასწრებენ. უხერხულობა ვიგრძენი. ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდა და უცნობმა თავაზიანად გამიღიმა, მგონი თავიც დამიკრა მოსალმების ნიშნად, მერე მიბრუნდა და ისევ ისეთი, არხეინი ნაბიჯით გააგრძელა სვლა.

სიგარეტი ჩავაქრე და გარეთ გამოვედი. კარგა ხანს უაზროდ ვიბორიალე, Duty Free-ის დახლები ვათვალიერე, პატარა კაფეში ყავა დავლიე და ჩემი გეითისკენ გავემართე. საპასპორტო კონტროლის გასასვლელი დაკეტილი დამხვდა, თუმცა რამდენიმე მგზავრი უკვე მოსულიყო და ელოდნენ. ძირითადად ქართველები. ვიღაც ორმოციოდე წლის, ძალიან გამხდარი, უზომოდ გარუჯული და მოდურად ჩაცმული ქალბატონი ტელეფონზე საუბრობდა და ხაზგასმულად ხმამაღლა ჰყვებოდა, თუ რა კარგია პარიზი. როგორც ჩანს, დაქალს კლავდა შურით. ტანმაღალი, სპორტული გარეგნობის, თუმცა უკვე სიმაუქნეშეპარული, შავგვრემანი მამაკაცი კი ბოლთას სცემდა, დროდადრო შუბლზე აწეულ მზის სათვალეს ისწორებდა და გარემოს მტრულად ათვალიერებდა. მგონი იმ გამხდარი ქალბატონის ქმარი იყო.

– მე თქვენ გიცნობთ – მომესმა სასიამოვნო, ოდნავ ხრინწიანი ხმა. მოულოდნელობისგან შევკრთი. ის კოსტუმიანი მამაკაცი იყო, სიგარეტის მოწევისას რომ მომესალმა. ჩემ გვერდით იჯდა. აზრზე არ ვიყავი, როგორ და როდის მოვიდა. იმასაც ვერ წარმოვიდგენდი, ქართველი თუ იყო.

– ბატონო? – დაბნეულად ვუპასუხე.

– მე თქვენ გიცნობთ. არა, უფრო სწორად, ვიცი თქვენ შესახებ. ბატონი დავითი, არა? ცნობილი ფიზიკოსი. – თავაზიანად მომმართა მამაკაცმა.

ჰმ, არცთუ ისე ცნობილი, ყოველ შემთხვევაში იმდენად არა, რომ შემთხვევითი ადამიანები მცნობდნენ – გავიფიქრე და რატომღაც ცუდ ხასიათზე დავდექი.

– მაპატიეთ – შეწუხდა უცნობი, თითქოს ჩემი ხასიათის ცვლილება გამოიცნო – ნება მომეცით, გაგეცნოთ, ზურაბი – წარმოთქვა რაღაცნაირად პომპეზურად და ხელი გამომიწოდა. ხელი ჩამოვართვი და ძალიან სასიამოვნო-მეთქი ჩავიბურტყუნე.

ბატონი ზურაბი თავისუფლად, უაქცენტო ქართულით საუბრობდა, თუმცა მისი საუბრის მანერაში მაინც იყო რაღაც უცნაური. არანაირი კილო არ ჰქონდა. ვერ მივხვდებოდი, საქართველოს რომელი რეგიონიდან იყო წარმოშობით. ლიტერატურული ენით და პროფესიონალურად დაყენებული ხმით მეტყველებდა, ამავე დროს რაღაც უსიცოცხლოდ გამოთქვამდა სიტყვებს. ემიგრანტი იქნება – გავიფიქრე, შეიძლება მეორე, ან სულაც მესამე თაობის, თუმცა ენას სრულყოფილად ფლობს. ყურადღება მივაქციე, რომ გაცნობისას გვარი არ უთქვამს, მარტო სახელი. მეც სახელით მომმართა, თუმცა, ალბათ იცის ჩემი გვარიც. მინდოდა მეკითხა, რა გვარის ბრძანდებით-მეთქი, მაგრამ უტაქტობად მომეჩვენა, ან რა მნიშვნელობა ჰქონდა. შემეძლო დამეფიცა, რომ ეს კაცი ადრე არასდროს მენახა.

– შტატებიდან მოფრინავთ, არა? ყური მოვკარი, ნიუ-იორკში რაღაც სამეცნიერო კონფერენცია ტარდებოდა, ალბათ მას ესწრებოდით.

თავს დავდებდი, რომ ნიუ-იორკში „რაღაც“ სამეცნიერო კონფერენცია ლამის ყოველ კვირაშია. ჩემი თანამოსაუბრე აშკარად იმაზე გაცილებით ინფორმირებული ჩანდა, ვიდრე უნდოდა თავი მოეჩვენებინა. იქნებ ჟურნალისტია? – გამიელვა თავში. აშკარად არ გამოიყურებოდა, როგორც ჟურნალისტი. გარდა ამისა, ამ შემთხვევაში სრულიად გაუგებარი იყო, რატომ უნდა დაემალა. ჟურნალისტებისთვის ინტერვიუზე უარი არასდროს მითქვამს, შესაბამისად არც კონსპირაციის აუცილებლობა არსებობდა და ისედაც, უნდა ვაღიარო, რომ არც ჟურნალისტებს მოუკლავთ თავი ჩემგან ინტერვიუს აღებით. მთელი კარიერის განმავლობაში თითზე ჩამოსათვლელ შემთხვევებს თუ გავიხსენებდი, როდესაც მოკლე კომენტარი მთხოვეს.

– თქვენ საიდან? – ვკითხე უფრო თავაზიანობის გამო.

– ოოჰ, ეს ცოტა რთული ამბავია – გაიღიმა ბატონმა ზურაბმა. – მე ბევრს ვმოგზაურობ, ფაქტიურად სულ გზაში ვარ. ხანდახან მავიწყდება კიდეც, საიდან სად მივფრინავ და რატომ – ისევ გაიცინა, ამჯერად უფრო მხიარულად.

– რას საქმიანობთ? – ვკითხე მეტი ინტერესით.

– დიახ, დიახ – ცოტა დაბნეულად ჩაიბუტბუტა, შემდეგ ისევ თავაზიანად გაიღიმა. – თქვენ წარმოიდგინეთ, ბატონო ჩემო და ზუსტად არც კი ვიცი, რა გიპასუხოთ. უფრო სწორად, არ ვიცი, რა დავარქვა ჩემს საქმიანობას. ყველაზე ადეკვატური ალბათ სიტყვა „კომუნიკატორი“ იქნება. სხვადასხვა დავალებებს ვასრულებ, ძირითადად უცნობ ადამიანებს ვხვდები და მათ ჩემი დამკვეთის შეტყობინებებს, სურვილებს ან სხვადასხვა ღონისძიებებზე დასწრების მოწვევებს გადავცემ ხოლმე.

– ალბათ საინტერესო საქმიანობაა – ვუპასუხე.

– მართალს ბრძანებთ – გახალისდა ბატონი ზურაბი. – უამრავ საინტერესო ინდივიდს გადავეყრები ხოლმე. ამაში მართლაც რომ გამიმართლა.

თავს დაბნეულად, სრულიად დეზორიენტირებულად ვგრძნობდი. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი თანამოსაუბრე ძალდაუტანებლად და თავაზიანად ლაქლაქებდა, ძალიან დავითრგუნე და ხასიათი კიდევ უფრო გამიფუჭდა. რაღაც იყო ამ შეხვედრასა და ურთიერთობაში ყალბი. თავს ვიმშვიდებდი, მეჩვენება-მეთქი. ზოგადად, სრულიად უცნობ ადამიანებთან კონტაქტი არ მიყვარს, შესაბამისად, ჩვევაც არ მაქვს და არ

ვიცი, ასეთ დროს როგორ უნდა მოვიქცე. რამდენიმე ფრაზის გაცვლა-გამოცვლა, რასაკვირველია, ნებისმიერთან შეიძლება, მაგრამ რაზე უნდა ელაპარაკო ადამიანს, რომელთანაც მხოლოდ ის გაკავშირებს, რომ ერთ რეისზე მოხვდით? ახლაც, ზუსტად ვიცოდი, როგორ გაგრძელდებოდა ჩვენი ურთიერთობა. უცნობი თანამგზავრის შემოთავაზებულ თემებზე მხოლოდ შორისდებულებით შემოვიფარგლებოდი, ვერაფრით მოვძებნიდი საპასუხო სიტყვებს. ბოლოს კი ყველაფერი იმით დამთავრდებოდა, რომ ბატონი ზურაბი უზრდელ, ან ცოტა ჭკუასუსტ ინდივიდად ჩამთვლიდა.

— აი, ჩასხდომაც იწყება — მხიარულად შესძახა ზურაბმა. — დაგტოვებთ, ბატონო დავით. სასიამოვნო იყო თქვენთან საუბარი, კეთილი მგზავრობა. — სწრაფად, მისი ასაკისთვის შეუფერებელი სიმსუბუქით წამოხტა და საპასპორტო კონტროლისკენ გაემართა.

არსად მეჩქარებოდა, დაველოდე, სანამ კონტროლის გასასვლელთან შექუჩებული მგზავრები შეცოტავდნენ და მხოლოდ ამის შემდეგ დავიძარი.

ბორტზე ავედი. ხელბარგი არ მქონდა, მარტო ლეპტოპი. ბილეთს დავხედე — ნ-ა. ილუმინატორთან — გავიფიქრე და ჩემი ადგილისკენ გავემართე. მგზავრების უმეტესობა ჯერ კიდევ ფეხზე იდგა, სავარძლების ზემოთა კარადებში ხელბარგს ალაგებდნენ, ან უბრალოდ იდგნენ, კაცმა არ იცის რატომ. ასე გაჭირვებით, მორიგე ღიმილით მივიკვლევდი გზას ჩემი სავარძლისკენ. ამ ტიპის აერობუსებში კიდეებზე მხოლოდ ორი რიგია ხოლმე. „ა" და „ბ". იქნებ გამმართლებოდა და გვერდითა ადგილი თავისუფალი დარჩენილიყო. ცოტა ხანში ჩემი სავარძლის საზურგესაც მოვკარი თვალი. ნ-ბ სამწუხაროდ დაკავებული აღმოჩნდა. ვიღაც უკვე იჯდა.

როგორც იქნა მივაღწიე და მეზობელ სავარძელს დავხედე. იქ ბატონი ზურაბი იჯდა და თვითმფრინავის სარეკლამო ბროშურას ათვალიერებდა. მისი დანახვა რატომღაც არც კი გამკვირვებია.

— აი, მეზობლები აღმოვჩნდით — შემომცინა და მაშინვე წამოდგა, თავაზიანად გამატარა და მყისვე საწყისი მდგომარეობა დაიბრუნა. ფრენის დროს დაძინებას ვაპირებდი, მაგრამ იმ წამსვე მივხვდი — ჩემს ჩანაფიქრს განხორციელება არ ეწერა.

მოვკალათდი, ლეპტოპის ჩანთა სავარძლის ქვემოთ შევაცურე და ხანგრძლივი მგზავრობისთვის ფსიქოლოგიურად განვეწყვე. როგორც იქნა, დანარჩენი მგზავრებიც მოეწყვნენ. ბორტგამცილებლებმა კარები დახურეს, უსაფრთხოების სავალდებულო ინსტრუქტაჟი ჩაატარეს და თვითმფრინავიც დაიძრა. საფრენ ბილიკზე რომ გავიდა, ჯერ დაამუხრუჭა, ძრავებმა ხმას მოუმატეს, შემდეგ პილოტმა მუხრუჭები აუშვა, თვითმფრინავი გაექანა და ცოტა ხანში ვიგრძენი, როგორ მოვწყდით მიწას.

გადატვირთვის მიუხედავად წამოვიწიე და ილუმინატორში გავიხედე, კარგა ხანს ვუყურებდი, როგორ ეცილდებოდით მიუნხენს. უკვე ბინდდებოდა. თვითმფრინავმა ჯერ რამდენიმე, ჟოლოსფერი ღრუბლის ნაგლეჯი გაკვეთა, შემდეგ მთლიანად ჩაიმალა და აი, უკვე მათ ზემოთ მიფრინავდა. ქალაქი ბინდში ჩაიკარგა, საყურებელიც აღარაფერი იყო.

— თქვენი თეორია ძალიან საინტერესოა, ძალიან — მომესმა ხმა.

— უკაცრავად? — ბატონი ზურაბის არსებობა თითქმის დავიწყებული მქონდა.

— მინდოდა მეთქვა, რომ თქვენი თეორია ძალიან საინტერესოა — თავაზიანად გაიმეორა ჩემმა თანამგზავრმა.

— რომელი თეორია? — შევეკითხე დაბნეულად.

— აი, ის — თითი გაატკაცუნა — მულტი სამყაროების შესახებ.

ორიოდე თვის წინ მართლაც გამოქვეყნდა ჩემი სტატია ერთ-ერთ სამეცნიერო გამოცემაში. ეს იყო ეგრეთ წოდებული M თეორიის ზოგიერთი ასპექტის ჩემეული ხედვა. გამოხმაურებაც საკმაოდ პოზიტიური იყო. რეცენზენტებმა შეაქეს ჩემი თამამი და ორიგინალური იდეები, თუმცა არაფერი განსაკუთრებული. ვისურვებდი, უფრო ფართო განხილვის საგანი გამხდარიყო.

— ეს თეორიაც არაა, ჯერ მხოლოდ ჰიპოთეზებია, ემპირიულ დასკვნებზე დაყრდნობილი, მათემატიკური დასაბუთება არც დამიმთავრებია.

უცებ ვიგრძენი, რომ იმაზე უფრო ენერგიულად ვუპასუხე, ვიდრე მინდოდა. მესიამოვნა და დაახლოებით ისეთი გრძნობა დამეუფლა, მოსნავლეს რომ ექნება მასწავლებლის მხრიდან შექებისას. წამით დამავიწყდა, რომ ჩემ გვერდით ავტორიტეტული პროფესორი კი არა, აეროპორტში შემთხვევით გაცნობილი ვინმე ბატონი ზურაბი იჯდა, რომელსაც ჩემი ჰიპოთეზების შესახებ საერთოდ არაფერი უნდა სცოდნოდა.

— კი, მაგრამ თქვენ...

— არ გაგიკვირდეთ, ბატონო დავით, მე, ასე ვთქვათ, მოყვარული ფიზიკოსი გახლავართ. რასაკვირველია, ამ საქმეში ბევრი არაფერი გამეგება, თუმცა საინტერესო, ახალი იდეების შესახებ მუდმივად ვკითხულობ ხოლმე.

ეიფორიამ წამში გამიარა. ისევ ცუდ ხასიათზე დავდექი. უკვე ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ჩემი თანამგზავრი ნამდვილად არ იყო უბრალო კომუნიკატორი — როგორც საკუთარი თავი წარმომიდგინა. უკვე იმაშიც საფუძვლიანად შემეპარა ეჭვი, რამდენად შემთხვევითი იყო ჩვენი შეხვედრა. ეს კაცი რაღაცას იტყუებოდა და ის ფაქტი, რომ წარმოდგენა არ მქონდა, რაში შეიძლებოდა დაჭირვებოდა ეს კომედია, უფრო მთრგუნავდა.

როგორც ჩანს, ეს სახეზე შემეტყო. ბატონმა ზურაბმა რაღაც დაბნეულად ჩაიბურტყუნა და საუბარი აღარ გაუგრძელებია. რამდენიმე წუთს ჩუმად ვისხედით, სავარძლების ზემოთ დამონტაჟებულ ტაბლოებზე ღვედის შეკვრის

მანიშნებლები ჩაქრა, შესაბამისად, ღვედი შევიხსენი და შევეცადე უფრო მოხერხებული პოზა მიმეღო. შარვლის ჯიბეში რაღაც საგანი ვიგრძენი. სიგარეტი – გამიელვა თავში და უეცრად მივხვდი, რომ საოცრად მინდოდა მოწევა. ჩემი „კენტის" კოლოფი შარვლის ჯიბიდან ამოვიღე, ერთხანს ვათვალიერე და პიჯაკის ჯიბეში ჩავიდე.

– ალბათ ძალიან რთულია, არა? – მომესმა ბატონი ზურაბის თავაზიანი თანაგრძნობით განმსჭვალული ხმა. – ვგულისხმობ, როდესაც ნიკოტინზე ხართ დამოკიდებული, მოწევას კი ვერ ახერხებთ.

– დიახ – საშინლად მინდა მოწევა, არადა ფრენა ახლა დაიწყო. ვგეგმავდი, სანამ ბორტზე ამოვიდოდით, გავსულიყავი და მომეწია, მაგრამ თქვენმა გაცნობამ და საუბარმა სულ გადამავიწყა.

ჩემი პასუხი რაღაც სულელურ პრეტენზიას ჰგავდა, რასაც ბატონი ზურაბი რასაკვირველია არ იმსახურებდა, მაგრამ წინანდელი გაღიზიანება არ გამნელებოდა.

– უი, მაპატიეთ – მგონი მართლა გულწრფელად შეწუხდა – მე არ ვიცოდი... იცით, თუ ნებას დამრთავთ, მე შემიძლია დაგეხმაროთ...

– როგორ უნდა დამეხმაროთ? – ვკითხე გაოცებულმა.

– შემიძლია, ნამდვილად შემიძლია დაგეხმაროთ. შეიძლება თქვენთვის ცოტა გაურკვევლად ვლაპარაკობ, მაგრამ შევეცდები, ყველაფერი აგიხსნათ.

ჯიბიდან რაღაც პატარა, შავი ფერის მოწყობილობა ამოიღო, წაგრძელებული მართკუთხა ფორმის იყო, სიგრძით 6-7 სანტიმეტრი იქნებოდა, ცალ მხარეს კი რაღაც მუნდშტუკივით ჰქონდა ჩახრახნილი.

– აი, ეს აიღეთ, მუნდშტუკი პირში ჩაიდეთ და რამდენიმე წამით ტუჩები და ენა მიაჭირეთ.

ალბათ ელექტროსიგარეტია – გავიფიქრე – თუმცა ასეთი მოდელი მანამდე არ მინახავს. მოწყობილობა გამოვართვი, იმაზე ბევრად მძიმე აღმოჩნდა ვიდრე გამოიყურებოდა. კორპუსი დავათვალიერე, არანაირი წარწერა, არც მწარმოებელი, არც მოდელი, არაფერი. იმასაც კი ვერ მივხვდი, რა მასალისგან იყო დამზადებული.

– ნუ ღელავთ, მენდეთ, გარწმუნებთ, საშიში არაფერია – შემაგულიანა ზურაბმა.

ნამდვილად ელექტროსიგარეტი იქნება – გავიფიქრე. ელექტროსიგარეტი არასდროს გამომიყენებია, წარმოდგენა არ მქონდა, როგორ უნდა მოვქცეულიყავი. თეორიულად რასაკვირველია ვიცოდი. სპირალი გლიცერინს და ნიკოტინის შემცველ სითხეს აორთქლებს, რომელიც უნდა ჩაისუნთქო. მაგრამ, როგორ უნდა ჩავრთო? ეს რაღაც ძალიან ტექნოლოგიური მოდელი ჩანდა. მუნდშტუკი პირში ჩავიდე, ტუჩები მოვუჭირე და ენაც მივადე. ენაზე მსუბუქი წვა, თუ ჩხვლეტა ვიგრძენი. ორიოდე წამში მოწყობილობამ დაიწრიპინა და სუსტი, ცისფერი შუქით განათდა. როგორც გაირკვა, მისი ცალი ნიბო მთელ სიგრძეზე ეკრანი იყო, რომელზეც ახლა რაღაც, ჩემთვის სრულიად გაუგებარი ნიშნები გამოისახა. პირიდან გამოვიღე და დავხედე, უკვე დარწმუნებული ვიყავი, რომ ელექტროსიგარეტი არ იყო.

– აბა, მომაწოდეთ – მითხრა ზურაბმა და თითქმის უცერემონიოდ გამომართვა. შემდეგ კარგა ხანს ეკრანზე გამოსახულ ნიშნებს ჩაუღრმავდა. ამასობაში მოწყობილობამ კიდევ ერთხელ დაიწრიპინა და ამჯერად მოწითალო შუქით განათდა.

– თქვენი ხელი მომაწოდეთ – ისეთი ტონით მითხრა, რომ წინააღმდეგობის გაწევა არც მიფიქრია – მორჩილად გავუწიე ხელი. მოწყობილობა მაჯაზე დამადო, ოღონდ მუნდშტუკის საპირისპირო მხრიდან. სწორედ მაშინ შევამჩნიე, რომ იმ მხარეს ოდნავ გამობურცული, წრიული ფორმის რაღაც იყო, რომელიც ლითონისფრად ბზინავდა. წვის თუ ჩხვლეტის მსგავსი რაღაც ისევ ვიგრძენი. ამჯერად კიდევ უფრო ძლიერად.

– აი, ასე – მხიარულად ჩაილაპარაკა ბატონმა ზურაბმა. პრინციპში ჯანმრთელი ხართ, თუ არ ჩავთვლით მცირე დეგენერაციულ ცვლილებებს ხერხემალში, მსუბუქ მიოპიას, ოთხიოდე ქრონიკულ დაავადებას და ასაკობრივ ცვლილებებს, როგორიცაა ორგანიზმის იმუნური სისტემის ეფექტურობის დაქვეითება, კანში კოლაგენის შემცირება და სიქაჩლე საწყის სტადიაში. აი ფილტვები კი, რა გითხრათ, თქვენც კარგად მოგეხსენებათ, გაჭვარტლული ბრონქები, გადიდებული ალვეოლები, რომლებიც თითქოს ხმამაღლა ყვირიან – მეტი ჟანგბადი გვინდაო. ჟანგბადის შიმშილი თქვენს შემთხვევაში ნაადრევ ალცჰაიმერს გამოიწვევდა, თუ, რასაკვირველია, მანამდე ფილტვის კიბო არ მოგკლავდათ. კარგი ინფორმაცია კი ისაა, რომ ნანოროზოტები, რომლებიც უკვე თქვენს სისხლში ცირკულირებენ, ყველა ამ პრობლემას მაქსიმუმ რამდენიმე თვეში მოაგვარებენ. თქვენ წარმოიდგინეთ, კოლაგენის დეფიციტსაც ეშველება. რამდენი თვეში 10-15 წლით უფრო ახალგაზრდა გამოჩნდებით. არა მგონია, ამ ფაქტმა ბევრი კითხვა გააჩინოს. მაქსიმუმ თქვენმა მეგობარმა ქალმა იეჭვიანოს, ან ნაცნობ-მეგობრებმა შურით გაიფიქრონ, რომ რაღაც ძალიან ეფექტურ კოსმეტიკურ საშუალებებს მიაგენით.

ერთხანს ვდუმდი, არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი, მერე შევეცადე საკუთარი თავი ხელში ამეყვანა და ხაზგასმულად მშვიდი ტონით დავიწყე:

– ბატონო ზურაბ, არ გეჩვენებათ, რომ ეს უკვე ხუმრობაც აღარაა? არ ვიცი, რას ნიშნავს ეს ყველაფერი, რაიმე ახალი ფორმატის იუმორისტული შოუა თუ უბრალოდ სარეკლამო აგენტი ხართ, რომელიც ამ სასწაულმოქმედი მოწყობილობის გაყიდვას ცდილობს? ნებისმიერ შემთხვევაში დარწმუნებული ვარ, რომ მე არ გამოგადგებით.

ტირადა რომ დავამთავრე, მაშინვე ვიგრძენი, რომელიღაც იაფფასიანი სერიალის გმირივით ვლაპარაკობდი. შემრცხვა, უცებ იმასაც მივხვდი, რომ ჩემი თანამგზავრის საუბრის

არაბუნებრივი, თეატრალური და გულისრევამდე ლიტერატურული ენით მეტყველების მანერა მეც გადმომედო. ამ ფიქრებში იმდენად გავერთე, ყურადღება არ მიმიქცევია, რომ ბატონი ზურაბიც დუმდა. სახეზე შევხედე და აღმოვაჩინე – სრულიად სერიოზულად, შეიძლება ითქვას გულისხმიერად მაკვირდებოდა. დაახლოებით ისე, ფსიქოთერაპევტები რომ უყურებენ პაციენტებს.

– ბატონო დავით, – ნელა, სერიოზული და დამაჯერებელი ტონით დაიწყო. – თქვენ მეცნიერი ბრძანდებით, ფიზიკოსი. თამამი იდეები და ერთი შეხედვით დაუჯერებელი ჰიპოთეზები თქვენი სფეროა და რამდენადაც ვხვდები, ამ სფეროში ძალიან წარმატებულიც ხართ. ამიტომ ერთი ჰიპოთეზა მინდა შემოგთავაზოთ, რომელსაც ნაბიჯ-ნაბიჯ განვიხილავთ. ასე ვთქვათ, მის რეალობას შევაფასებთ. დანარჩენი თქვენზეა დამოკიდებული. შეგიძლიათ სერიოზულად მოეკიდოთ, ან არა და საინტერესო და სახალისო გასართობად ჩათვალოთ, რომელიც მგზავრობის მოსაწყენ საათებს შეავსებს. თანახმა ხართ?

პასუხად მხრები ავიჩეჩე. წამიერი გაბრაზება უკვე გამინელდა და პირიქით, სირცხვილს ვგრძნობდი.

– ძალიან კარგი, – უფრო მხიარულად მიპასუხა და საქმეს შეუდგა.

– მოდით, წარმოვიდგინოთ, რომ ეს მოწყობილობა, რომელიც თავიდან ელექტროსიგარეტად მიიჩნიეთ, სინამდვილეში ძალიან ჭკვიანური სამედიცინო ხელსაწყოა, რომელმაც სულ ახლახან თქვენი სისხლის და ნერწყვის სრული ანალიზი გააკეთა და შედეგად თქვენს ორგანიზმში მიმდინარე პროცესების შესახებ ძალიან დეტალური, ზუსტი ინფორმაცია შეკრიბა. მართალი გითხრათ, ეს როგორ ხდება, ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა მაქვს, მაგრამ ჩვენი ჰიპოთეზისათვის ტექნიკურ დეტალებს სრულიად არა აქ მნიშვნელობა. ამის შემდეგ, აპარატმა გაააქტიურა და ასე ვთქვათ, შესაბამისად დააპროგრამა სპეციალური ნანორობოტები, რომლებიც ასევე ნანო ზომის ნემსების მეშვეობით თქვენს სხეულში შეიჭრნენ და ახლა უჯრედულ დონეზე ისეთი ცვლილებების ინიცირებას ცდილობენ, რომ თქვენივე ორგანიზმის რესურსებით მოხდეს სასიცოცხლო სისტემების მუშაობის გაუმჯობესება.

– საინტერესო ჰიპოთეზაა, თუმცა ძალიან სუსტი – გამეღიმა მე.

– რას გულისხმობთ?

– იმას, რომ მართალია, ბოლო წლებში ნანოტექნოლოგიებზე დიდი ხმაურია ატეხილი და პრესაც ათას სენსაციას წერს ხოლმე, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ მიმართულებით კაცობრიობა პირველ ნაბიჯებს დგამს...

– გასაგებია, – მხიარულად შემაწყვეტინა. – გულისხმობთ, რომ მსგავსი ტექნოლოგიები არ არსებობს. მართალი ბრძანდებით, ჩვენი ცივილიზაციისათვის საკმაოდ ადრეა, ზუსტად არ ვიცი, რამდენი დრო დაგვჭირდება, ორმოცდაათი, ორასი, თუ ორიათასი წელი. მაგრამ, ახლა მივადექით ჩვენი თეორიის ყველაზე საინტერესო და, შეიძლება ითქვას, პიკანტურ ნაწილს.

– გისმენთ...

– საქმე იმაშია, რომ ეს ხელსაწყო სულაც არაა, ხატოვნად რომ ვთქვათ Made in Earth.

– ოპააა! – გავიფიქრე და უფრო მოხერხებულად მოვეწყვე. – ანუ, გულისხმობთ, რომ თქვენ ახლა ჯიბეში გიდევთ აპარატი, რომელიც რომელიღაც უცხოპლანეტური ცივილიზაციის [illegible] ბული და რომლითაც [illegible] ჯანმრთელობის სრული დიაგნოსტიკა მოახდინეთ?

– დიახ, დიახ, სრულიად მართალი ბრძანდებით. თუმცა, მე მთავარი არ მითქვამს. საქმე ისაა, რომ ჩვენი დღევანდელი შეხვედრა სრულიადაც არ ყოფილა შემთხვევითი, – პომპეზურად განაცხადა ბატონმა ზურაბმა. – როგორც უკვე გითხარით, მე კომუნიკატორი გახლავართ. ჩემი დამკვეთის დავალებებს ვასრულებ და ამჯერად მაქვს პატივი სამეცნიერო კონფერენციაზე მიწვევა გადმოგცეთ. რაც შეეხება ამ იმპროვიზირებულ სამედიცინო პროცედურას, შეგვიძლია თავაზიან საჩუქრად ჩავთვალოთ, რომელიც ასევე ჩემი დამკვეთის თანხმობით ჩაგიტარდათ და მიზნად მისი მხრიდან თქვენდამი კეთილი დამოკიდებულების გამოხატვას ისახავდა.

კარგა ხანს ვდუმდი. სიტუაცია ერთდროულად კომიკური და ტრაგიკული მომეჩვენა. ჯერ კიდევ გაუგებარი იყო, რის მიღწევას ცდილობდა ჩემი თანამგზავრი. იქნებ უბრალოდ გიჟია? ხომ არსებობენ მაკედონელები და ნაპოლეონები? ეს კი უცხოპლანეტელების კომუნიკატორია, რომელიც დედამიწელ ფიზიკოსებს რაღაც სამეცნიერო კონფერენციებზე ეპატიჟება ხოლმე. ალბათ ასეთებიც არსებობენ. თავს ვერ დავდებდი, რომ სულით ავადმყოფების ამოცნობაში რაიმე გამოცდილება მქონდა, მაგრამ შემეძლო დამეფიცა – გიჟს არ ჰგავდა. მეორე მხრივ, ყველაზე ბუნებრივი ჩანდა ჩამეთვალა, რომ ეს მართლა სახალისო და გონებამახვილური ჰიპოთეზაა, რომელიც შესაძლებელია ლოგიკური შეკითხვებით გააქარწყლო. ბოლოს ორივენი ერთად გავიცინებთ. ბატონი ზურაბი კი შეიძლება ვინმე, ჩემთვის უცნობი მეცნიერიც კი აღმოჩნდეს, რომელიც თავისუფალ დროს, კოლეგებთან ურთიერთობისას, ასეთი რებუსებით ერთობა. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს აზრი სიტუაციიდან ღირსეული გამოსვლის მშვენიერ ვარიანტად მოჩანდა.

როგორც იქნა თავი ხელში ავიყვანე, შევეცადე მშვიდად გამეღიმა და ბატონ ზურაბს მივმართე, გთხოვთ განაგრძოთ-მეთქი.

– შეგიძლიათ შეკითხვები დამისვათ, დარწმუნებული ვარ უამრავი გაგიჩნდებოდათ. ყველაფერზე გულწრფელად გიპასუხებთ, რაც ჩემს კომპეტენციას არ აღემატება, ან პასუხის უფლებამოსილება მაქვს – მიპასუხა ასევე თავაზიანი ღიმილით.

– კარგი. მოდით, საკითხს ნაბიჯ-ნაბიჯ ჩა-

ფულრმავდეთ. პირველ რიგში, საინტერესოა – ვინაა თქვენი დამკვეთი?

– მართალი ბრძანდებით, მთავარი ალბათ მართლაც ესაა. ჩემი დამკვეთი და შესაბამისად, თქვენი მიწვევის ორგანიზატორი გახლავთ გალაქტიკური ფედერაციის დიდი სამეცნიერო საბჭოს კოსმოლოგიის ქვეკომიტეტი, რომელიც უფლებამოსილია თავის რეგულარულ სამეცნიერო კონფერენციებზე მიიწვიოს ნებისმიერი მეცნიერი, ვისი ნაშრომებიც საინტერესო აღმოჩნდება, ხოლო ნაშრომში წამოჭრილი პრობლემატიკა თანხვედრაშია დაგეგმილი კონფერენციის დღის წესრიგთან. ამასთან, კომიტეტი უფლებამოსილია მიიწვიოს იმ ცივილიზაციის წარმომადგენელიც კი, რომელიც არაა ფედერაციის წევრი. არსებობს მესამე კრიტერიუმიც, მიწვეული მეცნიერის ნაშრომში განხილული პრობლემატიკა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ფედერაციის ჩაურევლობის დოქტრინის პუნქტ 4/344-224-ის სულისკვეთებას.

– ჰმ, ჩაურევლობის დოქტრინა, პუნქტი 4/344... რაღაც. გალაქტიკური ფედერაციის იურიდიული ჯუნგლებილა გვაკლდა – გავიღიმე მე – კარგი, დოქტრინა დროებით გადავდოთ. ფედერაციის შესახებ უფრო დეტალურად, თუ შეიძლება.

– სიამოვნებით. ფედერაციას ოთხასამდე წევრი ცივილიზაცია ჰყავს, რომლებიც მთელ ირმის ნახტომში არიან გაფანტული. მოგეხსენებათ, ჩვენთან არსებობს კარდაშევის სკალა – ცივილიზაციის ტიპები მათი განვითარების მიხედვით. მსგავსი ტიპის, თუმცა ცოტა სხვა კრიტერიუმებზე დაყრდნობილი სკალით ხელმძღვანელობს ფედერაციაც. წევრი ცივილიზაცია უნდა იყოს მეორე, ან მესამე ტიპის. ჯერჯერობით მესამე ტიპის ცივილიზაცია ჩვენს გალაქტიკაში არ არსებობს, უფრო სწორად, რაღაც გაგებით მესამე ტიპის ცივილიზაციად შესაძლებელია თვითონ ფედერაცია მივიჩნიოთ. ნულოვანი და პირველი ტიპის ცივილიზაციები კი სწორედ ზემოხსენებული, ჩაურევლობის დოქტრინის სუბიექტები არიან და მათ რიცხვშია ჩვენი პლანეტაც.

– თქვენ უკვე რამდენიმეჯერ ახსენეთ ჩვენ, ანუ უნდა ვივარაუდოთ, რომ...

– ჰო, რას ბრძანებთ, რასაკვირველია, მეც ისეთივე ადამიანი ვარ როგორც თქვენ. სულით ხორცამდე დედამიწელი – გაიცინა ბატონმა ზურაბმა.

– კარგი, ანუ ოთხასი წევრი, გამოდის ჩვენი გალაქტიკა საკმაოდ მხიარული ადგილია.

– უფრო მეტიც, ოთხასი ცივილიზაცია უბრალოდ ფედერაციის წევრები არიან. არაწევრი ცივილიზაციები ათჯერ მეტი რაოდენობით იქნება. ბევრი მათგანი მხოლოდ ახლა იდგამს ფეხს და ნეოლითის ხანას არ გასცილებია. ზოგიც ჩვენსავით ტექნიკური ცივილიზაციის საწყის ფაზაშია. აი, სიცოცხლე რამდენ ადგილასაა, ეს მართლაც არავინ იცის ზუსტად. ამ მიმართულებით ინტენსიური კვლევები მიმდინარეობს და ყოველ წამს ახალ-ახალი ფორმები ხდება ხილვადი ცნობილი.

– ტექნიკური ცივილიზაციის საწყისი ფაზა, – მთლად სასიამოვნო შეფასება ვერაა, თავი კლასში ჩარჩენილ ბავშვად ვიგრძენი. – გავიღიმე მე.

– სულ ტყუილად, – ენერგიულად შემეკამათა ბატონი ზურაბი. – მოდით, ჩვენი პლანეტის ისტორიის ექსტრაპოლაცია მოვახდინოთ. დედამიწა დაახლოებით ოთხნახევარი მილიარდი წლისაა. სიცოცხლე კი დაახლოებით ოთხი მილიარდი წლის წინ წარმოიშვა, შეიძლება ითქვას – მაშინვე. სამყარო 14 მილიარდი წლის წინ შეიქმნა, The Big Bang – გაიცინა და განაგრძო – შესაბამისად, ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ სამყაროში ბევრია ისეთი პლანეტა, რომლის ისტორიაც ხუთ, ექვს, ათ მილიარდ წელს ითვლის. იმის თქმა მინდა, რომ ჩვენ კლასში ჩარჩენილები კი არა, უბრალოდ ჯერ კიდევ ჩვილები, სამყაროს ნაბოლარები ვართ, ენერგიით ალსავსე, პერსპექტიული ახალგაზრდები, რომლებიც, მინდა გითხრათ და საკმაოდ სწრაფად ვვითარდებით.

– დამამშვიდეთ, – ისევ გავიღიმე. აღმოვაჩინე, რომ ამ თამაშში უკვე სერიოზულად ვიყავი ჩართული. ბატონი ზურაბის პასუხები სრულიად ადეკვატური და ლოგიკური ჩანდა, თუმცა ჯერ არაფერი უთქვამს ისეთი, რაც მეცნიერების არსებული დონისათვის რევოლუციური იქნებოდა. კარგად ინფორმირებული ტიპია. – გავიფიქრე და გენერალური დარტყმისთვის მოვემზადე.

– ეს ყველაფერი ძალიან საინტერესოა, მაგრამ სამწუხაროდ მაინც შეუძლებელი..

– ვიცი, რასაც მეტყვით, ფერმის პარადოქსი არა? – ეშმაკურად გამიღიმა – მართლაც, სად არიან ისინი? რატომ არ ჩანან? ხანდახან გასაოცარია ხოლმე, რატომ ვერ ხვდებიან ჩვენი სასიქადულო მეცნიერები ისეთ ელემენტარულ ჭეშმარიტებას, რომელიც ხელის გულზე დევს.

– რას გულისხმობთ?

– იმას, ბატონო დავით, რომ ფერმის პარადოქსის მთელი ხიბლი სწორედაც რომ მის პარადოქსულობაშია. იმას ვგულისხმობ, რომ შეუძლებელია დაფიქრდე და მის ანთროპოგენურობამდე, თუ Aliens-გენურობამდე არ მიხვიდე.

– მგონი მივხვდი, რის თქმას ცდილობთ..

– რასაკვირველია, მიხვდით. ის ფაქტი, რომ ამდენი განვითარებული ცივილიზაციის არსებობის კვალს ვერ ვხედავთ, შეიძლება ნიშნავდეს მხოლოდ ერთს – მათ არ უნდათ, რომ დავინახოთ.

– ჰო, მაგრამ ეს არ იქნებოდა ადვილი, მაინც შევამჩნევდით, მაგალითად, ფედერაციის არსებობისთვის აუცილებელი იქნებოდა კომუნიკაცია...

– რასაკვირველია აუცილებელია. მაგრამ როგორ წარმოგიდგენიათ ფედერაციის სუბიექტებს შორის კომუნიკაციისათვის ელექტრომაგნიტური ტალღების გამოყენება? ეს ხომ

წარმოუდგენლად ნელია, სულ რაღაც სინათლის სიჩქარით? გალაქტიკაში, რომლის დიამეტრიც ოცდაათი ათასი პარსეკია? ეს იგივეა, ინტერნეტი რომ ურმების საფუძველზე შექმნა. როგორ იფუნქციონირებს ფედერაცია, თუკი მის სუბიექტებს შორის ინფორმაციის გაცვლას ასობით და ათასობით წელი დასჭირდა? არა, ბატონო დავით, ფედერაციის საკომუნიკაციო სისტემა სულ სხვა პრინციპებზეა აგებული. ტექნიკურ დეტალებს ვერც მე მოგახსენებთ, მაგრამ რამდენადაც მახსოვს, ჩვენი ფანტასტები მაგას ჰიპერსივრცეს ეძახიან.

– კარგი, დავუშვათ ფედერაციის სუბიექტებს რაღაც სხვა, ჩვენთვის უცნობი საშუალებები გააჩნიათ. დროებით დაევივიწყოთ ისიც, რომ ფარდობითობის თეორია გამორიცხავს სინათლის სიჩქარეზე სწრაფად ინფორმაციის გადაცემის შესაძლებლობას. მაგრამ, თქვენივე სიტყვებით რომ ვთქვათ, არსებობენ არასუბიექტი წევრებიც, რომელთა ნაწილი მაინც ისეთივე ტექნოლოგიებს ფლობს როგორსაც ჩვენ, ანუ კომუნიკაციისთვის ელექტრომაგნიტურ ტალღებს იყენებს...

– აი, მანდ კი ისევ ჩაურევლობის დოქტრინას უნდა დავეყრდნოთ, რომელიც ზღუდავს არა მარტო ვერტიკალურ, არამედ ჰორიზონტალურ კომუნიკაციასაც.

– კარგი, – ამოვიოხრე, როგორც ჩანს, ამ დოქტრინის შესახებ საუბარს ვერ ავცდებით, ყველაფრის თავი ეს ყოფილა. – ცოტა ირონიულად გამომივიდა.

– შევეცდები დოქტრინის ძირითადი ასპექტების შესახებ მოგიყვეთ. მოგეხსენებათ, ორი ისეთი ცივილიზაციის კონტაქტი, რომლებიც განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იმყოფებიან, ყოველთვის ტრაგიკულად მთავრდება – იმ ცივილიზაციის სრული განადგურებით, რომელიც განვითარების უფრო დაბალ საფეხურზეა. ამის მაგალითები ჩვენს პლანეტაზეც მრავლად გვაქვს. მით უმეტეს, რომ ჩვენს შემთხვევაში განსხვავება მაქსიმუმ რამდენიმე საუკუნეა. ახლა წარმოიდგინეთ, რა მოხდება ისეთი ცივილიზაციების კონტაქტისას, რომელთა შორის განსხვავება რამდენიმე მილიონი წელია. სწორედ ამიტომ, არსებობს ფედერაციის მიერ შემუშავებული და მკაცრად კონტროლირებადი დოქტრინა, რომელიც გულისხმობს, რომ განვითარების მაღალ საფეხურზე (ჩვენი ფედერაციის შემთხვევაში მეორე ტიპის ცივილიზაციები) არათუ არ უნდა ჩაერიონ ნულოვანი, ან პირველი ტიპის ცივილიზაციების ცხოვრებაში, არამედ საერთოდ უნდა გამორიცხონ კომუნიკაციის შესაძლებლობა. ითვლება, რომ ამით გალაქტიკური თანამეგობრობა უზრუნველყოფს ახალგაზრდა ცივილიზაციების უნიკალურობას და შედეგად გალაქტიკის კულტურულ მრავალფეროვნებას. ეს კი ფედერაციის უმაღლეს ღირებულებადაა მიჩნეული. ამას გარდა, პრაქტიკამ აჩვენა, რომ საშიშია ნებისმიერი ტიპის კომუნიკაცია ფედერაციის არაწევრ სუბიექტებს შორისაც. რადგან, როგორც უკვე ვთქვი, განვითარების დონის მიხედვით მათ შორისაც უზარმაზარი განსხვავებებია. ისინი კი ფედერაციის რეგულაციების და ღირებულებების მიღმა მოქმედებენ. შესაბამისად, ეს ურთიერთობები კიდევ უფრო ტრაგიკულ შედეგებს მოიტანდა. ზუსტად არ ვიცი, როგორ ახერხებენ არაწევრი ცივილიზაციების ელექტრომაგნიტური აქტივობების შენიღბვას, მაგრამ ფაქტია, რომ წარმატებით.

– გამოდის, სრულიად ავტონომიურები და თვითმყოფადები ვართ, იმდენად, რომ სულაც კისერი გვიტეხია, არა?

– ეს ყველაზე რთული საკითხია. ჩვენზეც დებატები მუდმივად მიმდინარეობს. ბუნებრივია ფედერაცია ცდილობს, ააცილოს ახალგაზრდა ცივილიზაციები კოსმოსურ კატაკლიზმებს და დაიცვას ისინი განადგურებისაგან. ოღონდ, ეს ღონისძიებები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ჩაურევლობის დოქტრინას. რასაკვირველია აქ თვალსაჩინოა გარკვეული კოლიზია და ძალიან ძნელია მათ შორის ბალანსის დაცვა. სწორედ ის, თუ სად უნდა გადიოდეს ზღვარი ამ ორ სიკეთეს შორის გახლავთ პერმანენტული დებატების საგანი.

ვგრძნობდი, უკვე ტყვია-წამალი მითავდებოდა, მაგრამ სასოწარკვეთილ გასროლებს მაინც განვაგრძობდი.

– კარდაშევის შკალა ცივილიზაციებს ენერგიის მოხმარების მიხედვით ჰყოფს. მეორე ტიპის ცივილიზაციები უნდა ითვისებდნენ საკუთარი მნათობის ენერგიის უმეტესობას, რაც თავის თავში რაღაც დაისონის სფეროს მსგავს გადაწყვეტას გულისხმობს. აი ასეთი ტოტალური მასშტაბის აქტივობები ნამდვილად არ დარჩება შეუმჩნეველი, მიუხედავად დოქტრინების და ნებისმიერი სხვა სახის რეგულაციის...

– სისულელეა, არანაირი მნათობის ენერგიები და გალაქტიკური მასშტაბის მშენებლობები არ ხორციელდება ორი მიზეზის გამო. ჯერ ერთი, ამის აუცილებლობა არ არსებობს წმინდა ტექნოლოგიურად. მეორე – არ გეჩვენებათ, რომ ვარსკვლავების ჩაქრობა, პლანეტების აფეთქება და მსგავსი ტიპის ვანდალიზმი სრულიად მიუღებელია ცივილიზებული არსებისთვის? ეს იმას ემგვანებოდა, რითაც ჩვენი კაცობრიობა ერთობოდა, განსაკუთრებით, მეოცე საუკუნეში. ვგულისხმობ, ტბების დაშრობას, მდინარეებისთვის კალაპოტების შეცვლას, ტყეების გაჩეხვას და მსგავს სისულელეებს, რომელთა უმეტესობამაც, მოგეხსენებათ, ჩვენს პლანეტას უზარმაზარი ეკოლოგიური ზიანი მიაყენა. არა ბატონო ჩემო, განვითარებული არსებები ასე არ იქცევიან, ისინი ცდილობენ გარემოსთან ჰარმონიაში იცხოვრონ და სამყაროს მყიფე ეკოლოგიური წონასწორობა არ დაარღვიონ.

– როგორც ჩანს, თქვენს ფედერაციაში სრული მშვიდობა და სოლიდარობაა.

– გულისხმობთ, ომობენ თუ არა ერთმანეთში? – ჩამეკითხა ბატონი ზურაბი, ისე, რომ სიტყვის „თქვენს“ ირონიულ ქვეტექსტს ყურადღება არც კი მიაქცია. – ჰოოო, ეს ჩვე-

ნი კინემატოგრაფიის საყვარელი თემაა. უცხო ცივილიზაცია თავს ესხმის ჩვენს პლანეტას, რომ აქაურ რესურსებს დაეპატრონოს. ამისთვის კი გაივლის უამრავ სინათლის წელს, წარმოუდგენელ მანძილს, რომლის გადალახვასაც იმაზე მილიონჯერ მეტი ენერგია სჭირდება, ვიდრე დედამიწაზე არსებული ნავთობის, გაზის, ნახშირის, ურანის და ასე შემდეგ ენერგეტიკული ღირებულებაა.

– მასე პრიმიტიულად არ მითქვამს – მეწყინა მე – შეიძლება არსებობდეს მრავალგვარი კონფლიქტი, პოლიტიკური, კულტურული, ღირებულებითი...

– არა, ბატონო დავით, ეს შეუძლებელია. ნებისმიერი სამხედრო კონფლიქტი საბოლოო ჯამში რესურსების დაპატრონების მცდელობაა. ჩვენს პლანეტაზე ყველაფერი ახლოა და ხელმისაწვდომი. ყოველთვის ასე იყო. პირველყოფილ ტომს მოსწონდა მეზობლის საძოვრები, თუ ერთ კონტინენტს მეორის რესურსების დაუფლება სურს, სრულიად ერთი და იგივეა – მცირედი ფლუქტუაციები პლანეტარულ მიკრომასშტაბში. ასეთი მიდგომის განზოგადება გალაქტიკურ დონეზე სიბეცე იქნებოდა. აი წარმოიდგინეთ, ორი ცივილიზაცია, რომლებიც ერთმანეთისაგან სულ ახლოს, დავუშვათ ასი სინათლის წლის მანძილზე იმყოფებიან. ირმის ნახტომის სინამდვილეში სრულიად არაორდინალური შემთხვევა იქნებოდა, ფაქტიურად კარის მეზობლები. რა აქვთ ერთმანეთთან გასაყოფი? ირგვლივ პლანეტების 99,999999 პროცენტი სრულიად დაუსახლებელია, მათი ტერაფორმირება კი მილიარდჯერ უფრო ადვილი და იაფი, ვიდრე სხვა ცივილიზაციასთან სამხედრო კონფლიქტი. ეს იმ შემთხვევაშიც კი, კონფლიქტის მორალური-ეთიკური მხარე რომ გამოვრიცხოთ. ეს კი მერწმუნეთ, არანაირად არაა გამოსარიცხი ფაქტორი. ცივილიზაცია, რომელიც საკუთარ თავში ვერ გადალახავს აგრესიას, განსხვავებულის მიმართ შეუწყნარებელ დამოკიდებულებას, ვერ მოახერხებს ჰარმონიული საზოგადოების მშენებლობას – უბრალოდ, ვერ მიაღწევს განვითარების ისეთ საფეხურს, რომელიც ვარსკვლავთშორისი მანძილების გადალახვის საშუალებას მისცემდა. ეს ჩვენს პლანეტაზეც თვალსაჩინოა. პოლიტიკურ რუკას გადავხედოთ. ვინ იმარჯვებს ლიბერალური და ფუნდამენტალისტური მსოფლმხედველობების ჭიდილში? მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოები სწორედაც რომ ლიბერალური ქვეყნები არიან. ხოლო ის საზოგადოებები, სადაც არქაული, ვითომდა მამაპაპური, განსხვავებულის მიუღებლობაზე, არატოლერანტულობაზე, აგრესიაზე დაფუძნებული ღირებულებებია წამყვანი – უკან მიჩანჩალებენ. ასეთი საზოგადოებები ხანდახან უფრო მონოლითურად გამოიყურებიან, მაგრამ არამდგრად, აფეთქებადსაშიშ ფორმაციებს ქმნიან და ომების, სოციალური კატაკლიზმების თუ ზოგადად, თვითგანადგურების რისკები გაცილებით მაღალი აქვთ. ეს სწორედ ის შემთხვევაა, რომლის ექსტრაპოლირებაც ნებისმიერ მასშტაბზეა შესაძლებელი.

საუბარი ბორტგამცილებელმა შეგვაწყვეტინა, რომელმაც სადილი, თუ ვახშამი მოგვიტანა.

– დამატებით წყალი და ფორთოხლის წვენი მოითხოვეთ – ჩამჩურჩულა ბატონმა ზურაბმა.

– რატომ? – გაკვირვებულმა შევუბრუნე კითხვა.

– არ დაგავიწყდეთ, რომ თქვენს ორგანიზმში უკვე საკმაოდ აქტიური პროცესები დაიწყო, რაც წყალზე და გარკვეულ მინერალებზე მოთხოვნილებას ზრდის. სიგარეტის მოწევის სურვილი ვვარაუდობ, აღარ გაწუხებთ – თავაზიანად ამიხსნა ჩემმა თანამგზავრმა.

უცებ მივხვდი, რომ საშინლად მწყუროდა და არანაკლებ მშიოდა. აი, სიგარეტის მოწევის სურვილს კი მართლაც ვერ ვგრძნობდი. ავიაკომპანიების საჭმელი ასე გემრიელად არასდროს მიჭამია, წყალიც ბოლომდე დავლიე და ფორთოხლის წვენიც დავაყოლე, როგორც ეს ბატონმა ზურაბმა მირჩია. აღსანიშნავია, რომ ისიც გემრიელად ილუკმებოდა.

მინდოდა, პაუზით მესარგებლა და შემდეგი შეკითხვებისთვის მოვმზადებულიყავი, მაგრამ აზრებს თავს ვერ ვუყრიდი.

მართალია, საუბარი ისე მიგვყავდა, თითქოს უბრალოდ სახალისო თეორიას ვიხილავდით, მაგრამ ზურაბის ბოლო ფრაზამ შემახსენა, რომ ის უცნაური მოწყობილობა ნამდვილად არსებობდა. ჩემი თანამოსაუბრე შემთხვევით არაფერს ამბობდა – ეს უკვე შევამჩნიე. მისი რეკომენდაცია წყალსა და ფორთოხლის წვენთან დაკავშირებით ასევე არ უნდა ყოფილიყო უბრალო წამოცდენა. როგორც ჩანს, ჩათვალა, რომ უკვე საკმაოდ დავრწმუნდი მისი ფანტასტიკური შემოთავაზების ჭეშმარიტებაში და დროა არსებულ რეალობას თვალებში ჩავხედო.

„არ დაგავიწყდეთ, რომ თქვენს ორგანიზმში უკვე საკმაოდ აქტიური პროცესები დაიწყო" – ზუსტად აღვიდგინე მისი ნათქვამი. არ უთქვამს, „დავუშვათ, რომ სამედიცინო პროცედურები მართლა ჩაგიტარდათ და თქვენს ორგანიზმში უკვე საკმაოდ აქტიური პროცესები დაიწყო". ინფორმაცია, როგორც ფაქტი, ისე მომაწოდა. ის გარემოება, რომ მწყუროდა და სიგარეტის მოწევა მართლა აღარ მინდოდა, არაფრად მივიჩნიე. ბოლოს და ბოლოს, პლაცებოს ეფექტი რეალური და ათასჯერ გადამოწმებულია. სამედიცინო კვლევების დროსაც რეგულარულად იყენებენ. ცოტა ხანს კიდევ ვიფიქრე და გადავწყვიტე, ამ საკითხის პედალირება არ მომეხდინა – დაწყებული თამაში გამეგრძელებინა ისე, თითქოს ვერაფერი შევამჩნიე. სხვა უკეთესი ვერაფერი მოვიფიქრე.

ფიქრებმა წამიღო. თანამედროვეობის ცენტრალური შეკითხვა – მარტონი ვართ თუ არა? და თუ მარტონი არ ვართ, როგორია ის, სხვა სიცოცხლე, სხვა ცივილიზაცია, რამდენად განსხვავდება ჩვენგან, მოვახერხებთ თუ არა მასთან ურთიერთობას? პრობლემა არ დგას ტექნიკური სირთულეების სიბრტყეში – ამაში დარწმუნებული ვიყავი. ბოლოს და ბოლოს

მათემატიკა უნივერსალურია მთელი სამყაროსთვის, ბუნების კანონებიც. შესაბამისად, გადაულახავი წინააღმდეგობები არ უნდა არსებობდეს. აქ დროს არა აქ მნიშვნელობა. ის, რაც არ ვიცით დღეს, გვეცოდინება ხვალ. ჩვენი ცივილიზაციის განვითარების თავბრუდამხვევ ტემპს თუ გავითვალისწინებთ, საკმაოდ მოკლე დროშიც კი. ამისთვის მოტივაცია და მიზანმიმართული ძალისხმევა საკმარისი იქნებოდა. სირთულე სხვაგანაა. მათემატიკის და ფიზიკის კანონებისაგან განსხვავებით, ცივილიზაციის სხვადასხვა ფორმებს შესაძლებელია ჰქონდეთ ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული კულტურული ფასეულობები, საზოგადოებრივი მოწყობის ფორმები და კანონები, თუკი „იქ" ასეთი რამ – საზოგადოება საერთოდ იარსებებს. გარდა ამისა, წარმოდგენა არა გვაქვს, რამდენად უნივერსალურია დარვინისეული ევოლუციის კანონები. ჩვენ ჯერ არ გვინახავს ევოლუციის განსხვავებული ვერსია. ამიტომ ამ მიმართულებით სრულიად უვიცები ვართ. უამრავ მწერალს, ფუტუროლოგს უფიქრია ამ თემაზე. მრავალი მიმართულებით გაშლილა მათი ფანტაზია. დიდთავიანი, დიდთვალებიანი და მელოტი ჰუმანოიდებით დაწყებული, მოაზროვნე ოკეანით დამთავრებული, და მაინც, ეს კონსტრუქციები შესაძლებელია ჩვენი გონებაშეზღუდულობის დემონსტრაცია აღმოჩნდეს, როდესაც განსხვავებულ სიცოცხლეს მართლა შევეჯახებით.

მეორე მხრივ, ფედერაცია, მისი წევრები, კომიტეტები და ქვეკომიტეტები, ჩაურევლობის დოქტრინა... ეს ყველაფერი ძალიან ბანალურად, და, ასე ვთქვათ, დედამიწურად ჟღერს. იმდენად ბანალურად, რომ შეიძლება მართალიც კი იყოს. რატომაც არა? სხვა რა საშუალებები შეიძლება არსებობდეს განსხვავებულთა თანაარსებობისა და მშვიდობიანი თანამშრომლობისათვის? ლოგიკას მივყავართ ისეთი კარგად ნაცნობი მექანიზმებისაკენ, როგორიცაა პოლიტიკა და საერთაშორისო სამართალი. რამდენად უნივერსალურია ეს მექანიზმები სამყაროს მასშტაბით? კაცმა არ იცის.

ისევ შემოთავაზებულ ჰიპოთეზას დავუბრუნდი. პასუხები, რომლებიც ბატონმა ზურაბმა გამცა, მწყობრი მომეჩვენა. ყოველ შემთხვევაში მისი ადვილად გამოჭერა და ლოგიკური ქსოვილში შეუსაბამობების დემონსტრირება ადვილი არ ჩანდა. ყველაზე სუსტ რგოლად მაინც ამ ამბავში ჩემი – როგორც აქტორის მონაწილეობა მომეჩვენა. სამეცნიერო კონფერენციაზე მიწვევა? რა სისულელეა. არა, საკუთარი რენომეს ნიველირებასა და გადაჭარბებულ თვითგვემაში ჩემი თავი არასდროს შემიმჩნევია, უფრო პირიქით, მაგრამ, მოდი, წარმოვიდგინოთ, რაში სჭირდება ასეთი მაღალგანვითარებული ცივილიზაციების ერთობას ჯერ კიდევ ნულოვან სტადიაზე მყოფი კაცობრიობის რომელიღაც, არც თუ კაშკაშა რეპუტაციის მეცნიერის მიწვევა? რას მისცემს ჩემი მონაწილეობა მათ? ან მე რას მომცემს? ეს ხომ დაახლოებით იგივეა, ნასას სამომავლო გეგმების განხილვას რომ პითეკანტროპი დაასწრო.

სადილი დავამთავრეთ. ბატონი ზურაბი ყავას სვამდა და აშკარად ეტყობოდა – საუბრის გაგრძელებას ინტერესით და აზარტით ელოდა.

მაშ ასე – დავიწყე დინჯად – ვსაუბრობდით ფერმის პარადოქსის თქვენეულ ამოხსნაზე. კერძოდ იმაზე, რომ პარადოქსის მიზეზი გონიერი სიცოცხლის შეგნებულ, მიზანმიმართულ ძალისხმევაში უნდა ვეძებოთ. რა გითხრათ, ვერაია საინტერესოა, თუმცა არცთუ მთლად ორიგინალური. რაც შეეხება მთელს ამ კონსტრუქციაში ჩემს მონაწილეობას...

– ვიცი რაც გაწუხებთ – შემაწყვეტინა ზურაბმა – კონფერენციაში თქვენი მონაწილეობა უცნაურად მოგეჩვენათ. არა და, ამის გასაღები თქვენივე კვლევების სპეციფიკაში დევს.

– კერძოდ?

– როგორც უკვე გითხარით, არსებობს დოქტრინის სპეციალური ნაწილი, რომელიც არეგულირებს ფედერაციის არაწევრი ცივილიზაციების სამეცნიერო წრეებისათვის ისეთი ინფორმაციის გაზიარებას, რომელიც გავლენას მოახდენდა ამ ცივილიზაციებში ტექნოლოგიების და ზოგადად, სამეცნიერო აზრის განვითარებაზე, ასე ვთქვათ, ხელოვნურ ბიძგს მისცემდა მათ. მაგრამ არსებობს თემები, რომლებიც წმინდად აკადემიური ხასიათისაა, მათი შესწავლა ვერანაირად ვერ გამოიწვევს ტექნოლოგიური განვითარების აქსელერაციას. უფრო მეტიც, ეს თემები თანაბრად აქტუალურია ნებისმიერი ცივილიზაციისათვის, მიუხედავად მათი განვითარების საფეხურისა. არ ვიცი, რამდენად მოსალოდნელი ამბავია, შეიძლება ისურვებდით, რომ თქვენი კვლევები უფრო მეტად გამოყენებითი ხასიათისა იყოს, მაგრამ ფედერაციის სამეცნიერო საბჭო დარწმუნებულია – პარალელური სამყაროების შესახებ თქვენი მოსაზრებები სრულიად სტერილურია ამ თვალსაზრისით. ამავე დროს, თემა საინტერესოა, ამ მიმართულებით უამრავი მეცნიერი მუშაობს ირმის ნახტომის სხვადასხვა რეგიონში, მათი კოოპერაცია კი ძალიან წაადგებოდა საქმეს.

ცოტა ხანს ორივე ვდუმდით. ინფორმაციის გასააზრებლად გარკვეული დრო მჭირდებოდა. უნდა ვაღიარო, ჩემი სამეცნიერო საქმიანობის ამ ასპექტზე არასდროს დავფიქრებულვარ. პარალელური სამყაროები, რომელთა შორის პრინციპულად შეუძლებელია არსებობდეს მიზეზ–შედეგობრივი კავშირი. შესაბამისად, ასეთი ცოდნა მართლაც სრულიად არაპრაქტიკულია. არაპრაქტიკული არა იმიტომ, რომ დღესდღეობით არ ვფლობთ სათანადო ცოდნას და ტექნოლოგიებს, არამედ იმიტომ, რომ იგი ასეთივე დარჩება მაშინაც კი, როდესაც ჩვენს სამყაროს საბოლოოდ გაანადგურებს ენტროპიის მორევი და მას მერეც, უკუნითი-უკუნისამდე. ვიკმაყოფილებთ მხოლოდ ცნობისმოყვარეობას და, ასევე თქვათ, პერფექციონიზმს – სურვილს, არ გვქონდეს თეთრი ლაქები საერთო სურათში. იდეა – თავისი არსით გიჟურად ამბიციური

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თავბედი — ბოლომდე შევიგრძნოთ. დავინახოთ ამ უდიადესი მექანიზმის ფუნქციონირების სილამაზე...

— პოზიტივი კი ალბათ ისაა, რომ ამ სრულიად უსარგებლო ძალისხმევაში მარტო არ ვყოფილვარ, — გავიცინე, თუმცა მგონი ნაღვლიანად გამომივიდა. — ეს ხუმრობით. ისე კი ვფიქრობ, რომ ამ ნაწილში არ გამოგივიდათ ჩემი დარწმუნება.

— კარგი. მოდით ცოტა შორიდან დავიწყოთ, ცოტა ფილოსოფიურად შევხედოთ ამ საკითხს — მიპასუხა ბატონმა ზურაბმა.

— გისმენთ...

— ნებისმიერი ცივილიზაცია თავისი განვითარების გზაზე უამრავ ეტაპს გაივლის. მაგრამ ეს ეტაპები შესაძლებელია ორ დიდ ჯგუფად, ორ ეპოქად დავყოთ. პირველი ეპოქაა, როდესაც მოაზროვნე არსებები, ანუ ამ ცივილიზაციის სუბიექტები ძირითადად დაკავებულნი არიან საკუთარი ყოველდღიური პრობლემების გადაჭრით, უხეშად რომ ვთქვათ, მასლოუს პირამიდის ქვედა ოთხი საფეხურით. შემდეგი ეტაპი მაშინ იწყება, როდესაც ეს მოთხოვნილებები დაკმაყოფილებულია როგორც ინდივიდუალურ, ასევე საზოგადო დონეზე. წარმოიდგინოთ, რომ მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარებამ, საზოგადოებრივი ფორმაციების დახვეწამ მოიტანა, რომ აღარ არსებობს ენერგეტიკული შიმშილის პრობლემა, აღარ არსებობს უსაფრთხოების პრობლემაც, ყოველ შემთხვევაში მაკრომასშტაბში, რადგან ასეთი ცივილიზაცია მულტიპლანეტარული, უფრო მეტიც, მულტივარსკვლავური ტიპის გახლავთ და შესაძლო ლოკალური კატასტროფები მის არსებობას არ ემუქრება. რაღა დარჩა? რა იქნება ის მოტივატორი,ურომლისოდაც ასეთ ცივილიზაციას მოდუნება, სტაგნაცია, შემდეგ კი დეგრადირება დაემუქრებოდა? პასუხი ალბათ ნათელია — ცნობისმოყვარეობა, აი ის უძლიერესი ძრავი, რომელიც არასდროს გაჩერდება, რადგან განჭვრეტად მომავალში მისი სრულად დაკმაყოფილება გამორიცხულია.

— უცნაურია, სწორედ ამ თემებზე დავფიქრდი ორიოდე წუთის წინ — ჩავიბუტბუტე მე.

— ამიტომ (ზურაბმა ისე გააგრძელა, თითქოს ჩემი კომენტარი არც შეუმჩნევია) მეცნიერება — ოღონდ არა პრაქტიკული, გამოყენებითი თვალსაზრისით, არამედ სამყაროს შეცნობის — უზენაესი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილების ინსტრუმენტი, ყოველთვის აქტუალურია და ის ცივილიზაციის განვითარების კვალდაკვალ სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. მგონი ვუპასუხე თქვენს შეკითხვას? თუ ვერა, ცოტას კიდევ დავამატებ — მხიარულად გაიღიმა ჩემმა თანამგზავრმა.

— ბარემ დაამატეთ...

— მეორე სურვილი თუ მისწრაფება, რაც ნებისმიერი ცივილიზაციისთვის ფუნდამენტურია, მისი სიცოცხლის, მისი არსებობის გაგრძელებაა ან და მარადჟამს. ეს კი მოგეხსენებათ, შეუძლებელია არსებული ცოდნის მიხედვით. რადგან, ჩვენი სამყარო სასრულია. იგი სასრულია ენერგეტიკულად. ერთ მშვენიერ დღეს ყველა ვარსკვლავი ჩაქრება. ენტროპია ანადგურებს ყველაფერს — ხელები გაშალა ზურაბმა.

უკვე მერამდენეჯერ შევამჩნიე — ეს კაცი თითქოს ჩემს ფიქრებს კითხულობდა. ადრე თუ კარგი ფსიქოლოგის უნარჩვევებს და ჩვენი საუბრის ტოპოლოგიის ზუსტ ცოდნას ვაბრალებდი, ახლა ნამდვილად შევშფოთდი.

— მართალია, ეს არ მოხდება მალე, მაგრამ, მოგეხსენებათ, ტერმინი „შორეული მომავალი" ფარდობითია და დამოკიდებულია, განვითარების რომელ საფეხურზე ვიმყოფებით — გააგრძელა ზურაბმა — პირველყოფილი ადამიანისთვის, რომელიც ანტილოპას მონადირებდა და კარგად დანაყრდებოდა, შორეული მომავალი მეორე დილით იწყებოდა. მაღალგანვითარებული ცივილიზაციისათვის კი სამყაროს ენერგეტიკული სიკვდილი განჭვრეტადი მომავალია.

— და რა კავშირის აქვს ყველაფერ ამას ჩემს მიწვევასთან?

— პირდაპირი, ბატონო დავით, პირდაპირი. წეღან როდესაც გითხარით, თქვენი კვლევის სფერო აკადემიურია და სრულიად დაცლილი გამოყენებითობისაგან-მეთქი — არ ვიყავი მთლად კორექტული. რასაკვირველია, ეს ასეა და ასეთად დარჩება ძალიან, ძალიან დიდი ხნის განმავლობაში. მაგრამ იქნებ ეს ასე არ არის? იქნებ შეხედულება, რომელიც ფუნდამენტურად მიგვაჩნია და რომელიც სხვადასხვა სამყაროებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის შეუძლებლობის შესახებ ლაპარაკობს, მხოლოდ ცოდნის მოცემულ ეტაპზეა ჭეშმარიტება? იქნებ ბევრი მილიარდი წლის შემდეგ გონიერმა არსებებმა შესძლონ და როგორღაც გვერდი აუარონ ჩვენი სამყაროს სიკვდილის გარდაუვალობას? კაცმა არ იცის. და ამ გზაზე გვაქვს კი უფლება, რომელიმე თამამი აზრის, რომელიმე, თუნდაც გიჟური თეორიის იგნორირება მოვახდინოთ? იქნებ ეს სწორედ ის სუსტი მარცვალია, პატარა ნაპერწკალი, რომელიც საბოლოო ჯამში სწორ გზაზე დაგვაყენებს და ამ უდიადეს მიზანთან მიგვიყვანს? და აი, პასუხიც — დაამთავრა ზურაბმა და ყავის ჭიქიდან ბოლო ყლუპიც მოსვა.

ცხადი იყო, ლოგიკურ თამაშში, რომელიც ბატონმა ზურაბმა სამუშაო ჰიპოთეზად შემომთავაზა, ღირსეული მოწინააღმდეგე მყავდა. გასაგებია, უზენაესი გეგმები და ცივილიზაციის მისიები მისი კოზირია, მოდი, ახლა მოწინააღმდეგის თავდაცვის ხაზი უბრალო, პრაქტიკულ საკითხებში მოვსინჯოთ.

— ჩაურევლობის დოქტრინას დავუბრუნდეთ — დინჯად დავიწყე — მიუხედავად მისი საკმაოდ მკაცრი მოთხოვნების, თქვენი დამკვეთი ფიქრობს, რომ ჩემს შემთხვევაში რისკი არ არსებობს. ვგულისხმობ იმას, რომ სურვილის შემთხვევაში ვერავინ მაიძულებს გავჩუმდე...

—ოი, რას ბრძანებთ, ეს ყველაზე მარტივად გადასაწყვეტი საკითხია — შემაწყვეტინა ზურაბმა. — თუ თქვენ კონფერენცი-

აზე მონაწილეობას დათანხმდებით, ასევე მოგიწევთ პირობის მიცემა, რომ ეს ყველაფერი საიდუმლოდ დარჩება.

– გასაგებია, ესე იგი უბრალოდ სიტყვას მოგცემთ და პრობლემაც მოგვარდება – სარკასტულად შევნიშნე.

– კი ბატონო, რადგან ფედერაციის იურისდიქცია ამ პლანეტაზე არ ვრცელდება, ვერანაირ კონტრაქტს ვერ შემოგთავაზებთ და ესეც არ იყოს, განა სიტყვა საკმარისი არაა? – ეშმაკური ღიმილი ჩაუდგა თვალებში

– არა, მაგას არ ვგულისხმობდი – ვუპასუხე ცოტა დამორცხვებულად – ჩვენ ხომ მაინც, ასე ვთქვათ, ჰიპოთეტურად ვმსჯელობთ, და რა მოხდება, თუ პირობას არ დავიცავ?

– არა მგონია ბატონო დავით. ვერ წარმომიდგენია, რომ თქვენ, რესპექტაბელური მეცნიერი, რომელიმე ტელევიზიაში გაიქცევით და იქ სულელურ შოუებში მოყვებით, როგორ გაიცანით თვითმფრინავში არამიწიერი ცივილიზაციების წარმომადგენელი, რომელიც თქვენთან ერთად ამ, არცთუ უმაღლესი ხარისხის ყავას მიირთმევდა და სამყაროს დასასრულზე გესაუბრებოდათ. სხვას კი ვერაფერს გააკეთებთ, რადგან არანაირი მატერიალური დასაბუთება არ გექნებათ.

– აი მანდ ცდებით – ვუპასუხე გამარჯვებულის ტონით – როგორც თქვენ თქვით, ჩემს სისხლში რაღაც ნანოროობოტები ცირკულირებენ, რომლებიც, ღმერთმა იცის, რაებს სჩადიან. დედამიწის მედიცინა მგონი არც ისე განუვითარებელია, რომ ვერ აღმოაჩინონ.

– ცდებით – მშვიდად მიპასუხა. – ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს ნანორობოტები ჭანჭიკებისგან და სპილენძის მავთულებისგან შედგება? ესაა ორგანული მოლეკულებისგან შექმნილი მექანიზმები, თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ, რომლებიც ამ წამებში აქტიურად ახორციელებენ დასახულ პროგრამებს, შემდეგ კი თვითლიკვიდაციას მოახდენენ. ეს უკვე საკმაოდ მალე მოხდება – ზურაბმა საათს დახედა – ყოველ შემთხვევაში ჩვენი ფრენის დამთავრებამდე ნამდვილად.

– ყველაფერზე გაქვთ პასუხი, საიდან ამდენი ინფორმაცია? – გავიღიმე მე.

– ეეჰ, რას ბრძანებთ ბატონო დავით, ჩემი ცოდნა ძალიან ზედაპირულია. მე მხოლოდ ის ვიცი, რაც ჩემს საქმიანობაში მჭირდება, ასე ვთქვათ კლიენტების ცნობისმოყვარეობა რომ დავაკმაყოფილო შესაძლებლობის ფარგლებში. ვისურვებდი, გაცილებით მეტი მცოდნოდა. მაგალითად, წარმოდგენა არა მაქვს როგორ ცხოვრობენ იქ (თითი თვითმფრინავის ჭერისკენ აიშვირა), როგორი ქალაქები აქვთ, თუკი აქვთ ქალაქები. როგორია მათი ყოველდღიური საქმიანობა, რას ჭამენ და სვამენ, თუკი საერთოდ იკვებებიან. უყვართ თუ არა, სძულთ თუ არა და უამრავი, ასე ვთქვათ საყოფაცხოვრებო საკითხი. აი, ეს ყველაფერი მინიმუმ ოთხასზე გაამრავლეთ და მიხვდებით, რა ცოტა ვიცი – თეატრალური ტრაგიზმით დაასრულა მან.

– კლიენტი ბევრი გყავთ?

– საკმაოდ, და არა მარტო მეცნიერები, სხვათაშორის. ფედერაციის ინტერესის საგანს ჩვენი ტიპის პლანეტებზე არა მარტო ეს სფერო წარმოადგენს. გაცილებით იშვიათად, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც შეკვეთას სახელოვნებო საზოგადოების წარმომადგენლებთან კომუნიკაციაზეც ვიღებ. რასაკვირველია ნებისმიერი კონტაქტი ღრმად სპეციფიურია. მათ შორის უმეტესობა სრულიადაც არ მოითხოვს კარტების გაშლას, ან სადმე დაპატიჟებას. ზოგჯერ კომუნიკაცია ისე მთავრდება, რომ ბოლომდე ინკოგნიტოდ ვრჩები, ხან ჟურნალისტად, ხანაც კი უბრალოდ, ლაქლაქის მოყვარულ მოხუცად.

– და თვითმფრინავი? გამონაკლისია, თუ თქვენი სამუშაო გარემო?

– უი, რას ბრძანებთ. თვითმფრინავი სწორედაც რომ იდეალური ადგილია. დრო თავზესაყრელი, ხელს არავინ შეგიშლის და არის კიდევ ერთი ფაქტორი – ჩემი პირადი გამოცდილებით აღმოჩენილი.

– კერძოდ?

– ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში კაცობრიობის ყოფა-ცხოვრებაში უამრავი გარდატეხა მოხდა. ხანდახან მიკვირს კიდეც, როგორი მოქნილები, სწრაფად ადაპტირებადები აღმოჩნდით. ეს თავბრუდამხვევი ტემპი, ინფორმაციის ნაკადები, ინტერნეტი და სმარტფონები. მაგრამ ის ფაქტი, რომ არსებობს რაღაც ალუმინის ცილინდრი, რაღაც კონსერვის ქილა, რომელიც დაფრინავს, რომლითაც ღრუბლებს ზემოთ ვმოგზაურობთ და ათასობით კილომეტრს სულ რამდენიმე საათში ვფარავთ, მაინც ყველაზე დიდი საოცრება, ყველაზე ძნელად შესაგუებელი ამბავი მგონია. ჰო და, კიდევ სად არის ისეთი ადგილი, სადაც ადამიანი დაუჯერებელი ამბების მოსასმენად იქნება მზად? ასე რომ ნამდვილად, თვითმფრინავი ჩემი საყვარელი ადგილია... ვის არ გადაეყრები აქ...

ერთხანს სდუმდა, თითქოს რაღაც ფიქრებმა გაიტაცა, ნაღვლიანად გაიღიმა, შემდეგ ისევ განაგრძო.

– ბუნებრივია, ეს შეხვედრები, როგორც უკვე მოგახსენეთ განსხვავდება ერთმანეთისაგან, განსხვავდებიან ადამიანებიც, ამიტომ ყოველი შეხვედრა წინასწარ მომზადებას მოითხოვს. მათ შორის ენის თვალსაზრისით...

– ანუ თქვენ გინდათ თქვათ რომ...

– რომ ქართველი არა ვარ? ჩემდა სამარცხვინოდ შემიძლია ისიც გითხრათ, რომ ერთი კვირის წინ არცერთი ქართული სიტყვა არ ვიცოდი. ესეც ჩემი პროფესიის სპეციფიკაა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ კლიენტებს მათ მშობლიურ ენაზე ვესაუბრებოდე.

– გამოდის საოცარი, უნიკალური უნარის მქონე პოლიგლოტი ყოფილხართ.

– არა, როგორ გეკადრებათ, ენების შესწავლა არასდროს ყოფილა ჩემი ძლიერი მხარე,

თანაც ასაკი... ამ თემაზე მეტის თქმის უფლებამოსილება არ მაქვს, უბრალოდ ვიტყვი, რომ გარკვეული ტექნოლოგიები არსებობს, რომლებიც ინფორმაციის დიდი მასივების სწრაფად ათვისებაში მეხმარება.

ისევ პაუზა. ჩემს ტვინში არამიწიერი ცივილიზაციების წარმოუდგენლად ჭრელი კალეიდოსკოპი ტრიალებდა. ნეტა როგორია ის ზღვარი, განსხვავებულობის ის უფსკრული, რომლის იქითაც კომუნიკაცია უბრალოდ შეუძლებელი იქნება? სიცოცხლე შესაძლებელია იყოს მრავალგვარი. მოაზროვნე არსებები შესაძლებელია ხედავდნენ ელექტრომაგნიტური სპექტრის სრულიად სხვადასხვა დიაპაზონში. ურთიერთობისთვის არ იყენებდნენ ბგერით ტალღებს, ცოცხლობდნენ სრულიად სხვადასხვა ტემპერატურულ დიაპაზონში და მრავალი სხვა. თუმცა ეს მაინც ტექნიკური საკითხებია, შესაბამისად გადაჭრადი. კომუნიკაციას ეს ხელს არ უნდა უშლიდეს. ფატალურობა სხვა სიბრტყეშია საძიებელი. მაგალითად, ხომ არის შესაძლებელი ასეთი სიცოცხლე არ იყოს ინდივიდუალისტური? იქნებ ზოგი მათგანი ინტეგრირებულია ერთ, მთლიან გონში? აი, ჭიანჭველების ბუდის მოდერნიზებული ვარიანტი, ინტეგრაციის კიდევ უფრო მაღალი ხარისხით... შესაძლებელია თუ არა სიცოცხლე იყოს უკვდავი ინდივიდის დონეზე? მაგალითად ღმერთი – წარმოდგენილი მხოლობით რიცხვში, არსება-ცივილიზაცია. ალბათ წარმოუდგენლად მოწყენილი, წარმოუდგენლად მარტოსული... რაზე უნდა ვილაპარაკოთ ასეთ შემთხვევებში? რამდენად გამოვიცნობთ მათ სურვილებს, რამდენად ჩავწვდებით მათ ლოგიკას? ან ისინი ჩვენსას? და მაინც როგორები არიან ისინი? ბოლო კითხვა ჩემდაუნებურად ხმამაღლა ვთქვი.

– გულისხმობთ რამდენად განსხვავდებიან ჩვენგან ბიოლოგიურად? ბუნებრივია, კულტურული განსხვავებები გასაოცარი იქნება. აი, ბიოლოგიურის კი რა მოგახსენოთ. აქაც გააჩნია, განსხვავებულობის რა მასშტაბს გამოვიყენებთ. ის ფაქტი, რომ ირმის ნახტომში ყველანაირი სიცოცხლე დნმ–ს ეყრდნობა, გვაფიქრებინებს, რომ მინიმუმ ჩვენი გალაქტიკის დასახლება პანსპერმიის საშუალებით მოხდა. ეს კი ფაქტობრივად ყველას ნათესავებად გვაქცევს. გარდა ამისა, დედამიწის ისტორიაში ყველაზე დიდი მეცნიერი ალბათ მაინც ჩარლზ დარვინი იყო, რაც არ უნდა გეწყინოთ თქვენ – ფიზიკოსებს. ევოლუციის თეორია სავარაუდოდ იმდენად უნივერსალურია, რომ გონიერი სიცოცხლის ფორმები ერთმანეთს საოცრად გვანან. როგორც ჩანს, იგი მართალია ზიგზაგებით, სხვადასხვა გზებით, სხვადასხვა სისწრაფით, მაგრამ მაინც ერთნაირი, ლოგიკური დასასრულისკენ მიდის ხოლმე. ასე რომ, ბატონო დავით, არანაირი მოაზროვნე ღრუბლები და პოეტი კონტინენტები. ყველაფერი ბევრად მოსაწყენად გამოიყურება.

– კარგი, თანახმა ვარ – ხელები ავწიე – ჩათვალეთ, მიწვევა მიღებულია. გაუთქმელობის შესახებ პირობაც ასევე. რა მოხდება შემდეგ?

– ძალიან კარგი. ამით ჩემი მისია დასრულდება. ზუსტად ერთი კვირის შემდეგ დაგირეკავენ, ბატონო დავით. გეტყვიან, რომ ზურაბთან მიღწეული შეთანხმების რეალიზაციის შესახებ გიკავშირდებიან და დანარჩენ ინსტრუქციებს მოგცემენ. აქვე გეტყვით, რომ წარმოდგენა არა მაქვს, რა და როგორ იქნება. ისიც არ ვიცი, მართლა ფიზიკურად გადაადგილდებით სადღაც, თუ ვირტუალური რეალობით დაკმაყოფილდებიან. სად იქნება ეს კონფერენცია, გექნებათ თუ არა დანარჩენ მონაწილეებთან უშუალო კონტაქტი, როგორ განხორციელდება თქვენს შორის კომუნიკაცია და როგორ, რა ფორმით გაგრძელდება თანამშრომლობა კოლეგებთან. ვიცი, სამწუხაროდ ძალიან მწირ ინფორმაციას გაწვდით, მაგრამ მხოლოდ იმას, რაც შემიძლია – მომიბოდიშა ზურაბმა.

თვითმფრინავი თბილისის აეროპორტში დაეშვა. გამთენიის პირი იყო. წვიმდა. მიუხედავად ხანგრძლივი მგზავრობისა თავს მხნედ და ხალისიანად ვგრძნობდი, ზურგიც კი არ მტკიოდა, როგორც ეს დიდხანს, ერთ ადგილზე ჯდომის შემდეგ მჩვევია. საბაჟო კონტროლის გავლის შემდეგ ბარგს უნდა დაველოდებოდი. ბატონი ზურაბი მომიახლოვდა.

– თუ გინდათ თავაზიან კომპლიმენტად ჩათვალეთ, თუ გინდათ ჭეშმარიტებად. მაგრამ თქვენთან მუშაობა სასიამოვნო იყო. საინტერესო შეკითხვებს სვამდით, შედეგად მგონი იმაზე მეტი ინფორმაცია მოგაწოდეთ, ვიდრე ამას ჩემი უფლებამოსილება ითვალისწინებს. იმედია მაპატიებენ – მხიარულად გაიღიმა, ხელი ჩამომართვა და სწრაფი, ახალგაზრდული ნაბიჯებით გაეშურა გასასვლელისკენ.

მაშ ასე, დავბრუნდი, წინ საკმაოდ დაძაბული კვირა მელოდება. მიტოვებული საქმეები უნდა მოვაწესრიგო, ჩვეულ რიტმს უნდა დავუბრუნდე. ერთ კვირაში კი... ნეტავ მართლა თუ დარეკავს ტელეფონი და უცნობი ხმა მეტყვის, რომ ბატონ ზურაბთან მიღწეული შეთანხმების თაობაზე უნდა საუბარი. ვინ იცის? გავიღიმე და თავი გავიქნიე, თითქოს სულელური აზრების მოშორება მინდოდა, ბარგი ავიღე და აეროპორტიდან გამოვედი. ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოვიღე, ინსტინქტურად დავაპირე მოკიდება. მრავალწლიანი ჩვევა, მოთხოვნილება და იმ ნეტარების მოლოდინი, თვითმფრინავით მგზავრობის შემდეგ პირველ ნაფაზს რომ მოაქვს... კოლოფი დავჭმუჭნე და იქვე, ურნაში ჩავაგდე. მოწევის არანაირი სურვილი არ მქონდა. მგონი შევძლებ თავი დავანებო – გავიფიქრე.

ისევ წვიმდა. უკვე თენდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საკუთარი თავის დევნა

*ლელა კოდალაშვილი*

ის არასოდეს არის მტკიცებითი და არსად ისმის მენტორული ტონი, რომელიც ძალიან ხშირად გვხვდება სხვა პოეტებთან. ის თითქოს გეპატიჟებათ იმ სევდაში, რომელიც „ყოველთვის დროულია", სადაც თავს რაღაცა დროის მანძილზე მყუდროდ გრძნობთ, სანამ გააცნობიერებთ, რომ უფსკრულის პირას ხართ. ის ამბობს, რომ პოეზია „ირჩევს მხოლოდ არამდგრადებს, ვინც მუდამ იცვლება", მაგრამ მისი ცვლილება უფრო სიარულს ჰგავს, რომელშიც თქვენც შეგიყოლათ შეუმჩნევლად, თითქოს მშვიდი მუსიკის ფონზე, რაღაც მომენტში კი აღმოაჩინეთ, რომ ნაპირს დიდ მანძილზე მოშორებიხართ და მარტო დარჩით მასთან და მის უფსკრულებთან. ის ამჩნევს ყოფით საგნებს, მაგრამ საგნებზე კი არ გესაუბრებათ, არამედ იყენებს მათ იმისათვის, რომ არსის შესახებ ილაპარაკოს, ამ ნივთების და მათგან შექმნილი ფიზიკური ბარიერების იქით არსებულ სიცარიელეში გადაგახედოთ. ესაა კათარზისის ამსახველი ლექსები. სადაც ხეებს დედამიწა სწყდება, რომელიც მერე ფუყე მუცლიდან იბერტყავს მათ ნარჩენებს, სადაც სიცარიელე საკუთარი თავისგანაც კი იცლება და „სრულყოფილ არაფერში აღარ ხდება არაფერი" (ისტორიის ბოლო გაკვეთილი"). და ყველაფერი ისევ და ისევ მეორდება: უსასრულო გამოფიტვა, სიცარიელის დიდ სივრცეში ადამიანის ლივლივი, სადაც მართლაც არაფერი ხდება, სრულიად არაფერი.

ამ შეგრძნებებს გიჩენთ პირველივე გვერდებიდან ზვიად რატიანის ახალი წიგნი, „კოცონი მდინარესთან", რომელიც ეს-ესაა დაბეჭდა გამომცემლობა „ინტელექტმა", ყდაზე საბინე პიუკერტის ძალიან საინტერესო ნახატით, სადაც უკანა ფლანგზე კონვენციურობას, ფოკუსს, ცხოვრებას ზურგშექცეული კაცი ილანდება.

ბროდსკი მარკ სტრენდზე დაწერილ რეცენზიაში წერს: „მე მინდა, ძალიან დიდი ყურადღებით მოეკიდოთ არა იმიტომ, რომ მისი ლექსები რთულია (ანუ ჰერმეტული და ბნელი), არამედ იმიტომ, რომ ისინი ვითარდებიან სიზმრის ლოგიკით, რაც ცოტა უფრო მეტად ამაღლებულ ყურადღებას მოითხოვს. ხშირად მისი სტროფები გვაგონებენ სიზმრად ნანახი ფილმის შენელებულ კადრებს... გრჩება შთაბეჭდილება, რომ ავტორმა მოახერხა, სიზმარში კამერა შეეთრია და თუ მკითხველი უფრო მკაცრია და მას სიურეალისტად მიიჩნევს, მე ის რეალისტი



დეტექტივი მგონია, რომელიც სდევნის საკუთარ თავს და წუხილს სათავემდე მიჰყვება". ზუსტად იგივეს თქმა შეიძლება ზვიად რატიანზეც. და ალბათ სწორედ ამიტომაც ახლანდელი რატიანის გაგება ცოტა უფრო რთულია, ვიდრე ძველის, რადგან ზოგჯერ ვერ ასწრებ, მისდიო სიზმრის აიუჟეტს, რომელიც ფანტასმაგორიული ხილვა კი არა, როგორც ბროდსკი ამბობს, საკუთარი თავის დევნაა მხოლოდ.

მისი მთავარი თემა კითხვებია. ის არ გვაძლევს მზა დასკვნებს, მხოლოდ თავის დაკვირვებებს აღწერს და შეკითხვებს სვამს. ერთი შეხედვით თითქოს ტრივიალური და უფერულია ზოგი მისი მსჯელობა გამოტოვებულ საფეხურებზე, მაგრამ ლექსი მოულოდნელად იცვლის მიმართულებას და სასოწარკვეთილების ფინალი აქ უკვე სულ სხვა, მკვეთრი ფერებით ღებავს მას. თითოეული სტროფი კი პრობლემიდან მოწყვეტა და დიდ, გაურკვეველ სივრცეში გადამვებაა:

„ან უარესი:
ჩავვარდე და არსად დავეცე;
უსასრულოდ გაგრძელდეს ვარდნა,
ან უარესი:
აღარ დარჩეს აღარცერთი საფეხური,
აღარ იყოს მოაჯირი, სართულები, კედლები, ფანჯრები,
მე კი ასვლას განვაგრძობდე,
მე კი ასვლას განვაგრძობდე,
მე კი ასვლას განვაგრძობდე..." („კიბე, რომელსაც დავაკვდები")

უმეტეს შემთხვევაში ისე ხდება, რომ მკითხველი ეჩვევა ავტორის ერთსა და იმავე ხმას, იმ ფართო ან ვიწრო ხეობას, რომელსაც პოეტი მისდევს, ზოგჯერ კი ტოვებს ძველ გზას და სრულიად ახალ მიმართულებას ირჩევს. ზვიად რატიანის ლექსების გმირს ძველი გზა არ დაუტოვებია. ის გაირინდა სიცარიელეში, გნებავთ, ბეწვის ხიდზე, გნებავთ, სიკვდილ-სიცოცხლის საზღვარზე და კათარზისის ეს საფეხური აქცია ცხოვრებად, რომელსაც ნელა – უჯრედ-უჯრედ აღწერს.

ალბათ ყველაზე ხშირად პოეტები უბედურებაზე, სევდასა და ტკივილზე წერენ, მაგრამ იშვიათია უბედურების ასეთი სარკასტული იუმორით ფორმულირება: „უბედურებამ აღიარა ჩემი სახელი, ალბათ წამებით გამოტეხეს. ვერ ვიჯერებ, რომ ნებით გამცა." („რწმენა, იმედი, სიყვარული"). რატიანი ისე აგვარებს ლექსის წერის პროცესს, რომ რეალობის ტრანსფორმაციას არ ახდენს.

ადრე ვწერდი მასზე, რომ მისი ტექსტები მონანიების პოეზიაა, ავტორი წერს იმას, რასაც ვერ ეუბნება ადამიანებს. ასე მგონია, რომ ლირიკული გმირი თავს იმართლებს და ხასიათის ფსიქოლოგიურ პრეფერენციებს უშვებს რეალური ცხოვრების წინაშე. მკითხველს პოეტურად ნიშნეულ ხედვებს სთავაზობს და სწორედ ამ პასაჟით ერთ-ერთ ფასეულ მტრიხს იძენს მისი შემოქმედება.

დღეს მის ლექსებში რაღაცნაირი ტრაგიკული სიმშვიდე დგას, თითქოს სიკვდილი თავისებურ სიცოცხლედ იქცა, კათარზისის თავგადასავლად, უცნაურ ბიოგრაფიად. და ამ სიკვდილში კიდევ სხვა სიკვდილის მოლოდინი რაღაც ბუნდოვან, სიმშვიდეში გაზავებულ ისტერიას ბადებს, რადგან „ბედნიერებაა სიკვდილით სიკვდილი და არა ამით – არა ამდენი რამით ერთად, როცა ბოლომდე არცერთი გიმეტებს", ან „ილვიძე ტკბილად, მსუბუქი იყოს უცხო ცა შენთვის, ნათელში იყოს შენი სხეული".

მისთვის დრო პრობლემას არ წარმოადგენს. ქრონოლოგიას შინაგანი ლოგიკით ალაგებს. სტრიქონიდან სტრიქონში განსხვავებულ ნაბიჯებს დგამს, ხანდახან მათ შორის შემაერთებელ ხიდსაც კი ამტვრევს, თითქოს უნდა, რომ უკვე საკმაოდ ღრმად შეტყუებული მკითხველი თავიდან მოიცილოს და მარტო დარჩეს. მისი მცდელობა, იგრძნოს შვება, ამაოა, რადგან გამოსავალს მაინც ვერსად ხედავს: „მხოლოდ ტაბლოზე რიგრიგობით ენთებიან სახელები: წარსული. აწმყო. მომავალი. სიკვდილი. ახლა."

ან „შენ ჯერ კიდევ იმართები მომავლიდან, რომელიც გამოგრჩა,
რომელსაც ისე ჩაურბინე, ვერც შენიშნე, ის ჩარჩა წარსულში".

კრებულის მეორე ნაწილი უსათაურო ლექსებისაგან შედგება. ისეთი შთაბეჭდილება გექმნებათ, თითქოს ტექსტი ტექსტში გადადის, ერთდება, შეედინება, არეულია მისი ფიქრებივით, მეტაფორებივით. ესაა, ფაქტობრივად, „ქარი მინაში". კრებული თითქოს თანდათან გიყდება და ბოდვას იწყებს. იმდენად, რომ რაღაც ხნით მის ლექსებს, გგონია, ხმა უწყდება და ამ ფონზე მოულოდნელად ჩნდება ზვიად რატიანის მიერ თარგმნილ ავტორთა ტექსტები: ტედ ჰიუზი, მარკ სტრენდი, რობერტ ჰასი, ჩესლავ მილოში... მათი ამ კონტექსტში ნახვა უცნაურ ასოციაციებს გიჩენს. ესაა ემოციური პერფორმანსი, პოეტური არანჟირება. პოეტთა ეს გუნდი თითქოს ხმას აძლევს კრებულის ავტორს, ეხმიანება თუ ეხმარება მას.

ის ხანდახან მეტისმეტად რადიკალურია – დაუნდობლად იჭრის რეალობას, და ამით მასთან ერთად მის სამყაროში შეყოლილ მკითხველს იცავს. ხან კი სუსტი, სასოწარკვეთილი და საკუთარ თავში ჩაკეტილია. ასეთ დროს ტექსტი პირქუშდება, პოეტური სახეები მხოლოდ ალაგ-ალაგ ანათებენ ბრჭყვიალა ქვებივით. სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარს კი ხანდახან სიცოცხლის სასარგებლოდ ხრის. სწორედ ასეთ მომენტებში პოულობს ამ ნაბიჯის გამართლებას, რომელიც აგრძნობინებს, რომ: „გარეთ ერთი ხე ტყეს შრიალებდა". მე ვიტყოდი, რომ „კოცონი მდინარესთან" სწორედ ასეთი ერთი ხეა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 5 ახალი თარგმანები

## ამერიკული პოეზია

ედგარ ლი მასტერსი

## ახალი სფუნ რივერი

*„ტრაგედია, რომელიც უძველესი დროიდან იქმნებოდა, ყოველთვის იყო ყველაზე სევდიანი, ყველაზე ზნეობრივი და ყველაზე სასარგებლო პოეზია; ამიტომაც თქვა არისტოტელემ, რომ მას გააჩნია ძალა... განმინდოს გონება ასეთი თუ ამგვარი ვნებებისაგან. ბუნებაც თავის საშუალებებით ამართლებს მის მოსაზრებას: რადგანაც მკურნალობისას მელანქოლიური შეფერილობისა და არსის საგნები გამოიყენება მელანქოლიის წინაალმდეგ; მჟავე – მჟავის წინაალმდეგ, მარილი კი მარილიანი იუმორის გასაქარწყლებლად"*

*მილტონი*

*„ხუმრობა, რომელსაც მე ვაღიარებ, არაა ღვთაებრივად სასტიკი, ის არც სიყვარულს და არც მშვენიერებას არ დასცინის".*

*ანატოლ ფრანსი*

**სიმშვიდის ხეობა**

სადღაა ბედნიერების იმედი,
სადღაა მეგობრობის რწმენა,
სადღაა სიყვარულის ერთგულება,
სადღაა დალოცვილი მშვიდობა, რომელიც არასოდეს მოვა.
სადღაა დარდები, ასე რომ გვანუხებდა სიცოცხლეში,
სადღაა ომები, რომლებიც არასდროს არ შეწყვეტილა,
სადღაა სიცილი ცრემლის დენამდე,
სადღა არიან ღლეების დასაღიერს გამომშრალი ცრემლები?
სულ ყველაფერი გაუჩინარდა სიმშვიდის ხეობაში,
სამაროვნებში, გორაკის თავზე.

ხრიოკ მიწაზე დაითესა მათი ბედნიერება
და გამოხმა მისი ფესვები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წყალივით იყო მათი რწმენა,
აბზინდის ვარსკვლავი ჩავარდა მასში.
კოკასავით დაიმსხვრა მათი ერთგულება,
როგორც მათხოვრის ცარიელი ფინჯანი,
გაშეშებული ხელებით რომ ეჭირა ღლეთა მანძილზე.
მათი სიმშვიდე ზაფხულივით მოდიოდა და კვლავ მიდიოდა.
მათი ბრძოლა და მათი სიცილი
რიგრიგობით გადადიოდა მდუმარებიდან ხმაურში და ისევ უკან.
ღამის ხმაურში, რომელიც ყვირის და თან არ ყვირის –
ყველაფერი, ყველაფერი გაუჩინარდა
სიმშვიდის ხეობაში...
სამაროვნებში, გორაკის თავზე.

აღარაა უკვე არც გამარჯვება და არც დამარცხება;
არც სიცრუე და არც ერთგულება;
აღარაა უკვე არც სიყვარულის ნიჭი;
არც ის, ვისაც სიხარულით იღებენ
და არც ის, ვისაც უარყოფენ.
აქ უკვე იმათ ვეღარ იპოვით,
აქ უკვე აღარაა სურვილები,
არც ჭრილობა და არც განკურნება.
არც გეგმა და აღარც შეფება.
არც გარჯა და არც ქორწინება,
არც მკვლელობა, არც ნადირობა, არც ვნება.
არც შური, არც ანგარება,
აღარც სურვილი ჯამის თუ მარხვის.
უარი ან თანხმობა.
ქმედება თუ თავშეკავება.
უკან შეყუყვა თუ წარმოჩენა,
ყველა ნაბიჯის ანგარებით გადადგმა თუ
ცხოვრება სარგებელზე ფიქრის გარეშე;
თუ ბრძოლა სულის შინაგანი სიმართლისათვის.
ისინი განირთხნენ ამ მიწის ტვირთქვეშ,
სამაროვნებში, გორაკის ფერდთით,
სიმშვიდის ხეობის გაღმა ნაპირზე.

* * *

სად არიან გულით უბიწონი,
სად არიან ბედნიერების მომნიჭებელნი,
სად არიან თანაგრძნობით სახედაცვარულნი,
სად არიან სიმართლით თვალებაელვარებულნი,
სად არიან ერთი შეხებით სასიცოცხლო ძალის მომცემნი,
სად არიან კოცნამოუწყინებელი ბაგეები,
რომელთაც არასდროს წამოსცდებოდათ სიავე;
სად არიან შეყვარებულები, მოძღერლები, მეოცნებენი,
რომლებმაც იცოდნენ ყოველი დაფარული საიდუმლო ბაღების,
რომლებიც უკვდავი სიტყვებით აღწერეს?
ისინი აფრინდნენ ზღვიდან ზეცისკენ,
თეთრფრთიანი არწივებივით
და ცის ნათელში გაუფერულდნენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყველაფერი, ყველაფერი გაუჩინარდა,
სიმშვიდის ხეობაში,
სამაროვნებში, გორაკის თავზე.

სადღაა უფსკრული, რომელიც უნდა ამოიქოლოს,
სადღაა სიკვდილის გასაღები, რომელიც უნდა გადატყდეს?
სად არის აღთქმის კიდობანი,
სად არიან მლოცველები ოქროს წმინდა თასებით,
სადღაა ცეცხლით აელვარებული მუშის ზღვა?
სად არიან სიქველისმძებნელნი,
და მდინარეებში წმინდა წყლის ხილვები,
ქალაქი, რომელსაც მზე აღარ სჭირდება,
მარადიული სიცოცხლე სადღა?
ყური დაუგდეთ! ჩვენთანაა იმედი მათი,
სოფლად, გორაკზე, სამაროვნების გაყოლებაზე,
სიმშვიდის ხეობის გაღმა ნაპირზე!



### ფირნიშების მხატვარი

როცა რიველი გადაიქცა გზაჯვარედინად,
ჩიკაგოს ტვინის ურჩხულისებრ აბლაბუდაში,
სწორედ აზრები, მე რომ ვხატავდი,
მიგვანიშნებდა, რაც მართავდა
მთელ ამერიკას:
„ხმა პატრიკ ქელის და შემცირებულ გადასახადებს";
„მე ვარ კაცისთვის, მე ვარ სიგარა";
„ეს მოდგმა ველარ იხილავს სიკვდილს,
ყური დაუგდეთ მღვდელ ვალენტაინს";
„სიჯანსაღე" მიირთვით და იცოცხლეთ დიდხანს";
„ფლოსის კევი და ჯანსაღი კბილი";
„სულ ოცდახუთი დოლარი და სრული დაკრძალვა";
„დაიზღვიე შენი სიცოცხლე";
„სამი პროცენტი შენი ფულისთვის";
„ჩვენს ავტომატთან დაგელოდებით".
და თუკი სადმე უკეთესი არის სამყარო,
მტკიცებულებად ფირნიშები,
გთხოვთ, დამანახოთ.

### ედით ბელლი

ქალბატონ მიდლტონს ღრიჭოდ ჰქონდა კარი მუდამღღე,
რომ ჩასწვდომოდა გამვლელების საიდუმლოებს,
ხოლო კესლერი, მრეცხავი ქალი,
ბალიშებზე და ხელსახოცებზე გადმოსული პიქტოგრამებით ხვდებოდა ამბებს,
მე კი ყურებზე წამოცმული ყურსასმენებით
საკუჭნაოში, თრეინერის აფთიაქის უკანა მხარეს,
ვაყურადებდი სფუნ რივერის ყველა ჭორ-მართალს,
სანამ ჩავრთავდი და გამოვრთავდი სადენს ტკაცუნით:
ამბებს, ვინ იყო ბედნიერი, ვინ – უბედური;
ვის უყვარდა და ვის არ უყვარდა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ ბავშვს ელოდა, ვინ კიდევ – ქორწილს;
ვინ იყო სადღაც შეხვედრაზე, ვინ – ჩიკაგოში;
ვინ იყო კეთილი, და ვინ – ბოროტი;
ვინ იყო მტერი და ვინ – მოყვარე;
ვინ – ძებნილი და ვინ დამსმენი, ვინ მატყუარა,
ფულის მშოვნელი ვინ იყო და ვინ – ყომარბაზი.
და ვამბობ, მცნება – არ განიკითხო,
სადღაც გარდაქრა ტელეფონის სადენებიდან.

### თომას დეგესი

წლების მანძილზე მხოლოდ მე და ჩემი დამხმარე...
ჩვენი ნიჩბებით, მე ასევე, – ჭიშკრის გამღებიც!
ხოლო გარედან ყველას ზაფრავდა შემოსასვლელი,
უბედურთაც და უსახლკაროთაც,
გადათეთრილებს, უპოვარებს და ავადმყოფებს,
უსასოოებს თუ ძალგაცლილებს –
განურჩევლად ზაფრავდა ყველას, ყველაზე მშვიდი სახლის ჭიშკარი.
ახლა კი უკვე კარიბჭესთან, ახალ ოფისში,
ისმის ხმაური მბეჭდავების და სტენოგრაფების,
საანგარიშო მანქანების და მოკარნახე თანამშრომლების,
კარადების და კაბინეტების რკინის კარების;
შესვენებაზე მიმავალთ თუ მომავალთ ისევ,
კვლავაც ისევე, როგორც ძველად, ზაფრავს სულ ყველას,
ყველაზე მშვიდი სახლის ჭიშკარი.
უბრალოდ ადრე – ბოლო წერტილს სვამდა ნიჩაბი, –
ახლა საბეჭდი მანქანა და ბარათთა ყუთი!

### ბრუნო ბინი

როგორც კი ცხენი ჩაანაცვლა ავტომობილმა,
გადავაკეთე საჯინიბო უმალ ფარეხად
და ვმუშაობდი მძღოლად დროდადრო.
მაგრამ რა გითხრათ, ნუთისოფელში არაფერი შეცვლილა ამით,
ვერაფერს ცვლიდა უფრო სწრაფი ტრიალი ბორბლის:
პოლიციელი თუკი ცხენით მისდევდა ეტლებს,
მოტოციკლეტით დასდევს უკვე ავტომობილებს;
მიქრიხარ სწრაფად, მაგრამ ვიღაც უფრო ჩქარია;
ქარდაკრულ ცხენებს შეენაცვლა გახვრეტილი საბურავები;
და ნაცვლად თავლის, თივის და ქერის,
არის რეზინა, გასაღები, საწვავი, ზეთი;
და თუკი შოლტი აღარ ტკლაშუნობს,
ისმის მუხრუჭის ღრჭიალი და ძრავის ღმუილი,
და სამაროვნებს, მდინარის გაღმა, დასაკარგავში თვალსმიფარებულს,
კვლავ სწრაფად აღწევ ავტომობილით!

### მაიკლ გალაჰერი

ადვილი იყო, რომ ეთრია ჩემი სახელი
რედაქტორ უედონს, მშრალი კანონის მედგარ მიმდევარს;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორ ვუდის, დაფასებული საქმოსნების ხელის ბიჭუნას;
რედაქტორ ლინდბლუმს, სულით საჭურისს:
ერთი მითხარით, ვინ აძლევდა სავანეს ქურდებს და მაწანწალებს?
ჰო, გალაჰერი!
ვინ აპურებდა მათ უფასოდ და კათხა ლუდით?
ჰო, გალაჰერი!
ვინ უდგებოდა მეძავეებსა და ფლიდებს თავდებში?
ჰო, გალაჰერი!
ვინ მფარველობდა წითელ ფარნებს და ყომარბაზებს,
მრბოლელებსა და მოცეკვავეებს?
ჰო, გალაჰერი!
ვინ იყოს ის, ვინც თავს არასდროს არ იმართლებდა?
მათ არასდროს არ პასუხობდა?
ჰო, გალაჰერი!
ვინაც მიცნობდით მე, – ათასებმა, – კარგად იცოდით,
რომ ცილს მწამებდნენ,
არავინ იცნობთ მათ ჩემდარად, ვინაც კი იცნობთ,
როგორც უსაზღვრო თაემომწონეებს, პირფერებსა და სიცრუის წყაროს.
შემინდე, ქრისტე ნაზარეველო, შედარებისთვის,
მაგრამ შენ და მე დაგვადუმა მსგავსმა მიზეზმა,
შენ, როგორც ცხვარი, ამაო დავის უარმყოფელი,
მე კი როგორც თხა, გამოხლართული სფუნ რივერის ნაგავსაყრელში,
საკუთარი თვალით მხილველი, როგორ მოჰფინეს მწიგნობარებმა
ჩირქი და მწუთხი მთლიანად ქალაქს
და გაიმეტეს ბუზების და სახადებისთვის.
მაგრამ ვინ შევა სასუფეველში უწინარეს ამ ლეშიმჭამელთა?
ჰო, გალაჰერი!
და ვინ თქვა ასე?
იესომ, ქალაქ ნაზარეთიდან!

### ჯეი ჰაუკინსი

გამოჩნდა ჯეი! სათაურების კითხვა-კითხვით მოსიარულე!
დამცა მანქანამ და გავაფრთხე სული, სანამდე
ჩავიკითხავდი გოგოს მკვლელზე რაღაც სტატიას!
წლების მანძილზე დავეძებდი გაზეთის სტენდებს,
ველოდებოდი ჩიკაგოდან ცინცხალ გაზეთებს,
ცნობის ფურცლების ყინით შეძრული:
ფხვნილს ვიყნოსავდი საშინელი სიახლეების,
ვიგებდი სირცხვილს, სიძულვილს და მკვლელობის ამბავს:
რომელ გვირაბში მოხდა თავდასხმა, რამდენი ბოთლი რომი იპოვეს;
ვის წაუყენეს ბრალი ან სადღაც, თუ ვინ ჩაქოლეს;
ვის მიუსაჯეს ყულფი განსჯის გასრულებისას;
თუ რომელ მმართველს ან ჩინოვნიკს აჰკიდეს ბრალი
გამოძალვაში, ქრთამში, ანდა მითვისებაში.
ვისი სურათი გამომზეურდა გაყრისას ანდა სიყვარულისას
(ალარასოდეს არ ყოფილან კეთილშობილნი, –
განა მიზანზე იტყოდნენ უარს,
განა სურათებს არ დაბეჭდავდნენ?)
სულ ყველაფერზე, სიძულვილზე, ძებნაზე, და დანაკარგებზე,
ომზე, ტყუილზე, მოპარვაზე და სიხარბეზე,
ვინ მოკლეს ანდა ვინ ჩამოახრჩვეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და გეკითხებით, თუკი ცხოვრება არის აღსავსე
მშვენიერებით, სიკეთით და შემოქმედებით,
რატომ არასდროს წერენ ამაზე?

### სანტექნიკოსი აიბეთსონი

როგორც მხატვარმა, სფუნ რივერის პეიზაჟების,
ვერავითარი ხეირი ვნახე:
რადგან მათ სძულდათ ხელოვნება და სწამდათ შრომა;
ვეღარ იტანდნენ მშვენიერებას, არჩევდნენ ხეირს;
და იმეტებდნენ გასარიყად ტანჯულებს სულით,
ბედნიერ კაცს კი მოსაკლავად დასდევდნენ მუდამ.
და შიმშილისგან მიმიყვანეს სიკვდილის პირას.
ასე დავიწყე, სფუნ რივერში, შრომა გამწმენდად,
გამწმენდად მისი სასიკვდილო ნაგავისაგან,
მილებითა და ფაიფურის აბაზანებით,
არხებითა და სასიცოცხლო წყლების დინებით:
მაგრამ ო, რივერ, სადღა არის სანტექნიკოსი,
ვინაც გაწმინდავს თქვენს გულგრილობას,
თქვენს სიმხეცეს და მომხვეჭელობას,
ყვითლად შეფერილს ბაქტერიებით
და ზნეობრივი ნარწყევებით ამბიონიდან?
ვინ გაგიწმინდავს იმ ზიზღის არხებს
სფუნ რივერ, რამაც ასერიგად დაგაავადა?

### ჰაუარდ ლემსონი

ყინულს არ ძალუძს იცახცახოს სიცივისაგან,
აღარც ლოდები ინავლებიან ნაკვერჩხლის ალში.
დახუჭულ თვალებს აღარა აქვთ უკვე ცრემლები;
დაგმანულ ყურებს აღარ ესმით რამე სიავე;
ლაფში დაფლული გულისათვის უცხოა ტანჯვა;
დადუმებული ენა არ წუხს დაკარგულისთვის;
დაკრეფილ ხელებს კარგად ძალუძთ უსაქმოდ ყოფნა;
სუნთქვაგამქრალი მკერდიდან აღარ მოისმის ოხვრა.
მშვენიერება შეიძლება გახუნდეს, მაგრამ
მას ვერ იხილავს დახუჭული თვალები უკვე;
დახუჭულ თვალებს აღარ ძალუძთ მისი დანახვა;
კი შეუძლია მწუხარებას კივილი, მაგრამ
დაგმანულ ყურებს არ ეყურებათ,
კი არის საქმე, მაგრამ დაკრეფილ ხელებს უკვე აღარ სჭირდებათ;
არ აქვს სათქმელი დაბმულ ენას აღარაფერი.
დედამიწა კი ბრუნავს და ბრუნავს,
ხეებით, ქვებით, ქედებით და ნაკადულებით -
და მეც იმავეს ვოცნებობ, რასაც სამაროვნები!

### ოლაფ ლინდბლუმი

აქ ვარ, ახალი „სფუნ რივერის" გამომცემელი,
ამერიკაში ბედისა და თავისუფლების

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოსაპოვებლად ჩამოსული კაცის მემკვიდრე –
მუდამ რომ ვგრძნობდი საკუთარ სავალს.
ჟირონდისტების სახელგანთქმული დოქტრინების გამოქვეყნებით
ვამრავლებდი და უფრო ვზრდიდი გაზეთის ბრუნვას,
შემდეგ კი ვყიდდი სარეკლამოდ ძირითად გვერდებს.
ნელთბილ რეფორმებს მხარს ვუჭერდი, გადამხდელივით
და ყთაღლითობდი გადახდისას თავად საკმაოდ.
ქურდბაცაცებს და ძარცვა-გლეჯვას ვებრძოდი თითქოს,
თავად კი მინის ქურდობაში ვიყავ ჩაფლული,
და ისტორიას ვჭედდი ყალბი სიახლეებით,
მხოლოდ ჩემს ხელში მოყუჩებულ ტელეგრაფიით.
თავისუფალი პრესა იყო მხოლოდ ჩემთვის და ჩემთა მსგავსთათვის.
ფულიანების საძმოების წინაგამძღოლი,
ხოლო მშრომელთა საძმოების მუდამ მოქიშპე,
მიზეზი მათი მკვლელობის და დატუსაღების.
მუდამ ვექილი გაიძვერა იურისტების.
დუქნებისა და სათამაშო სახლების მტერი,
მაგრამ ბანკების უკანა მხარეს, საკუჭნაოში მიწყობილის საკნის მფარველი.
ხელმიუწვდომი და უჩინარი,
გაუმაძღარი ფულის კეთებით,
კეთილშობილი ქრისტიანი და
რედაქტორი ახალი ერის!

## ქალაქისთავი მარსთონი

რაც თაეი მახსოვს, ვინც კი იყო ქალაქისთავი,
სულ ყველას ბრალი ნარედგინა, როგორც გამფლანგველს,
ან მეოცნებე მატყუარას, ქურდს და ყალთაბანდს –
მე კი როდესაც მოვკალათდი იმ სავარძელში,
მშვენიერი განზრახვა მქონდა: მსურდა, შევეგრძნო ხალხს ფულის სიტკბო,
დამნაშავეებს შეხებოდათ სამართლის თითი.
როდესაც „ლეჯერს" ძველებურად სურდა გაყიდვა
მინის – პარკისთვის, ნინ ალეუდექი!
შემდეგ ყველაზე ძალმოსილ ღორებს
გამოვაცალე დინგიდან ლაფი. ჰოდა, თუ იცით, რა მოხდა მერე?
ქურდობისა და ძარცვა-გლეჯის ტალღამ იფეთქა –
გაზეთ „ლაჯერის" წინა გვერდებზე!
გაუთავებლად – აკრძალული სასმელები და თაღლითები და
ყომარბაზები, სიავის ბუდე!
ეკლესიებშიც მორთეს ლაქლაქი,
და მოსამართლემ აღმართა ხელი ჩემს წინააღმდეგ.
მათ გაუტეხეს სახელი ქალაქს, მეც გამიტეხეს –
მიმასიკვდილეს საკუთარი გზის გასაკაფად.
ჰო, ყაჩაღების თამაშია, ჩემო კარგებო,
რასაც სახელად უწოდებენ – დემოკრატიას!

*ინგლისურიდან თარგმნა*
*ქარდა ქარდუხმა*

## ელიზაბეთ ბიშოპი

# სიმღერები ფერადკანიანი მომღერლისათვის

ამერიკელი პოეტი ელიზაბეთ ბიშოპი თავისი სახეობრივი აზროვნებით ლექსებში ვიზუალური სახე-ხატების შექმნის ოსტატად ითვლება და ეს მართლაც ასეა, თუმცა მისი ნაწარმოებების განსაკუთრებული მუსიკალური ჟღერადობაც ყოველთვის იპყრობს მკითხველის სმენას. მის ლექსებზე არამარტო ბლუზის ჟანრის სიმღერებია დაწერილი, არამედ საოპერო ნომრებიც და, მთლიანობაში, მისი პოეზია რიტმის განსაკუთრებული შეგრძნების გამოხატულებაა, სადაც ის – რიტმულობა – ყოველთვის შესაბამისობაშია ლექსის სტრუქტურისა და თემის სხვა ასპექტებთან.

თვალშისაცემად ძლიერია მუსიკალური ელემენტი მის 4 ნაწილიან ნაწარმოებში „სიმღერები ფერადკანიანი მომღერლისათვის", რომელიც შესულია 1946 წელს გამოცემულ მის პირველ კრებულში „ჩრდილოეთი და სამხრეთი", რომელმაც მეორე კრებულთან („ცივი გაზაფხული") ერთად 1955 წელს პულიცერის პრემია მოიპოვა. როცა მას ერთ-ერთ ინტერვიუში ჰკითხეს, ეს ლექსები წინასწარგანზრახულად ხომ არ შეიქმნა მუსიკალური ნაწარმოებებისთვის, უპასუხა, რომ მართლაც ჰქონდა იმედი, რომ ოდესმე ვინმე მათ მელოდიებად გადააქცევდა. მაშინ მან ამ სიმღერების პოტენციური შემსრულებელიც დაასახელა (აღიარა, რომ მომღერლად ჯაზის ცნობილი აფროამერიკელი შემსრულებელი, ბილი ჰოლიდეი ჰყავდა წარმოდგენილი).

ოთხივე ლექსი, როგორც სტრუქტურულად, ისე შინაარსობრივად, მიანიშნებს პოეტის უნარზე, გაითავისოს აფროამერიკელი ქალების ბედი ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 40-იან წლებში და მათი სათქმელი მათთვისვე დამახასიათებელი რიტმით, მსუბუქი და ხშირად იუმორით შეზავებული ტონებით გადმოსცეს. ოთხივე „სიმღერაში" აღწერილია აფროამერიკელი ქალების ყოფა სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციაში, მათი ბრძოლა თვითგამოხატვისა და სოციალური წნეხისგან გათავისუფლებისათვის საკუთარი იდენტობის დასადგენად. აქვე ისმის ანტისაომარი განწყობებიც, რაც ამ ამერიკელი პოეტის მძაფრი სოციალური თემატიკის ლექსებს კიდევ ერთ ღირსებას სძენს.

I

თოკზე სარეცხია გაფენილი,
არ არის ჩემი.
რასაც ვხედავ, იმ ნივთებიდან
მე არ მეკუთვნის არაფერი.
მეზობლებს შეუძენიათ რადიო ანტენით,
ჩვენ გვაქვს პატარა, პორტატული.
მათ საკუჭნაოსთვის დიდი სივრცე აქვთ,
ჩვენ გვაქვს ერთადერთი ჩემოდანი.

მე ვეუბნები: „ლე როი, მითხარი, რა ვალები გვაქვს?
რაღაც ისე ვერ არის, ველარაფერი გამიგია.
რაც უფრო მეტი გვაქვს, მით მეტს ვხარჯავთ..."
ის მხოლოდ მპასუხობს: „იყოს, როგორცაა. რაც არის, არის".
ლე როი, შენ ახლა საკმაოდ ბევრ ფულს აკეთებ.

ვზივარ, გავყურებ უკანა ეზოს, – სურათი მძიმეა.
რა შეგვრჩა მისი მოტანილი დოლარების და ცენტების ფასად?
– ბოთლების გროვას ვხედავ ღობესთან.
ლე როი ერთგული და კეთილია,
მაგრამ ბუნებით ეჭვიანი ნამდვილად არის.
ბევრი სიმწარე გამოიარა. რაც დარჩა, უნდა, რომ ისიც იგემოს.
ხოლო თუკი მე გავაპროტესტებ

ლე როი მეტყვის წარბშეყრილი:
„საყვარელო, როცა მე მოულობს, მე ხარჯავს კიდეც.
სამყარო დიდია და კიდევ გაიზრდება...
უნდა წავიდე, სამსახური ეძებოს სხვა ქალაქში."

ლე როი, საკმაოდ ბევრ ფულს აკეთებ უმაგისოდაც.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

II

დადგა დრო, განყდეს კავშირი.
მაშ, ასე – კავშირი დასრულდა.
სხვა მეგობრებთან წავიდა, დამეხსნა.
არ არის საჭირო, ნუ ეცდება გამოსწორებას.
ეს ყველაფერი მისი ბრალია.
მის სახეს ვხედავ წვიმისა და სიბნელის მიღმა,
ქუჩის გადაღმა ფლორენსის ბარში.
სვამს. გარს აკრავს თბილი და ვარდისფრად მფეთქავი ჰაერი,
პიკოლოს  აკომპანემენტით ავსებული.
დადგა დრო, განყდეს კავშირი.
შემთხვევით შემხვდა ექიმ ვარელას  გვერდით მიმავალი
და მაშინ ორჯერ ვატაკე ქოლგა.
შეიძლება ეს ჩემი ბრალია,
მაგრამ დადგა დრო, განყდეს კავშირი.

ჰო, წაბრძანდი, ღვინო დალიე, როგორმე თავი გაისულელე.
პიკოლო დაკვრას გააგრძელებს.
შენმა უაზრო მიეთ-მოეთმა საკმაოზე მეტად დამღალა.
დროა, საკუთარი გზა ვიპოვო.
საღამოს გადის ჩემი ავტობუსი.
შორეულ შოსეს გავუყვები, სველსა და შავ შოსეს,
ვიელი, ვივლი და არ დავბრუნდები.
ავტობუსით წასვლას ვაპირებ.
ვინმე სხვა უნდა ვიპოვო, მონოგამი.

დადგა დრო, განყდეს კავშირი.
სამგზავროდ თხუთმეტი დოლარი ვისესხე,
ამ ფულით სადაც მინდა, იქ წავალ.
რადგან ყველაფერი მისი ბრალია, რაც მოხდა,
დადგა დრო, განყდეს კავშირი.



III

იავნანა. იავ, ნანა.
დიდები და პატარები
მოსასვენებლად ჩაძირულან არყოფნაში.
ზღვაში უზარმაზარი გემი იძირება. კვდება.
ტყვია აქვს მკერდში მოხვედრილი.

იავნანა. იავ, ნანა.
დაე, აღდგნენ ერები,
დაე, დაემხონ ერები.
აკვნის ჩრდილი კედელზე
უზარმაზარ გალიას ხატავს.

იავნანა. იავ, ნანა.
იძინე, ძილი გააგრძელე.
ომი სულ მალე დამთავრდება.
გადააგდე ეგ სულელური, უწყინარი სათამაშო,
ამოირჩიე, საიდან გინდა შეხედო მთვარეს.

იავნანა. იავ, ნანა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თუ გეტყვიან, რომ
სალი აზრი არ გაგაჩნია,
არ გაუწიო წინააღმდეგობა; თავი დაანებე,
ვერაფერს მოიგებ.

იავნანა. იავ, ნანა.
დიდები და პატარები
მოსასვენებლად ჩაძირულან არყოფნაში.
ზღვაში უზარმაზარი გემი იძირება. კვდება.
ტყვია აქვს მკერდში მოხვედრილი.

IV
რა არის, ნეტავ, რა ანათებს ფოთლების ჩრდილში,
ჩამუქებული ფოთლების ჩრდილში?
ისე ანათებს, როგორც ცრემლი დარდიანი კაცის თვალებში
რაღაცა ბრწყინავს განუწყვეტლივ ფოთლების ჩრდილში.

რა არის, ნეტავ, დილის ცვარ-ნამი თუ ცრემლის ღვარი?
ცვარ-ნამი არის თუ ცრემლის ღვარი?
ერთ ადგილას წლობით დაღვრილი,
დამძიმებული ცვარ-ნამის ღვარი.

ცვარ-ნამი მალე წვეთვას იწყებს, მიწას ეცემა,
ძირს დაგორდება და დაეცემა.
ეს, შეიძლება, ცრემლის ღვარი არ არის სულაც.
შეხედე, ნახე, როგორ გორავს, როგორ ეცემა.

უსმინე მისი დაცემის ხმას დაბლა, მიწაზე,
უსმინე, ყველგან ისმის სინაზე.
ეს ცრემლნარევი არ არის საზი,
მონოტონურად სცემდეს მიწაზე.

შეხედე, ცვარი მარცვლებივით აყრია მიწას,
შავი თესლი მოშავო მიწას.
შეხედე, ფესვი გაუდგია ვით სარეველას,
როგორც ჩანს, ცვარმა სისწრაფეში აჯობა ბალახს.

მანათობელ თესლის მარცვლებს გაუდგამთ ფესვი,
საიდუმლოდ გაუდგამთ ფესვი,
ნეტავ, რომელი უცნაური ყვავილი, ხილი
ამოიზრდება ამ ფესვიდან? იქნებ, ხეხილი?

ხილი იქნება თუ ყვავილი? არა, არც ერთი. სახე იქნება.
არ გაგიკვირდეთ, სახე იქნება.
ამ გაუხარელ, ბნელ ადგილას რაც დაითესა
თითო მარცვალი თითო სახედ გადაიქცევა.

როგორც ჯარი, თავსდამტყდარი სიზმარში,
სახეები მოჯარდება სიზმრიდან,
ბნელზე ბნელი, ბუნდოვანი სიზმარი.
სახეები – მეტისმეტად ნამდვილი.

*ინგლისურიდან თარგმნა*
*მანანა მათიაშვილმა*

ი 37/2 61

ეროვნული ბიბლიოთეკა

*ენ სექსტონი*

**მენსტრუაცია ორმოცი წლის ასაკში**



ვფიქრობდი, ბიჭსაც გავაჩენ-მეთქი.
საშვილოსნო ხომ ზარი არ არის,
არც მალვიძარა, რომ აწკრიალდეს.
მაგრამ ცხოვრების მეთერთმეტე თვეს
მე ვგრძნობ ნოემბერს,
არა მარტოდენ კალენდარზე, სხეულში დამდგარს.
ზეგ არის ჩემი დაბადების დღე
და ამ დროს მუდამ მოსავალი ამძიმებს მიწას.
მე კი სიკვდილზე ვნადირობ ახლა,
ღამით, რომელსაც ჩავციებივარ,
რომელიც მინდა.
ჰოდა, ამოთქვი –
რასაც ამდენ ხანს
საშვილოსნოში იმარხავდი საგულდაგულოდ.

ვფიქრობდი, ბიჭსაც გავაჩენ-მეთქი.
შენ, ვინც ვერასდროს ვერ მოგიხელთე,
ვინც ვერ დაგთესე თუ ამოგძირკვე,
ვისი პენისიც ასე მაზნევდა,
შენ, ღერწმის ღეროვ და ლეკვის სუნთქვავ.
ნეტავ, ჩემს თვალებს აირჩევდი თუ მამაშენის?
ნეტავ  დევიდი გერქმეოდა თუ სიუზენი?
(ორი სახელი, სულ თავში რომ მიტრიალებდა)
ნეტავ, შეძლებდი შენც ნინაპრებს დამსგავსებოდი:
მიქელანჯელოს გამოთლილი წვივის კუნთებით,
ხელებით იუგოსლავიიდან,
ვიღაცა გლეხის, გაბედული, უტეხი სლავის,
გადარჩენილის, ცხოვრებამ რომ დააახიჩრა –
და ამ ყველაფერს მაინც შეძლებდი,
თუ სიუზენის თმა და შუბლი გამოგყვებოდა?

და სწორედ შენი არყოფნის გამო
მეორე დღეა, სისხლში დავცურავ.
მოვკვდები ასე მოუნათლავი,
მე, ნაბოლარა ქალიშვილი, ზედმეტი ტვირთი,
ალბათ ჩემივე სახელის დღეს მოვა სიკვდილი.
რა არის მაინც ეს სახელის დღე?
მხოლოდ და მხოლოდ მზის ანგელოზი.
ქალო,
შენივე ნაქსოვ ქსელში რომ გაბლანდულხარ,
მჭლევ და ღვარჭნილო,
ობობავ,
ავო მორიელო,
დროზე ჩაძაღლდი!

მაჯებს მიმძიმებს ჩემი სიკვდილი,
ზედ კონწიალებს იარლიყივით,
სამაჯურივით მოყონავს სისხლი
და იფურჩქნება
ერთი მარჯვნივ და მეორეც – მარცხნივ.
როგორი თბილი ოთახია,
სისხლის ალაგი,
თუ შეიძლება, შეღებული დატოვეთ კარი.

ორი დღე შენი სიკვდილიდან
არის ორი დღე ჩემს სიკვდილამდე.

სიყვარული! ეს წითელი სენი –
ალბათ ყოველ წელს, დევიდ, უფრო გაცელქდებოდი.
დევიდ! სიუზენ! დევიდ! დეივიდ!
ბუთხუზა ურჩო, ღამით კბილებს რომ აკრაჭუნებ,
არასოდეს რომ დამიბერდები.
პარმალთან უნდა დაგლოდებოდი,
მუდამ, ყოველ წელს,
ჩემო სტაფილოვ, ჩემო კომბოსტოვ,
მე ყველა ქალზე უფრო ადრე მეყვარებოდი.
მე შეგირჩევდი სახელს,
ჩუმად დაგიჩემებდი.

*ინგლისურიდან თარგმნა ანი კოპალიანმა*

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# „ახალი საუნჯის" გამოწერა!

GE59BG0000000210646500

დანიშნულებაში მიუთითეთ: **„ახალი საუნჯე"**,

საკუთარი ტელეფონის ნომერი და მისამართი.

## 2019 წლის 8 ნომერი - 16 ლარი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალი საუნჯე

ISSN 0134-9848
საუნჯე
9 770134 984002